

# მ მ ა მ ბ ე

თეორიკული ჟურნალი

წელიწადი მეცხე

№ X

თბილისი, 1901



ტფილისი

საბჭოთაო მემორიალური საზოგადოების გამომცემი

1901

Доволено цензурою. Тифлисъ, 20-го Октябръ 1901 г.

## შ ი ნ ა ბ რ ს ი

<p>I—„სახლში“—მოთხრობა ჩეხეთისა.—თარგ. ივ. შოლუ- მორდგენეთისა . . . . .</p> <p>II — პალესტინის უბო. — ლექსი ლერმონტოვიდან, გ. სხ—ანისა . . . . .</p> <p>III—ახალი მოქმედება.—ოთხ მოქმედებიანი და უვიდ სურათიანი პიესა თხზ. ბარეტისა, თარგ. ად. კანდუ- ლეთისა. . . . .</p> <p>IV—გურია-აჭარა.—მეზავრის წერილები—XXIII.—სხალ- თის ხეობა — თ. სახეთისა (დასასრული) . . . . .</p> <p>V—ცოლის იდეალი, გამოსატული ძარბულ ხალ- ხურ კომედიანი.—ად. ძიანაშვილისა. . . . .</p> <p>VI—არხეოლოგიური მოგზაურობანი და უნივერსი- თისა, — ე. თეიაშვილისა (გაგრძელება). . . . .</p> <p>VII—ქველი თარგ. — წერილი მეოთხე ანჲად ჯორჯა- მისა . . . . .</p> <p>XIII—უცხოეთის მიმოხილვა.—ინგლისი და რუსეთი შუა აზიაში.—ავლანისტანი . . . . .</p>	<p style="text-align: right;">330</p> <p style="text-align: right;">1</p> <p style="text-align: right;">15</p> <p style="text-align: right;">17</p> <p style="text-align: right;">1</p> <p style="text-align: right;">19</p> <p style="text-align: right;">24</p> <p style="text-align: right;">77</p> <p style="text-align: right;">81</p>
---	---



## «ს ა ხ ლ უ ი»

(მოთხრობა ჩეხოვისა)

— გრიგორიევინი მოსამსახურე იყო, რალაც წიგნსა თხო-  
ულობდა, მაგრამ მე არ მივეცი, თქვენზედ ეუთხარი შინ არ  
არიან მეთქი. ფოშტის მოხელემ ორი წერილი და გაზეთები  
მოიტანა. მართლა, ევგენი პეტროვიჩ, მე თქვენი ყურადღება  
მინდოდა სერგოს ყოფაქცევაზედ მიმექცია. დღესაცა და ამ  
სამი თუ ოთხი დღის წინათაც შევამჩნიე, რომ თქვენი სერგო  
თამბაქოს თურმე ეწევა. როცა მე დარიგება დაუწყე, იმან, ჩვე-  
ულებრივ, ყურებში თითები დაიციო და საშინელი ღრიანცელი  
მორთო, რომ ჩემი ლაპარაკი დაეთარა.

საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი, ევგენი პეტროვიჩი  
ბიკოვსკი ეს-ეს იყო სხდომიდან დაბრუნდა და კაბინეტში  
ხელთათმანებს იხდიდა. სერგოს აღმზღელის მოხსენებაზედ ცოტა  
არ იყოს ჩაეცინა.

— სერგო თუთნსა სწევს? .... ბიკოვსკი აიშმუშნა,—წარ-  
მოდგენილი მაქვს ის პაწაწკინტელაღლაპი, პაპიროხს რომ ჩაი-  
დებდა პირში, რას დაემსგავსებოდა!.. რამდენი წლისაა განა?

— შვიდისაა! თქვენ, როგორც ვხედავ, ამ შემთხვევას არა-  
ფრად აგდებთ, მაგრამ ნამდვილად კი მაგ ხანში თუთუნის  
წევა მეტად ცუდი და მავნებელი ჩვეულებაა. მავნე ჩვეულება  
კი პირველ დაწყებითვე უნდა მოისპოს.

— თქვენ სრულს ქეშმარიტებასა ბრძანებთ, მხოლოდ ერთი  
ეს მითხარით—თამბაქოს საიღამ შოულობს?

— თქვენი მაგიდიდგან იღებს, მაშ საიღამ იშოვიდა!

— ჰოო?... მაშ აბა აქ გამომიგზავნეთ ჩვენი დამნაშავე.

აღმზღელის გასვლისთანავე ბიკოვსკი მაგიდასთან მდგარ საეარძელში ჩაეშვა, თვალები დახუჭა და ფიქრს მიეცა. თავისი პატარა სერგო არშინის სიგრძის პაპისოზით პირში და თამბაქოს ბოლით გარემოცული წარმოედგინა და ამან ცოტა არ იყოს გაამხიარულა და სახეზედ ღიმი მოჰგვარა. აღმზღელის დაღვრემილმა, შეწუხებულმა სახემ კი იმ წამსვე მოაგონა ნახეგრად უკვე დავიწყებული წარსული, როდესაც თამბაქოს მოწევა სასწავლებლებში თუ ოჯახში პედაგოგებს და მშობლებს მათვისვე გაუგებას სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა ხოლმე. ამ დანაშაულისათვის ბავშვებს შეუბრალებლად სცემდნენ, ითხოვდნენ სასწავლებლიდგან და ასე ამ გვარად სამუდამოთ უმხინჯებდნენ, უფუჭებდნენ ცხოვრებას და არც ერთს მშობელს თუ პედაგოგს კი არ ესმოდათ, რითაა თამბაქოს მოწევა მავნებელი ადამიანისთვის და რაში მდგომარეობს ამ შემთხვევაში ბავშვის დანაშაული. ფრიად განათლებულნი და ნასწავლნიც კი არ გამოირჩეოდნენ უმეტესობიდგან და ახალგაზღობის იმ მანკს, რომლის შეგნებაც კი ვერ მოეხერხებინათ, გაცოფებულნი ეომებოდნენ. ევგენი პეტროვიჩს იმ გიმნაზიის დირექტორიც მოაგონდა, რომელშიაც თითონ ოდესღაც სწავლობდა. ეს ყველგან განათლებულად და გულკეთილად ცნობილი ადამიანი, როცა რომელიმე შაგირდს მოასწრობდა თამბაქოს წევაზედ, სულმთლად ვაფითრდებოდა, აცახცახდებოდა და ფიცხლავ პედაგოგიურ სხდომას დანიშნდა, რასაც, უეჭველად, შეგირდის სასწავლებლიდგან დათხოვნა მოჰყვებოდა ხოლმე. ალბათ ასეთი ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრობის კანონი: რაც უფრო გაუგებარია სენი, მით უფრო გაშმაგებით და სასტიკიდ სდევნიან მას.

მოაგონდა ბრალმდებელს ორი თუ სამი კაცი, რომელნიც ამ საქციელისთვის იყვნენ სასწავლებლიდგან დათხოვნილი, გაითვალისწინა მათი შემდეგი ცხოვრება და ნება უნებლიეთ გაიფიქრა, რომ ხშირად სასჯელი უფრო მეტად მავნებელია

ადამიანისთვის, ვადრე თითონ მანკი, რომლისათვისაც მას სჯიან. ადამიანს ერთი თვისება აქვს, რომლის ძალითაც მას შეუძლიან რანაირი ატმოსფერა და გარემოებაც უნდა იყოს, შეეჩვიოს მათ და შეეთვისოს. ეს ასე რომ არ იყოს, ადამიანი იძულებული იქნებოდა ყოველ საათს და ყოველ წუთს ხსომებოდა, რომ მის გონიერულ მოქმედებას ხშირად უგუნური სარჩული უდევს და საბასუხო სალიტერატურო, პედაგოგიურ თუ იურიდიულ ასპარეზზედ მოღვაწეობას ხშირად ძალიან ნაკლებათ უძევს საფუძვლად ჭეშმარიტება და დაბეჯითებული ცოდნა.

ევგენი პეტროვიჩს იმისთანა ფიქრები ეწვივნენ, რომელინც დაქანცულს და დასასვენებლად განმზადებულს ტვინს ესტუმრებიან ხოლმე. ესენი როგორც ადვილად გაჩნდებიან, ეგრეთვე დნებიან, გაჰქარწყლდებიან, მხოლოდ ცოტა ხანს კი გაჩერდებიან ადამიანის თავის სარქველში და ისიც ისე, რომ არასგზით არ ჩასწვდნენ ტვინის სიღრმეს და არ შეარყიონ მიყუჩებული აზრთა სამეფო. იმათთვის, ვინც მთელი დღის განმავლობაში იძულებულნი არიან იფიქრონ, ერთს მიმართულებაში და ერთს კალაპოტში მოათავსონ თავისი ნათიქრ ნაშრომი, ამ გვარი ფიქრები სწორედ კომფორტს შეადგენენ და ტვინს შეასვენებენ.

სალამოს ცხრა საათი იქმნებოდა. მეორე სართულში ვილაც გაშმაგებულად დადიოდა კუთხიდგან კუთხეში. როგორც ეტყობოდა, ან მწარე ფიქრებს გაეტაცნა, ან კბილის ტკივილი აწუხებდა. იმის ზეით კიდევ, მესამე სართულში გამშებს უკრავდნენ როიალზედ და ეს ერთგვარი, თავის მომბებზრებელი გამშები მონოტონურ ფეხის ხმასთან შეზავებული სალამოსი ჩუმეს ერთი ორად აორკეცებდნენ და ძილსა ჰგვირდნენ ადამიანს. მეორე თუ მესამე ოთახში სერგოს აღმზრდელი ელაპარაკებოდა.

— მა-მა მო-სუ-ლა! რალაც ახალს კილოზედ შემოსძახა ბაეშემა. — მა-მა მო-სუ-ლა! მა-მა, მა-მა.



— vorte père vous apelle, aller vite! შეჰკივლა შეშინებულ ჩიტსავით აღმზსდელმა. — მგონი, თქვენ გელაპარაკებიან?!“  
„დავიბარე კია, მაგრამ რა უნდა უთხრა, ან როგორ დავიწყო?“ გაიფიქრა ამ დროს ევგენი პეტროვიჩმა.

მაგრამ ამ კითხვებზედ პასუხის მიგებაც ვერ მოასწრო, რომ კაბინეტში შემოვიდა კიდევ ბრალდებული. ეს შვიდი თუ რვა წლის ბავშვი იყო და, ვაჟის ტანთსაცმელი რომ არ სცმოდა, ვერც კი გაიგებდა ადამიანი თუ რა სქესს ეკუთვნოდა. მისი სუსტი აგებულება და ფერმკრთალი სახე რაღაც დასამსხვრევ კურკელს მოგაგონებდათ. იმისი ჩჩვილი კანი კი ორთქლით და სითბოთი მოყვანილს ყვავილს მიემსგავსებოდა. მისი მშვენივრად ჩახუჭუჭებული თმა, მიხვრა მოხვრა და კოპწიათ შეკერილი ხავერდის ბლუზა რაღაც გამოუთქმელ სიტურფით და სინარნარით იყენენ გაედენთილნი.

— გამარჯობა, მამილო! ხავერდსავით რბილი ხმით წამოიძახა ბავშვმა, ფიცხლავ შეახტა მუხლებზედ და კისერში აკოცა. — რად მეძახდი, მამილო?

— მოითმინეთ, სერგეი ევგენიჩ, მოითმინეთ! — მიუგო ბრალმდებელმა და თან ხელით მოიშორა ბავშვი. — სანამ კოცნა ხევენას დავიწყებდეთ მე და თქვენ, ერთს საგანზედ უნდა მოგელაპარაკოთ. წინდაწინვე გატყობინებ, რომ მე დღეს სრულიად არა ვარ ხუმრობის გუნებაზედ... მე გაჯავრებული ვარ შენზედ და დღეის იქით აღარც მეყვარები. ეს, ჩემო კარგო, კარგათ იცოდე: დღეის იქით აღარც მეყვარები და არც შეილად გიგულებ!

სერგომ თვალები დააქუციტა მამას, ცოტა არ იყოს აიშეშუნა და მერე მაგიდას გადაავლო თვალი.

— რა დაგიშავე, მერე? განცვიფრებული ეკითხებოდა ბავშვი, — მე დღეს შენს კაბინეტში სულაც არ შემოვსულვარ და არც არაფრისთვის მიხლია ხელი.

— აი, ამ საათში ნატალია სემიონოვნა სჩიოდა, სერგო თამბაქოს ეწევო... მართალია? სწევ თამბაქოსა, თუ არა?

— მართალი უთქვამს, ერთხელ მოგწიე!

— ჰა, რო სტყუი კიდევცა,—სთქვა ბრალმდებელმა და თან შუბლი შეიქმუხვნა, რადგან სხვანაირად ვერ მოგხერხებინა ღიმილის დაფარვა.—ნატალია სემიონოვნას კი ორჯერ უნახავს. ჰხედავ რამდენ ნაირი დანაშაული მიგიძღვის: ჯერ ერთი, რომ ნამბაქოს სწევ, მეორე ისა, რომ სხვის თამბაქოს ისაკუთრებ და ამასთან სტყუი კიდევცა ეს სამი დანაშაული დი სამივე დიდი!

— მართლა!.—უცბათ წამოიძახა სერგომ და თან თვალეზმა გაუღიმეს,—ორჯერ მოვსწიე, ორჯერ, ერთი დღესა და ერთიც ამას წინათ.

— ჰხედავ, ერთხელ კი არა, ორჯერ მოგიწევია, შენ კი ჩემი მოტყუება მოინდომე!

ევგენი პეტროვიჩმა გაუსწორა ბავშვს საყელო და ჩაფიქრდა.

„რა ვუთხრა კიდევ“?

— ჰო, იმას გეუბნებოდი—განაგრძო ბრალმდებელმა,—ეგ მეტის მეტი ცული საქციელია და არც არასოდეს გაპატიებ. ჯერ ეს ერთი, შენ რა ნება გაქვს სხვის თამბაქო და ისაკუთრო და ისარგებლო მითი. ყოველი კაცი მხოლოდ თავისს საკუთრებას უნდა ხმარობდეს. ის კი, ვინც სხვის სარჩოს ისაკუთრებს, ცული კაცია და ყველანი მას ქურდს უძახიან! (ეჰ, იმას რომ ვერ ვამბობ, რაც საჭიროა, გაიფიქრა ევგენი პეტროვიჩმა). მაგალითად, ნატალია სემიონოვნას რომ სკივრი აქვს, ის იმის საკუთრებას შეადგენს და ჩვენ, არც შენა და არც მე, არავითარი უფლება არა გვაქვს მას ხელი შევახოთ. აი შენც ხომა გაქვს სათამაშო ცხენები და სურათები, მე როდისმე დამისაკუთრებია? იქნება როდისმე მე ძალიანაც მინდოდა მითი სარგებლობა, მაგრამ არა—მე ხელს როგორ ვახლებ, როცა ვიცი, რომ მე არ მეკუთვნიან.

— ტყუილა მომრიდებიხარ, მამილო, როცა გინდოდეს, აიღე, რა; აი ეს ყვითელი ძაღლი ჩემი არ არის, რომ სულ შენ მაგიდაზედა სდგას, მე ხომ არაფერი მითქვამს?



— აბა რო ვერ გაიგე, რას გელაპარაკები—მიუგო ბიკოსკიმ,—ეს ძალი შენ მე მაჩუქე და მაშასადამე ეხლა მე მეკუთენის, მეც ხომ არ მიჩუქებია შენთვის თამბაქო (ვერ ვუსხნი, ვერა,—გაიფიქრა ბრალმდებელმა—ასე არ იქნება, ვერ გაიგებს). მე თუ სხვის თამბაქოს მოწევა მომინდა, ჯერ ნებართვას ავიღებ პატრონისაგან და მერე მოვიკიდებ ხელსა.

ბრალმდებელი მოჰყვა და ღლოღნით საკუთრებას უხსნიდა თავისს შვილს. სერგო თვალებით მამის გულს ჩასცეცებოდა და გატაცებით უგდებდა ყურს (ბავშვს ძალიან უყვარდა საღამოობით მამასთან ბასი). მერმე მაგიდას დაეყრდნო და ხან საწერელს აავლებდა ზარმაცად თვალებს და ხან კოხტად დალაგებულს ქალადებს. ბოლოს ბავშვის ყურადღება წებოთი საღსე ჭიქამ მიიპყრო.

— მამა, წებოს რისგან აკეთებენ?—დაეკითხა უცბად ბავშვი და ჭიქა თვალბებთან მიუახლოვა.

მამამ ჩამოართვა ხელიდან ჭიქა, დასდგა თავისს ადგილას და განაგრძო.

— მეორეც ეს ერთი, შენ თამბაქოსა სწევ... ეს ძალიან ცუდია! მე თუ ვსწევ, ეგ იმას კი არა ნიშნავს, რომ სხვამაც უნდა მოსწიოს. მე ვსწევ, მაგრამ ვიცი, რომ კარგათ ვერ ვიქცევი და ამიტომ ყოველთვის ვლანძღავ კიდევ ჩემს თავს და არც მიყვარს ჩემი თავი (რა პედაგოგი ვარ—გაიფიქრა ბრალმდებელმა). თამბაქო ადამიანის ჯანსაღობისათვის მეტად მავნებელია და ვინცა სწევს, მალეც მოკვდება. შენისთანა პატარეებისათვის ხომ ნამდვილი საწამლაფია. შენი გული და ფილტვები ჯერ შემაგრებულნი არ არიან და თამბაქოს ბოლი შენისთანა სუსტ ბავშვებს ხუთ ადგილად გაუჩენს ქლერქსა და კიდევ ვინ იცის რამდენს სხვა ავადმყოფობას. აი ბიძა ეგნატე ქლერქით არ მოკვდა? იმას თამბაქო რომ არ ეწია, იქნება დღესაც ცოცხალი ყოფილიყო.

სერგო დაღონდა, უაზროთ სანათს გადაავლო თვალი და ღრმით ამოიოხრა.

— ძია ეგნატე რა კარგათ უკრავდა ჭიანჭურზედ! — ნელის ხმით წაილულულა ბავშვმა. — ეხლა იმისი ჭიანჭური გრიგორიეებთან არის!

ბავშვი ისევ მაგიდას დაეყრდნო და ჩაფიქრდა. იმისმზ უფერ მიხდილმა სახემ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს თავისს საკუთარ აზრების მოძრაობას თვალს ადევნებს და ყურს უგდებსო. მის მსხვილ თვალებს რაღაც ნაღველი და დარდი დაეტყო. უსათუოდ ის ეხლა სიკვდილზედ ჰფიქრობდა, რომელიმაც დიდი ხანი არ არის რაც საყვარელი დედა და ბიძა გამოაჭვლიჯა ხელიდან. საძაგელს სიკვდილს დეუები და ბიძები საიქიოს მიჰყავს და მათი შვილები და ჭიანჭურები კი აქ, ამ ქვეყნად რჩებიან. მიცვალებულნი ვარსკვლავებთან ერთად, ცაში სცხოვრობენ და იქიდან დასცქერაინ დედამიწას. ნეტა შვილების და ჭიანჭურების მოშორებას როგორ იტანენ?

„რა უთხრა კიდევ, რა ვქნა“ — ჰფიქრობდა ეგენი პეტროვიჩი. — „პირდაპირ ვატყობ, რომ ყურს არ მიგდებს. ცხადია, არც თავისს საქციელს და არც ჩემს სიტყვებს არაფრად აგდებს. როგორ აუხსნა, რომ გავაგებინო?“

ბრალმდებელი წამოდგა და სიარული დაიწყო კაბინეტში. „უწინდელს დროს, ჩემს ყმაწვილობაში ამ გვარი კითხვები არ იყენენ ძნელი განსამარტავნი, ჰფიქრობდა ბრალმდებელი როცა ბავშვს მოასწრობდნენ ამ გვარ საქციელზედ, ჩემსავით ქადაგებას კი არ მოჰყვებოდნენ — მათრახი და იმათი ჯანი! მხდალ და ლაჩარ ბავშვებზედ მართლა საოცრად მოქმედებდა ეს მათრახი, მაგრამ თუ ცოტა ოდნათ გონიერი და გულადი ბავშვი შეხვდებოდათ, მშვიდობით, მაშინ ეს საკვირველ მომქმედი მათრახიც ჰკარგავდა თავისს ძალას. იმ დღიდან თამბაქოს წალის ყელში ატარებდნენ და სადმე ბოსელში ან რომელიმე საკუჭნაოში ვაიჩენდნენ მყუდრო ადგილს და იქ ეწყობდნენ თამბაქოს თავისუფლად. თუ ღმერთი გაუწყობდათ და აქაც მოასწრობდნენ, მდინარეზედ ან სადმე მივარდნილს და მიყრუებულ ადგილს დაიწყებდნენ სიარულს. ერთი სიტყვით, იმდენს ხანს იცვლიდნენ ადგილს, სანამ არ მოიზრდებ-

ბოდნენა დედა ჩემი სულ სხვა აზრისა იყო და სხვა ხერხსაცა ხმარობდა—საწყალს საჩუქრებით და ტკბილფეულობით უნდოდა თავის მიზნისთვის მიეღწია. ეხლა ამისთანა ხერხი უვარგისად და უხნოდ ითვლება. თანამედროვე პედაგოგი სცდილობს ბავშვა კეთილი აზრები და სასურველი ყოფა-ქცევა შეგნებით და გონივრულად შეითვისოს და არა შიშისა და საჩუქრების წყალობით.

სანამ ბრალმდებელი დადიოდა კაბინეტში და ჰფიქრობდა, სერგო სკამზედ აცოცდა და რილასიც ხატვა დაიწყო. საჭირო ქაღალდები რომ არ გაეფუჭებინა და მელანი არ დაეღვარა, სერგოსთვის მაგიდაზედ ყოველთვის ეწყო მშვენივრად დაჭრილი ქაღალდი და ფერადი ყარანდაში.

— დღეს ჩვენი დედაკაცი კომბოსტოსა სჭრიდა და თურმე თითი გაიჭრა. წარბების მალლა აწვევით დაიწყო ბავშვმა და თან ხატვა განაგრძო. საწყალმა ისეთი დაიყვირა, ისეთი დაიყვირა, რომ სუყველას შეგვეშინდა და სამხარეულოში გავვექანეთ... ღმერთო, რა სულელი ყოფილა, საწყალი! ნატალია სემიონოვნა ეუბნება—ცივ წყალში ჩაჭყაეი თითიო და იმან კი ჩაიღო პირში და წუწნის!.. ფუი, იმისთანა მოსვრილი თითი როგორ უნდა ჩაიღოს ადამიანმა პირში?!.. ბავშვმა მერე ისიც უამბო, რომ დილას ეზოში ერთი მეარღნე შემოვიდა და თან პატარა გოგოც შემოჰყვა—მეარღნემ რო არღანი დაუკრა, გოგო უცებ წამოხტა და ცეკვა და სიმღერა დაიწყო.

„ამას თავისი აზრები აქვს და თავისებურად ჰფიქრობს!“ ჰფიქრობდა ბრალმდებელი.—, ამას თავისებურად ესმის რა არის ამ ქვეყნად მნიშვნელოვანი და რა უმნიშვნელო; ადამიანმა რომ ამის ყურადღება მიიპყროს, მარტო ის კი არ არის საჭირო, რომ ბავშური ენით ელაპარაკოს, საჭიროა აგრეთვე ამისებურად ჰფიქრობდეს და სჯიდეს. მე რომ მართლა მენანებოდეს თამბაქო, ან და ისე მწყენოდა ამის საქციელი, რომ ტირილი დამეწყო, ლაპარაკი არ უნდა, მიმიხვდებოდა და ჩემი ქადაგებაც ზედ გავლენას იქონიებდა. აი სწორედ ამიტომ არიან დედები საჭირონი ბავშვების აღზრდაში, რომ იმათ ბავშვთან ერთად

შეუძლიანთ გრძნობაც, ტირილიც და დროზედ ხარხარიც. ცალიერი ლოდიკით და მორალით კი აქ ვერაფერს გახდები-  
აბა, რა უნდა უთხრა კიდევ?“

ევგენი პეტროვიჩს უკვირდა, რომ მას, ცნობილს იუ-  
რისტს, რომელსაც ცხოვრების ნახევარი საქმეების გარჩევაში  
და სასჯელის მისაჯვაში ჰქონდა გატარებული, აქ ვერაფერი  
მოეხერხებინა და პატარა შვიდი წლის ბავშვისთვის ღირსეუ-  
ლი სიტყვა ვერ ეთქვა.

— გესმის, სერგო, მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ  
კვლავ აღარ ჩაიდენ მაგ საქციელს! ბოლოს უთხრა ბრალ-  
მდებელმა.

სიტყვა, სიტყვა, პატიოსანი სიტყვა! შემოსძახა სერგომ  
და თავ დაღუნულმა ერთ ადგილას დაიჭირა ყარანდაში.—სიტ-  
ყვა, ვა-ვა!

„იცის კი რა არის პატიოსანი სიტყვა?“ დაეკითხა თავისს  
თავს ბიკოვსკი. — „არა, უნდა გავტყდე და ვსთქვა, რომ  
ბერი ვერაფერი დამრიგებელი ვყოფილვარ. ეხლა რომელიმე  
პედაგოგს ან ჩვენ იურისტს რომ შეეძლოს ჩემს თავში ჩამო-  
ხედვა, უსათუოდ მივარს და ლაჩარს დამიძახებდნენ და, ლაპა-  
რაკი არ უნდა, დამცინებდნენ. მაგრამ ამისთანა კითხვები  
სკოლაში და სასამართლოში უფრო ადვილად განიმარტებიან  
ხოლმე, ვიდრე სახლში. აქ იმისთანა ხალხთან გაქვს საქმე,  
რომელიც უსაზღვროდ და უზომოდ გიყვარს და სიყვარული  
ხომ ამგვარ კითხვების განმარტვას ერთი ათად და ოცად  
ამძიმებს. ეხლა ეს ბავში უცხო რომ იყოს ჩემთვის, ასე ადვი-  
ლად ხომ არ დავიბნეოდი?“

ევგენი პეტროვიჩი მაგიდას მიუჯდა, გამოართვა სერგოს  
ქალაღი და დანახატს დაუწყა სინჯვა. სერგოს რაღაც სა-  
ოცარი სახლი დაეხატა მრუდე, დაქანებული სართულით და  
ბუხრით, რომლიდანაც ელვასავით დახლაკნილი ბოლი ამო-  
დიოდა და ქალაღის ბოლოში თავდებოდა; სახლის გვერდით  
საღდათი დაეხატა—წერტილებით თვალების მაგიერ და „ხი-  
შტით“, რომელიც ციფრას 4 წააგავდა.



— განა შეიძლება აღამიანი სახლზედ მალაღლი იყოს? და ეკითხა მამა შვილსა. — აბა შეხედე ერთი, შენი სახლის სართული სალდათის მხრებს ვერც კი უწევს და!

— მარა, პატარა რომ დამეხატნა სალდათი, თვალები ხომ აღარ გამოუჩნდებოდა, სთქვა ბავშვმა და თავისს ნახატს დააშტერა თვალები.

განა კიდევ უნდოდა ამას ლაპარაკი? ყოველდღიურ ბავშვების დაკვირვებიდან, ბრალმდებელს ის დაასვენა გამოეყვანა, რომ ბავშვებს მხატვრობაზედაც თავისებური შეხედულება აქვთ და გემოვნება. მაგალითისთვის შორს წასვლა აღარ იყო საჭირო. აი სერგო — კაცი რომ კარგათ დაჰკვირვებოდა ამის მხატვრობით შეხედულობებს, შეიძლება შეშლილიც ჰგონებოდა. მაგალითად, ის შესაძლოთ და გონივრულად ჰხედავდა კაცი სახლზედ მალაღლი დაეხატნა და სხვა-და-სხვა საგნების გარდა გრძნობანი და სულის მდგომარეობაც კი გადაეცა ყარანდაშით. მუსიკის ხმას ის მუდამ ბოლისფერ ლაქებით ჰხატავდა, სტვენას — გაქიმულ ძაფსაფით სწორე ხაზებით, მისი აზრით ყოველ ხმას თავისი საკუთარი ფორმა და ფერი ჰქონდა, ასე რომ როცა რისაზე დახატვა უნდოდა, შესაფერი ფერის ყარანდაშსა ჰხმარობდა: „ლ“ ყოველთვის ყვითელ ფერად შეღებავდა ხოლმე, „შ“ — წითელ ფერად, „ა“ შავ ფერად და სხვა.

სერგომ დაანება ხატვას თავი და მამის მუხლებზედ კაი ხნის ბორგვის შემდეგ მამას წვერებში ჩაავლო ხელი — ჯერ შუაზედ გაჰყო, მერე გაასწორა, ისევ გაჰყო, ერთი სიტყვით ყოველ წუთს სხვა-და სხვა ნაირ ფორმას აძლევდა.

— აი, ივან სემიონოვიჩისა ჰგვეხარ ეხლა, — ბუტბუტებდა ბავში, — ეხლა აი მას ეგვანები... აი ესე . . ჩვენ მეკარეს... მამა, მეკარე სულ მუდამ კარებში რაღა სდგას ხოლმე? ქურდები არ შემოვიდნენო, განა?

მამა გაუყურდა შვილის აღერსს და ჩუმათ სტკბებოდა. მას ბავშვის სუნთქვაც კი ესმოდა და როცა იმის მშვენიერად დაკუთლებულს თმებს და რბილს და ფაფუკ კანს შეეხებოდა

და, იმასთანა სითბოს და ნეტარებას ჰგრძნობდა, თითქოს მარტო ხელით — ხორციით კი არა, სულითაც ეხება მათათ. მისი მსხვილი, შავი თვალები ბრალმდებელს მოაგონებდნენ სუყველას, რაც კი ერთ დროს უყვარდა და რასაც უსაზღვროდ აღმერთებდა. მათში ის ნათლად ჰხედავდა ცოლსაც და საყვარელ დაუფიწყარ დედასაც.

„მოდით და ხელი აიღეთ ამაზედ! — ჰფიქრობდა მამა — აბა დაბრძანდი და მოიგონე სხვა და სხვა სასჯელები. ეჰ, რა ჩვენი საქმეა ბავშვების აღზრდა. უწინდელი დრო სულ სხვა იყო. ხალხი მაშინ ნაკლებსა ჰფიქრობდა და ამიტომაც არ უჭირდა ამგვარი კითხვების განმარტვა. ჩვენ კი გადავაქარბეთ და მეტის მეტად ბევრსა ვფიქრობთ, ლოდიკამ დაგვაქკნო და დაგვაღლაჩრა სუყველანი. კაცი რაც უფრო განვითარებულია და მეტსა ჰფიქრობს, მით უფრო მშიშარაა, გაუბედავი და იერიშით საქმეზედ მისვლა არ შეუძლიან. მართლაც და კარგათ, ღრმათ რომ ჩაუფიქრდეს ადამიანი, რამდენად უნდა ენდობოდეს კაცი თავისს ძალღონეს, რომ სხვების სწავლა-დაზრგება და ან განსამართლება იდოს თავზედ?“

საათმა ათი ჩამოჰკრა.

— ეხლა მოგიყვება ძილის დრო! უთხრა შვილს ბრალმდებელმა:

— ცოტა ხანს კიდევ ექნება, მაშინლო! ერთი ზღაპარი მითხარი და მერე წავალ!

— ზღაპარს კი გეტყვი, მაგრამ ერთი პატარა პირობით კი: გავათავებ თუ არა ზღაპარს, იმ წუთსვე უნდა წახვიდე დასაძინებლად.

გვეგნი პეტროვიჩის ჩვეულებათა ჰქონდა საღამოობით, მოცილიდა თუ არა, გვერდით სერგოს მოხსვამდა და ზღაპრებს უამბობდა. როგორც საქმის ხალხის უმეტეს ნაწილმა, ისე ამანაც არც ერთი ლექსი არ იცოდა ზებირანდ და არც თუ რამე ზღაპარი ახსოვდა. ყოველთვის, როცა დასჭირდებოდა, ზღაპრებს თითონა სთხვიზიდა; დაიწყებდა კი „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდაო“ და რითი გაათა-



ვებდა ან რას იტყოდა, თითონაც არ იცოდა. სხვა და სხვა სურათები, მომქმედ პირთა დახასიათება, თუ მათი მღვრამარეობა უცბათ იკვანძებოდნენ ბრალმდებლის თავში და ექსპრომტით იშვებოდნენ. ზღაპრის ესა თუ ის მორალური დასკვნა ავტორის ნება უნებურად გამოვიდოდა და ბევრჯერ თითონ იმასვე გააკვირვებდა ხოლმე. სერგოს ამისთანა უცბათ შეთხზილ-შეთითხნილი ზღაპრები ძალიან უყვარდა და ბრალმდებელიც ამჩნევდა, რომ ზღაპარი რაც უფრო მარტივი შინაარსისა იყო, მით უფრო ძლიერად მოქმედებდა ბავშვზედ.

— არა დავიწყოთ ეხლა, სთქვა ბრალმდებელმა და ჭერს მიაჩერა თვალები, — იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა იყო ერთი ძალიან, ძალიან ბებერი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს ვეებერთელა წვერი ჰქონდა და აი ამოდენა უღვაშები. ზამთარ ზაფხულ ის სულ ბროლის სასახლეში ცხოვრობდა, მაგრამ რა მშვენიერი სანახავი იყო ეს სასახლე ვერ აგიწერ, როცა მზე ამოკაშკაშდებოდა და თავის თბილსხივებს გაავრცელებდა დედამიწის ზურგზედ, ეს ბროლის სასახლე ისეთ ბზინვას და ბრწყინვას დაიწყებდა ხოლმე, რამ ადამიანი ერთს წუთსაც ვერ გაუსწორებდა თვალს. ეს სასახლე, ჩემოკარგო, დიდს უშველებელს ბაღში იყო აშენებული, სადაც ათასნაირი ხეხილი და სხვა მცენარეები ჰხარობდნენ და მშვენიერ სუნს ავრცელებდნენ ჰაერში. აქ ფორთოხალიც ჰხარობდა, გვერდწითელი მსხალიც... ალუბალიც და მშვენიერი ზამბახი, თვის ვარდი, შროშანა და სხ. სუნნელოვანი ყვავილები ხომ ყოველ ნაბიჯზედ ჰყვოდნენ და არე-მარეს ამშვენიებდნენ; სხვა და სხვანაირი ფრინველები დღე მუდამ ჰგალობდნენ და მსმენელთ ყურს ატკბობდნენ... მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი... ჰო, ხის ყოველ ტოტზედ თუ პაწაწინა ყლორტზედ ბროლის ზარები ეკიდნენ და ამოვიდოდა თუ არა ნიავი, ისეთ მშვენიერ ხმაზედ დაიწყებდნენ წკრიალს, რომ კაცი სმენად გადიქცეოდა. ბროლს უფრო ნაზი და რბილი ხმა აქვს, ვიდრე ლითონს! კიდევ რა იყო? ჰო, ბაღში ჰაუზები ბევრი გაეკეთებინათ... გახსოვს, დედასთან რომ ვიყავით სააგარაკოთ, იქ ბაღში ხომ

ნახე ჰაუზი აი, სწორეთ იმნაირები იყვნენ ისინიც, მხოლოდ ბევრად უფრო მეტნი იყვნენ და წყალი ისეთის ძალით სცემდა, რომ რომელიც უფრო მაღალი ჭანდარი იყო ამას უწევდა.

ეგგენი პეტროვიჩი გაჩერდა ცოტა ხანს და მერე განაგრძო:

— ამ ხნიერს ხელმწიფეს შენსავით პატარა შეილი ჰყავდა და, რასკვირველია, ტახტის მემკვიდრეც ეს იყო. ეს ახალგაზდა ტახტის მემკვიდრე მშვენიერი ხასიათის ბავშვი იყო-არც სტიროდა, არც არავის აწუხებდა, არც მაგიდაზედ დატოვებულ ქაღალდებს და წიგნებს ახლებდა ხელსა, ერთი სიტყვით, ძალიან კვიანრი ბავშვი იყო, მხოლოდ, საუბედუროდ, ერთი ნაკლი ჰქონდა და ამანვე მოუღო საცოდავს უდროოთ ბოლო. უბედური თუჩმე ხანდისხან თამბაქოს ეწევოდა!

ბავშვი გატაცებით უგდებდა ყურს და თვალების დაუხამხამებლივ შეჰყურებდა მამას თვალეში. ბრალმდებელმა კი განაგრძო, მაგრამ თანა ჰფიქრობდა, „მერე რაო? რა მიხდა ამითი ვსთქვა?“ დიდი ხანი ლეჟა, გასწია, გამოსწია, ათასი რამე გამოაბა და ბოლოს ასე დააბოლოვა: — „ეს ახალგაზდა ხელმწიფის შეილი თამბაქოს წვევისაგან დაკლერქდა და საცოდავი ოცი წლისა არც კი იყო, როცა მოკვდა, ეს ბებერი და ავათმყოფი ხელმწიფე კი დარჩა უპატრონოდ და უმწეოდ; ისეთი არავინა ჰყავდა, რომ სახელმწიფოს საქმეები განეგო და ეს ოდესღაც მშვენიერი სასახლე მტრებისაგან დაეცვა. ერთს მშვენიერს დღეს მოვიდნენ მტრები, ხელმწიფე მოჰკლეს და სასახლე დაანგრის. ეხლა ბაღში აღარც აღუბალია, აღარც ჩიტები ჰგალობენ და აღარც ბროლის წკრიალი გაისმის... აჲ ასე, ჩემო პატარავ!...“

ზღაპრის ერთგვარი დაბოლოება თითონ ეგგენი პეტროვიჩს მიაჩნდა სასაცილოდ, მაგრამ სერგოზედ კი შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა. თვალეზედ რაღაც შიში და ნაღვლიანობა დაეტყო. ერთს წუთს შავად დაბნელებულს ფანჯარას შეჰყურებდა დაფიქრებული, მერე შეკრთა უცებ და წამოიძახა:

— აღარ მოვწევ, მამა, ღმერთმანი აღარ მოვწევ!

როდესაც ბავშვი გამოეთხოვა და დასაძინებლად წავიდა, მამა კიდევ დიდ ხანს დადიოდა ოთახში და ილიმებოდა.

„ებლა იტყვიან ხელოვნებითა ფორმამ და სილამაზემ იმოქმედესო, ჰფიქრობდა ბრალმდებელი—ვსთქვათ ეს ყველა მართალია, მაგრამ რა სასიამოვნოა იმ გვარი მოვლენა? არც ეს არის ნამდვილი და სასურველი სახსარი ადამიანის გასწორებისა. მორალური სწავლა თუ ქეშმარიტება რად უნდა იყვეს უსათუოდ შეღობაზღბულ-შეკეთებულთ? განა ქეშმარიტება მარტო იმეტომ არ უნდა მოქმედებდეს კაცზედ, რომ იგი ქეშმარიტებაა? მაშ წამალი ხომ არ არის, რომ გარედგან დაშაქრულ დაოქრული იყოს? ეს ნორმალური მოვლენა არ არის!.. ეს ფალსიფიკაციაა, სიპტყუნე... ფოკუსია!...“

ბრალმდებელს მოაგონდა ნაფიცნი მსაჯულნი, რომელთაც უსათუოდ „სიტყვა“ უნდა უთხრას საქმის გარჩევის წინა; ბრბო, რომელმაც ისტორიას სხვა და სხვა თქმულებებიდგან და ისტორიულ რომანებიდგან სწავლობს, თავისი თავი, ცხოვრების აზრი რომ ქადაგებებიდგან და კანონებიდგან კი არა ჰქონდა შეგნებული და შეთვისებული, არამედ იგავებიდგან, რომანებიდგან და ლექსებიდგან...

„წამალი უეჭველად ტკბილი უნდა იყოს, ქეშმარიტება ლამაზი და შეკეთებული... ამისთანა საოცარი ჟინი კაცმა ადამიდამ მოყოლებით შეითვის-შეისისხლხორცა... მაგრამ.. იქნება ნორმალური მოვლენა ეს არის? განა ცოტაა ჩვენს ცხოვრებაში იმისთანა სიცრუე, ილიუზია, რომელსაც კეთილი აზრი და მიზანი აქვს?“

ბრალმდებელი ნუშაობას შეუდგა, მაგრამ ზარმაცი ფიქრები კიდევ კაი ხანს არ ანებებდნენ თავსა. ზევით, მესამე სართულში გამშებს აღარ უკრავდნენ, მხოლოდ მეორე სართულში მცხოვრები კიდევ კაი ხანს დადიოდა კუთხიდან კუთხეში.

ივ. ბაღუმიანიძე

## პალესტინის შტომ

(ლერმონტოვისა)

პალესტინის შტომ, ერთი მითხარი:  
სად უაინხარდე და სად ჭეუფადი?  
რა მთას, ან წაღკატს ნაზი, ხარხარი  
მშეენიერების სხივით ამკობდი?

ადმოსაფლეთის მზე ზიარ-მღიმარი  
იარდასთან სხივებსა გუენდა,  
თუ რისხვა-კრუღვით დამისა ქარი  
ლივანის მთებში გცემდა: გარხედა?

რას ბედით კრწილი საღიმის შვილი,  
ჩეულებრივ, შენს ფოთლებსა მწინდენ,  
ლოცვას ამბობდენ წუნარსა ისინი,  
თუ ძველებურ ხმებს მაშინ მღეროდენ?

ნეტავ თუ ის ბზა ჭხარობს აქამდის,  
რამეფსად აწ ხარ მოშორებულა?  
და სიღბში თუ იწვევს მწიკს დიდდის,  
რამ დამშვიდოს გულ-დღეზებულა?

ეგებ უშენოდ დასჭკნა იგი ბზა:  
რამეფსად შენ—ისიღ ველარ გიხილავს,  
და მისს მჭკნარ ფოთლებს უდაბნოს ქვიშა.  
შეუბრალებლად დატრიალებს თავს!...

მარქვი: რა კაცის დალოცვით ხელებს  
მეუტანისარ შტომ წმინდის ქვეყნის?

ხშირად აფრქვევდა ის შენზე ცრემლებს?  
და იმ შწარე ცრემლთ იცავ აქამდის?

თუ შეუძარო ზეცისა რაზმის  
ის იყო, ნაოღით გაბრწყინებული?  
შენებრ ხალხის წინ და თან ღვთაების—  
ცის მადლის დირსი და ხსენებული?

აქრთ შეშველი ხატისა წინა,  
იდუმალ ზრუნვით გარემოცული,  
ერუსალიმის შტოვ, დგახარ შენა  
და წმინდა ადგილს იცავ ერთგული!

ბინდი, სინათლე, შტოვ წმიდა ჩემო,  
ჰფარა, ნიშანი უმანკლების,  
და კიდობანი შენსა გარშემო  
გამომეტყველნი არიან შეგების.

გ. ახ—ანი



# ახალი მოკლვერება\*)

ათხ მკჷმედეპიანი და შვიდ სურათიანი ზიესა

თხუზულეზა ბარეტიანი.

მომამედნი პირნი

კერბთ-მსახურნი

მარკოზი, რომის პრეფექტი.

ნერონი, რომის იმპერატორი.

ტიჭეღინი, ნერონის მდივან-ბეგი.

ლიცინიოსი, ედილი (საზოგადო შენობათა ზედამხედველი).

კლავდიუსი } პატრიკები (რომის უმაღლეს დასის მოქალაქენი).  
ფილოდემი }

მეტელუსი, სარდალი.

სერვილიუსი } უბრალო მოქალაქენი.  
სტრაბონი }

ბიტურნიუსი, მარკოზის დარაჯის უფროსი.

ცენტურნიონი (ასის თავი).

მსახური, მარკოზის მონა.

მსახური, ნერონის მონა.

კერონიკა } მდიდარი ქალები—პატრიკები.  
დაკია }

პოპეია, ნერონის მეუღლე.

ანკარია }  
დაონა } ახალგაზდა, მოქეიფე ქალები.  
იულია }  
სირენა }  
კლონი }  
თეია }

\*) ეს პიესა გადმოღებულია გ. სენკევიჩის ცნობილ რომანიდან „Quo vadis“



ზონა } ვერონიკას მსახურნი.  
 კატია }  
 ორი ბავში ნერონთან.

ქრისტაინები:

ფაბიოსი } მოზუცნი.  
 ანისტარსოსი }

მელესი, 25—30 წლის კაცი.

ლუციოსი, 15—16 წლის ყმაწვილი.

მერცია, ახალგაზდა ქალი.

დარჯი, პატრიკები, ხალხი, მონები, ქრისტაინები და სხვ.

მოქმედება წარმოებს რომში, ეპოქა 60—70 წლამდე ქრისტეს შობას შემდეგ.

### მ ო ქ მ ე დ ე ბ ა კ ი რ ვ ე ლ ი

ქუჩა რომში. უგანასკნელ პლანზედ, შუაში—თაღი, რომელშია მოჩანს მდინარე ტიბერი. მარცხნით ლამაზი სახლი; სახლის წინ შესაფალი კიბე. შესაყალი კარები მორთულია გირლანდებით.

### ბ ა მ ო ს მ ლ ა კ ი რ ვ ე ლ ი

მოქალაქენი, მეწიკრილმანენი და სხვ. დაუფილია აჩიანსხვა-და-სხვა ჯგუფებათ სტენაზე. სტრაბონი და სერვილიოსი სხედან მარცხნით სახლის კიბეზედ. გამოდინან შირკულ მარცხენა პლანიდან ჭარის კაცები და მიუშერებიან უგანასკნელ მარჯვენა პლანისაკენ. იმათ მოყოთ ორი კაცი, დარბაზთ ჩამოული და შებორკილი, რომელნიც ძალიან დაღაღული და დასუსტებული აჩიან: ერთი მათგანი ნაბიჯს ძლივს დადგამს და, როდესაც იგი ცოტათი შეჩერდება, ერთი ჭარას კაცთაგანი თავში დასცემს თავის შუბს; ის კენესით წაიფორსილებს; ხალხი კი დასცინის. სტრაბონისა და სერვილიოსის გარდა ეკელანი გადიან.

## გამოსვლა მორაი

## სტრაბონი და სერგილასი

**სტრაბონი** (ზის კიბუხედი). სერვილიოს, როგორ იტყვი, ძალიან არ დაჰკრა?

**სერგილასი** (ზის მასთან გვერდით). ეჰ, დაჰკრა ხომ დაჰკრა, მაგრამ მერმე რა? ის ხომ ქრისტიანი იყო, კაცო!

**სტრაბონი**. რას ამბობ?

**სერგილასი**. მე იმ ვაჟბატონს კარგათ ვიცნობ! მთელი კვირაობით თვალ-ყურს ვადევნებდი—მინდოდა შემეხეებო, მაგრამ იმ წყეულმა გაიოხმა მომასწრო: იმან შეიპყრო და მე კი... დაუკარგე ნერონის 200 სესტერცო.

**სტრაბონი**. როგორც სჩანს, ქრისტიანებზედ ნადირობას კარგათ აჯილდოვებენ.

**სერგილასი**. არა, კაცო, კარგათაც აჯილდოვებენ და თვით ნადირობაც კარგია. იცი, თითქო მგლებზედ ნადირობდე! მასთანვე ეს ნადირობა საშიში სრულიათ არ არის! რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომც ქრისტიანები ბავშებს იპარავენ და კლავენო—ყველა ეს სიცრუე არის, იმიტომ, რომ ისინი ნამეტანი სულმოკლენი არიან. მაგალითად, შენ იმათ სცემ და ისინი კი ხმასაც არ იღებენ (იციანს). არა, კაცო, ძალიან მშიშარა აუაზაკთა ბრბო კი არის!..

**სტრაბონი**. ეს კი, მაგრამ ცეცხლი ვინლა გაუჩინა რომს? ამბობენ—ქრისტიანებმაო.

**სერგილასი**. შენ მაგრე ფიქრობ? მე უფრო კარგათ ვიცი ეს ამბავი, ვიდრე შენ, ჩემო სტრაბონ! მაგრამ ეს ჭეჭენი საქმე არ არის. (ამ ღრეს სტენაზე გაუღის ბიტურძისი დაძაჯითურთ უკანასკნელ მარცხენა პლანდიდან მარჯვენა პირველ პლანისაკენ). ხედავ, —ეს ბიტურძისი არის, მარკოზ დიდებულის დარაჯის უფროსი.

- სტრახბ.** მარკოზ დიდებული!.. ოჰ, ნეტავი მის ადგილზე ვიყო!
- სერკვიდ.** ესე იგი იუპიტერი ან და აპოლონი, არა? გინდ მარგოზ დიდებულის ადგილზედ ყოფილხარ და გინდ ღმერთათ გამხდარხარ—ეს სულ ერთია. შემდეგ იმპერატორისა ის უმდიდრესი კაცია მთელს რომში.
- სტრახბ.** უმშვენიერესიც! ეჰ, რა საძაგლობაა! ერთს ასე ბევრი უნდა ჰქონდეს და მეორეს კი სულ არაფერი!
- სერკვიდ.** დიახ, ჩემო სტრაბონ! მე და შენ ჩინებული ბიჭები ვართ და, მიუხედავთ ამისა, ერთი ფარაც არ გვაბადია. ერთი მარკოზის ცხენებიც ნახე: მათი იარაღი სულ ოქროთა და ვერცხლით არის შემკული—ეს კიდევ არაფერი; შენ წარმოიდგინე, სტრაბონ, ოთხ მილიონ სესტერცათ დაუჯდა მარტო ლხინი, რომელიც იმან ნერონს გაუმართა!
- სტრახბ.** ერიჰა! რას ამბობ, კაცო? განა ამ დამშფულ რომში მოიპოვება ამოდენი ფული?
- სერკვიდ.** ჰმმ, მეტიც მოიპოვება, ჩემო სტრაბონ! რამოდენიმე ჩვენც გვერგებოდა, რომ ერთი ორიოდ ქრისტიანის დატუსაღება შეგვეძლოს. (შემოდან ჟვანსკენელ მარკვენა პლანდიან ფაბიუსი და პირველ მარცხენა პლანდიან აჩისტარხუსი) ჩუმათ! უცხონი მოდიან. თვალყური ვადევნოთ. (სერკვიდიუსი და სტრაბონი გადიან, მაგრამ თვალყურს არ აცილებენ იმათ. ფაბიუსი და აჩისტარხუსი შესჯდებიან ერთმანერთს. ჟვანსკენასე და ცნობის მოყვარებით ერთმანერთს შესტყეაიან. აჩისტარხუსი ხატავს თავის ჯიხით მიწასე თევზს. ფაბიუსი უყურებს ამ ნიშანს).

## გამოსვლა მისამე

### ფაბიუსი და აჩისტარხუსი

**ფაბიუსი.** რასა ხატავ?

**აჩისტარხ.** ვერა ხედავ?-თევზს.

ფაბიოსი. ეგ რა ნიშანია?

არისტარხს. ეს ქრისტიანთა ნიშანი არის. როგორც თევზს არ შეუძლია უწყლოთ ცხოვრება, ისე მორწმუნენი ვერ ცხონდებიან, თუ წმინდა ნათლის-ღებას არ მიიღებენ.

ფაბიოსი. შენ სადაური ხარ, მეგობარო?

არისტარხს. მეთევზე ვარ გალილიედან (ხელს ჩამოართმევებ ერთმანეთს).

ფაბიოსი. საიდან მოდიხარ?

არისტარხს. პარსიდან. გამოგზავნილი ვარ მოძმეთაგან.

ფაბიოსი. ჩუმათ ვილაპარაკოთ: აქ კედლებსაც ყურები აქეთ-დიდ ხანს დარჩები აქ?

არისტარხს. არა, მე მინდა წერილი გადმოგცეთ, სად იკრიბებიოთ ხვალ?

ფაბიოსი. პატარა ტყეში. ცესტიის ხიდის მახლობლათ.

არისტარხს. რა დროს?

ფაბიოსი. საღამოს, მზის ჩასვლის ხანს.

არისტარხს. ბევრი იქნებით? (ამ დროს შეჰძვინს სტრაბონი. ფაბიოსი მას შეამჩნევს და არისტარხსს დაჰპაპავს შეაწყვეტინებს).

## გამოსვლა მეოთხე

იგინიკე და სტრაბონი

ფაბიოსი. ჩუმათ, გეუბნები—აქ კედლებსაც ყურები აქეთ-მეთქი. სტრაბონი (მიუახლოვდება მათ). გამარჯობა თქვენნი!

ფაბიოსი. ვაგიმარჯოს, მეგობარო. (მიდის მარცხნით, მკაკამ წინ შეხვდება სერვილიოსი და შეაჩერებს მას).

## გამოსვლა მესამე

იგინიკე და სერვილიოსი

სერვილი. საით მიეჩქარები?

ფაბიოსი. ჩემს საქმეზე.

**სერგილ.** სად სცხოვრობ?

**ფაბიოსი.** შენი რა საქმეა?

**სერგილ.** შენი მეგობარი, სჩანს, დაქანცული. (აჩისტარხოსი).  
ალბათ შორიდან მოდიხარ?

**აჩისტარხ.** რამოდენიმე დღე გზაში ვარ.

**სერგილ.** დაგენადღევები, თუ შენ გადაკვრა არ გინდა, ა? წამო, წავიდეთ, აი, იმ სამიკიტნოში (უჩვენებს მარცხნით) და თითო ჭიქა მადიანი ღვინო გადაეკრათ, ყელსაც გაისეფლებ.

**აჩისტარხ.** სჯობია, ერთი ჭიქა მადიანი წყალი... აი, ის წყარო (უჩვენებს მარჯვნივ). გმადლობ მაგვეარ ალერსიან მიპატიებებისათვის, მაგრამ დრო არა მაქვს. (მოინდომებს წასვლას).

**სერგილ.** (შეაჩვენებს მას). იცი? — ხანდისხან ისე მოხდება ხოლმე, რომ მგზავრნი უფრო მეტს ხანსა რჩებიან აქ, ვიდრე იმათ სურთ. განსაკუთრებით ეს ხშირათ ემართება იმათ, ვინც გალილეიდან მოდიან. დიახ! (აჩისტარხოსი შეშინდება, მაგრამ თავს შეიკავებს). ნერონი არა ღმობიერ თვალთ უყურებს გალილეელებსა და ნაზარეველებს. იმას ძალიან უყვარს ხოლმე იმათი მოსვენება, აი, აქ (უჩვენებს ჯოხით მიწაზე) გესმის?

**აჩისტარხ.** მე ბევრი გამიგონია მაგის შესახებ.

**სერგილ.** ნერონს შეუძლია შენც ჰოვასვენოს.

**აჩისტარხ.** როდესაც მე ჩემს საქმეებს მოვრჩები, მაშინ მეც სიხარულით მოვისვენებ. (ფაბიოსი და აჩისტარხოსი მიდიან მარცხნით).

**სერგილ.** რა საქმეები გაქვს? (აჩისტარხოსი ჰასუნს არ აძლევს) შენ ვის ემსახურები?

**აჩისტარხ.** ჭეშმარიტების. (ფაბიოსი და აჩისტარხოსი გადას მარცხენა ზღანიდან).

**სტრაბონი.** (შესტკეპის სერგილიოსს) ჭეშმარიტებას ემსახურება! ეს რას ნიშნავს?



**სერგილასი.** ეს იმას ნიშნავს, რომ აქ, მგონი, გემრიელი ლუკმა ვიშოვოთ. შენ შეამჩნიე იმათი საიდუმლო ნიშანი? აბა, შეხედე, ის დარჩენილა: თევზი! ისინი უსათუოთ ქრისტიანები არიან: ეს იმათი ნიშანია! (ზრდიკე მიდის იმ მხრისაკენ, საითაც ფაბიოსი და ანტონის სტარხოსი წაიქცნენ). აქ ნადირობაც არის და ფულიც. აბა, გავყვეთ იმათ. (გადასწრება. — გულისხმობს მთის მუხიანის ხმა და სიმღერა. მარცხენა მხარეს გაშვებული მომდგრება გუნდა, წინ მომდგრებით ფილოდემი და გლაბრიონი; ხარო გახერხება სახლის წინ, მარცხენით, და მღერის რაიმე მხარულ სიმღერას).

### ბამოსვლა მთაში

(სიმღერის დროს სახლის კარები გაიღება და გამოდის დაკია, უკან მოეკებინ მსახურნი)

**დაკია, ფილოდემი, გლაბრიონი და გუნდი.**

**დაკია** (დადგება კიბეზე). საუცხ ავოა, სწორეთ რომ საუცხოვოა — მშვენიერათ იმდერეთ. ეინ არის თქვენი წინამძღოლი? აა, ფილოდემი და გლაბრიონი? რა გნებავთ, ბატონებო?

**ფილოდემი.** ჩვენ გვსურს თავისუფლათ თაყვანის ცემა ჩვენის ღმერთებისათვის.

**დაკია.** ევ თავისუფლება ხომ სულყველას უბოძა ნერონმა, გარდა ნაზარეველებისა. მაინც, მაინც რომელ ღმერთების წინაშე გსურთ მოიდრიკოთ თქვენი მუხლები?

**ფილოდემი.** მე ვენერას წინაშე.

**გლაბრიონი.** მე კი ბახუსის წინაშე.

**დაკია** (იჭინის). გლაბრიონ, გლაბრიონ! როგორ არ მოგწყინდა? შენს სიცოცხლეში სულ წითელ ლოყებიან ბახუსს ეთაყვანები.

**გლაბრიონი.** განა ეს მოგებზრდება კაცს? ღვინის ღმერთი — ეს ყველაზედ უფრო მომთხოვნელი ღმერთია. რაც უფ-



რო მეტ შესაწირავს მიართმევ, მით უფრო მეტსა და მეტს ითხოვს, და რაიცა შეეხება ამ შესაწირავთ კი—ისინი ღმერთისათვისაც სასიამოვნა არის და... ჩემთვისაც, რასაკვირველია. (საზოგადო სიცილი). იმისი ღვთიური ცეცხლი პრიალებს მთელს ჩემს გულში, ჩემს ძარღვებში, ჩემს სისხლში, ჩემს ტვინში... ხანდისხან კი გამეპარება ხოლმე ქვევით-ფეხებმისაკენ და მაშინ ისინი იწყებენ დავას ერთმანერთს შიარის: როდესაც მარჯვენა მოიძარტება აღმოსავლეთისაკენ, მარცხენა უყვირის: „მოიცაო“ და შიართრევს დასავლეთისაკენ—გასაკვირველია, სწორეთ არ შესმის, მაგრამ... სასიამოვნო კი არის! (საზოგადო სიცილი).

**დაკაა.** გლაბრიონ! შენი ფეხები, მგონი, ამ დილასაც ვერ არიან კარგათ.

**გლაბრიონ.** მარკოზის უკანასკნელ ლხინის შემდეგ არაფრის გზით არ უნდათ შერიგდნენ. მაგრამ... ოჰ, რა კაცია ეს მარკოზი?!.. რა ღვინო აქვს, რა ქალები ჰყავს?!.. ო, დიდი გემოვნება აქვს!.. დიდი მკოდნე კაცია ღვინისაცა და ქალებისაც!

**დაკაა.** მაგრამ მისი დამორჩილება მაინც არ შეუძლია არც ღვინოსა და არც ქალებსა; არა, ფილოდემ? (გუნდი გადის).

**ფილოდემი.** მართალია. იმას ღვინისთვის რკინის თაფი აქვს და ქალებისათვის ქვის გული.

**გლაბრიონი.** რკინა სდნება და ქვა კი იმსხვრევა. როდესაც იქნება, მისი ქვის გულიც მოხვდება მახესა, მალე ვნახავთ, ნუ გეშინია.

**ფილოდემი.** აბა, რას ამბობ, გლაბრიონ? განა მარკოზი მაგვართავანი არის?

**გლაბრიონი.** ჩემო შვილო, ყური დამიგდე მე, შენზედ უფრო ხნიერს, უფრო ბრძენსა და უფრო ფხიზელ კაცს: ავგერ 50 წელიწადია, რაც მე დავლოდავ ამ არა

მტკიცე და პირმოთნე წუთის სოფელში; ბევრი უცხო ქვეყანაც დამივლია, მაგრამ არასოდეს არ მინახავს იმისთანა ახალგაზდა კაცი, რომელიც ადრე თუ გვიან არ გახლართულიყოს ვინმე ლამაზ ქალისაგან დაგებულ მახეში.

**ფილადელფა.** მარკოზი მაგვარი არ გახლავს. ნუ გეშინია, ის არ გაებმის მახეში.

**გლაბრიონა.** რადგანაც შენ ჩემი არ გჯერა, ერთი-ლა დამრჩენია გიპასუხო: „მოიცადე“... მოიცადე, ჩემო შვილო, და ბოლოს გაიგებ, სწორეთ გიწინასწარმეტყველე, თუ არა. (მარცხნივ მოისმის ხმაურება და ყვირილი: «საკვდილი ქრისტიანებს». შემოდის ფაბიოსი, რომელსაც უკან მოსდევს სერგეილიოსი, სტრაზონი და მრავალი სხვა მოქალაქენი).

### გაგონსვლა მუხვილი

იგინიკე, ფაბიოსი, სერგეილიოსი, სტრაზონი და ხაღსი.

**ხაღსი.** სიკვდილი, სიკვდილი ქრისტიანებს!

**სერგეილ.** არა, არა! ეს მე გამოვძებნე! ეს ჩემია! მე ჯილდოს ვითხოვ!... მომეცი, მომეცი, ედილს უნდა მივგვარო!

**ხაღსი.** არ შეიძლება! სიკვდილი მაგას, სიკვდილი!

**გლაბრიონი.** რა დაშავა ამ მოხუცმა?

**სერგეილ.** ეს იმ ურჯულო ქრისტიანთაგანია, რომელნიც ცეცხლს უჩენენ მთელს რომს.

**ხაღსი.** სიკვდილი ქრისტიანებს!

**სერგეილიოსი.** ეს მე შევიპყარ და ამისთვის ჯილდოს მოველი.

**ხაღსი.** სიკვდილი, სიკვდილი!... (იმ დროს, როდესაც ხაღსი მიიწევს ფაბიოსის მოსათელსა, შემოდის თაღიდან მერცხა და ჩადგება ფაბიოსსა და ხაღსს შუა. მერცხა შემოსილია თეთრს ტანისამოსში. იგი დგას მშვიდად ხელზე გაშლილი; ხაღსი უკან დაიხუკს და შიშით უცქე-

რის მას, მასთანვე პატივისცემით, როგორც რამე მო-  
ჩვენებს).

### ბამოსვლა მირკვი

ივინიკე და შერცია.

- შერცია.** რა დაგემართათ? ადამიანები ხართ, თუ მგლები? ნუ  
თუ თქვენში მეტი პატივის ცემა არა აქვს ჭალა-  
რას? ისინი შენ გცემდნენ, მამა ჩემო, არა? (წამოა-  
ყენებს ფაბიოსს).
- ფაბიოსი.** მე ტკივილს არა ვგრძნობ, ჩემო შვილო.
- შერცია.** როგორ თუ არა, მამავ, მაშ ეს სისხლი რას ნიშნავს?  
(ფაბიოსს შუბლი აქვს გატეხილი). აბა, ამას შეხედეთ,  
რომის მოქალაქენო! როგორ არ გრცხვენიათ?
- გლახი.** დედა, რა ლამაზი გოგუნაა, თქვენი ქირიმე!..
- შერცია.** ნება მომეც, მამავ, შინამდი მიგაცილო. (მღუპს ფა-  
ბიოსი მარცხნივ. ხალხი გზას გადაუღობავს).
- სერცია.** არ გაგიშვებთ! რას ვაჩერდით, მოქალაქენო? ნუ თუ  
ლამაზმა ქალის სახემ დაგამონავათ?!.. რას ვაჩერ-  
დით?
- ხალხი.** არა, არა!..
- შერცია.** გვედრები, ნება მიეც ამ მოხუცს შინ წავიდეს. ეს  
ხომ ბოროტის განმზრახი კაცი არ არის, მე ამას კა-  
რჯათ ვიკნობ. ნუ თუ თქვენში ბოროტებას ეძა-  
ხიან იმას, თუ კაცი აეთამყოფთ პატრონობს, უძ-  
იურთა შველის და უპატრონოთა სარჩლობს? ნუ  
თუ ამისთვის გინდათ მოჰკლათ ეს ადამიანი?..
- ხალხი.** მაგ ქრისტიანია; სიკვდილი მავას, სიკვდილი! (ხალ-  
ხი გარს შემოუტყუის ფაბიოსსა და შერციას. ამ დროს  
მოისმის საუვირისი ხმა. შემოდის ბეტრიქოსი, უკან მო-  
ხუცებთან ჯარის კაცები, რომელნიც განზედ მისწევ-მოს-  
წევნ ხალხს ამ სიტუკებით: „გზა დიდებულ პრეფექტს!“  
შემოდის მარკუსი თადიდან — უკანასკნელ პლანიდან; ხა-

ღისი გაიძახის: «დიდებულ ჭრეფექტს გაუმარჯვებს! მრე-  
ფექტს გაუმარჯვებს!»)

### გამოსვლა მისხრე

იგიონე და მარკოზი.

მარკოზი. რა დააშავა ამ მოხუცმა?

სერგილი (წინ წარმოდგება). ეგ ქრისტიანია, ბატონო!

მარკოზი. ბიტურიოს! უბრძანე გაჩერდეს! (ბიტურიოსს ხელსა  
ჭკრავს და მარჯვნივ გადადებს სერგილიოსს).

სერგილი. ცათამდის პატიოსან და კეთილ შობილო, ძვე იპუ-  
ტერისა, მაპატივე! რა დავაშავე, ბატონო? (მარ-  
კოზი თვალის დაშტერებით უცქერის მერცხას).

მარკოზი. (მერცხას) შენი სახელი?

მერცხა. მერცია, ბატონო.

მარკოზი. შენი სახელი, მეგობარო?

ფაბიოსი. ფაბიოსი.

მარკოზი. ეს შენი ქალი შვილია?

ფაბიოსი. არა, ბატონო (მიდის მარცხნივ).

მარკოზი. მაშ, ნათესავია?

ფაბიოსი. არა.

მერცხა. მე არა მყავს მშობლები.

მარკო. (ფაბიოსს). მაშ, შენთან რა უნდა?

ფაბიოსი. როდესაც ხალხი თავს დამესხა მოსაკლავათ, ეგ  
ჩადგა ჩემსა და ხალხს შუა და მიხსნა სიკვდილისა-  
გან.

მარკოზი. გიხსნა შენი?!. მმმ!. (თაკისთვის) ო, რა ტურფა  
სახის ქალია!.. (სმა მადლა) რა არის შენი ეს მოხუ-  
ცი?

მერცხა. ეგ ჩემი მასწავლებელია.

მარკოზი. შენ საზოგადო სკოლაში ასწავლი?

ფაბიოსი. არა, ბატონო.

მარკოზი. შენ რომელ სექტას ეკუთვნი?

ფაბიანსი. მე ფილოსოფოსი ვარ.

ხაჯხა. ეგ ქრისტიანია, დიდებული!

მარკოზი. მამს.. ბიტურიოს! გასწმინდე ქუჩა! (ბიტურიოსი გაყრის ხაჯხს, რომელიც გაიძახის: «გაუძარჯვას დიდებული მარკოზსს»).

### გამოსვლა მათი

ივინიკე, გაჩაღა ხაჯხისა.

გლაბრე. ფილოდემ, ხედავ? სილამაზემ დაამარცხა მხეცი, თუ არა? <sup>ჲ</sup>

მარკოზი (უცქერის მერცხას). თუ ოდესმე მეგობარი დაგჭირდეს, ჩემთან მოდი, ახალგაზდავ!

მერცხა. ბატონო!..

ფაბიანსი (გამოსწევს მერცხას). განა შავარდენს შეუძლია, მტრედს მეგობრობა გაუწიოს?

მარკოზი. რატომ არა, თუ შავარდენი მშვიერი არ არის?

ფაბიანსი. შენ დიდებული მარკოზი. ბრძანდები...

მარკოზი. მერმე რა?

ფაბიანსი. დიდებული! ერთი ქალით გინდ მეტი გყოლია, გინდ ნაკლები—ეს შენთვის სულ ერთია. ეს ყმაწვილი—თვით სიწმინდე არის, თვით უმანკობა.

მარკოზი (დაცინვით). ოჰო, შენ შეგიძლია თავდებათ დაუდგე მაგაში?

ფაბიანსი. ჩემს თავსა ესდებ.

მარკოზი. ეგ თუ ასეა, მაშ აცოდე, რომ მთელს რომში უმანკობა იმისთანა იშვიათი რამ არის, რომ განსაკუთრებული სურვილი აღგეძრება ადამიანს, დაიპყრო იგი.

ფაბიანსი. შენ ჩაიღინე კეთილი საქმე, რომ იხსენი ეს ყმაწვილი ქალი გაშმაგებულ ბრბოსაგან. ამას დიდეს მადლობით დავიხსომებთ. მაშ, ნულა მოაცხებ ჩირქს



ამ კეთილხსენებას ცუდი საქმიანობა. თავი დაანებე ამ ყმაწვილ ქალსა; დეე, წავიდეს ისევ თავის გზით, ნუ შეურაცხყოფ!

მარკოზი. მე ხომ არცერთ თქვენთაგანს ხელს არ გიშლით? სადაც გასურთ—იქ წადით.

ფაბიანსი (მიდის მარკოზისთან). პირობა მომეც, რომ არ შეურაცხყოფ ამ ყმაწვილ-ქალსა.

მარკოზი. მოხუცო! ბევრი მოინდომე, მე დაგიცავით ორსავე სიცოცხლე,-ესეც გეყოფათ. წადი!

ფაბიანსი. წავიდეთ, მერცია, წავიდეთ! (ორივე გადის მარკოზისთან).

### გამოსვლა მეთერთმეტე

იგინივე, გარდა ფაბიანსისა და მარკოზისა.

მარკოზი (სწრაფად). ბიტურიოს, გაჰყევ მაგათი შეიტყე, სად სცხოვრობენ, ვისთან სცხოვრობს ეს ყმაწვილი ქალი, მშობლები ჰყავს, თუ არა, შეიტყე მაგის შესახებ ყოველივე, რაც კი შეიძლებაოდეს. გასწი, წადი მალე!

ბიტური. მესმის, ბატონო. (გადის მარკოზისთან).

### გამოსვლა მეთორმეტე

იგინივე, გარდა ბიტურიოსისა.

მარკოზი. რა მშვენიერი სახის არის, რა ლამაზია, რა ახალგაზდაა, მასთან მარტო ხელიც, მერმე სად?.. აქ, ამ სასტიკ, ამ შეუბრალებელ რომში? (მოინდომებს მარკოზისთან წასვლას).

დაკია. დიდებულო მარკოზ!

მარკოზი. ა, მშვენიერო დაკია! თქვენც აქა ხართ, გლობრიონ და ფილოდემ?



**გლაბრ.** გამარჯობა, მარკოზ! ტყუილია? ხომ გემრიელი ლუკმა არის?

**მარკოზი.** უსირცხვილო! — მშვენიერო დაკიავ, რას ინებებ?

**დაკია.** შენს ჩვენთან ყოფნას, კეთილშობილო მარკოზ. შეუერთდი ამათ (უჩვენებს სხვებს) და გამიბედნიერე ჩემი სახლი შენის მუნ-ყოფით!

**მარკოზი** (იუწუება იქით, საათაც მერცაა წაფიდა). ჩემდა საუბედუროთ, ჩემო ლამაზო, სასტიკი მოვალეობა სულ სხვა ადგილს მიმიწევს,

**დაკია.** შენ გეშინია, მარკოზ...

**მარკოზი.** რისა, მშვენიერო?

**დაკია.** ვერონიკას მახვილი ენისა.

**მარკოზი.** არა, დაკიავ, მე არც იმისი ენის მეშინია და არც შენი მშვენიერ ტუჩებისა. ან კი რისთვის უნდა მეშინოდეს მე ვერონიკასი?

**დაკია.** მთელი რომი აერთებს მისა და შენს სახელს: სადაც მარკოზი, იქ ვერონიკაც იხსენიება.

**მარკოზი.** რანაირათ?

**დაკია.** ამბობენ, რომ შენ იგი დანიშნული გყავს. (შესტყუ-რას მარკოზს).

**მარკოზი.** მართლა? რომი დიდ პატივსა მღებს! მე მაგის ღირსი არა ვარ.

**დაკია.** მარკოზი და ვერონიკა... ნამდვილი შესაფერი კი ხართ... ტიპელინი ამ საქმეში შენი მოკილე არის. ამბობენ, რომ მას უნდა ხელიც სთხოვოს ვერონიკას. — მარკოზი და ვერონიკა ერთად ვერ შეუშინდებოდნენ ტიპელინსა!..

**მარკოზი.** ჯერჯერობით მარკოზი მარტოხელიც არ შეუშინდება ტიპელინსა.

**დაკია.** აბა, რა თქმა უნდა? მაგრამ, მაინც ტიპელინი იმისთანა არ არის, რომ უბრძოლოთ რამე დაგანებოს და... იმასთან ბრძოლა, რაც უნდა იყოს, ადვილი

არ არის. შენ და ვერონიკა ერთად უფრო ძლიერი იქნებოდით. (მარკოზი განუწყვეტლავ იყურება ამ მხნისაკენ, საითაც მერცხა გაიდა). შენ დიდების მოყვარე კაცი ხარ და ვერონიკაც საესეა არამც თუ სიმდიდრითა და სილამაზით, არამედ ქუჩათაც, — ვერონიკა ქვეიანი ქალია, მარკოზ!

**გლახბ.** მართალია, მარკოზ, დრო არის ცოლი შეირთო.

**მარკოზი.** რისთვის?

**გლახბ.** როგორ თუ რისთვის? რისთვის ირთავენ ცოლს?

**მარკოზი.** მართლაც და მითხარი, რისთვის ირთავენ ცოლს?

**დაკია.** ყოველი მამაკაცი ვალდებულია, ცოლი მოიძებნოს თავისათვის.

**მარკოზი.** როგორ? მოიძებნოს, თუ შეირთოს მხოლოდ?

**დაკია.** განა ეგ სულ ერთი არ არის?

**მარკოზი.** არა, მშვენიერო! ეგ სულ ერთი არ გახლავს; ცოლის შერთვა ადვილია, მაგრამ მოძებნა კი ჩვენს დროში და ისიც რომში ძალიან ძნელია. ახლანდელ დროში უფრო მეტი პიტივის ცემა აქვთ იმ პირთა, რომელნიც თავიანთ მეკობრეების ცოლებთან სცხოვრობენ, და არა საკუთართან. ხომ მართალია, ფილოდემო? ან კი რა სახარბიელოა ცოლის შერთვა ამისთანა დროში, როდესაც ყველა ჩვენი ქალები ზნეობითა დაცემულნი არიან? ნაცვლად იმისა, რომ სთქვან: ეს და ეს ქალი ამოდენი წლის არის, — ამბობენ: ამა და ამ ქალმა ამოდენი ქმარი გამოიცვალაო.

**დაკია.** კარგია, მარკოზ. ბევრი არიან იმისთანა კეთილშობილი ქალები, რომელნიც არ დალატობენ თავიანთ ქმრებს.

**მარკოზი** (დაცინვით). უმეტესობა, რასაკვირველია, არა?

**გლახბ.** (სიცილით). განსაკუთრებით მდიდართ შორის.

**მარკოზი.** არა. — შეიძლება ბევრი რამ სისულელე ჩავიდინო ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ იმათ

რიცხვში ცოლის შერთვა არ იქნება. — ცოლს არ შევირთავ.

**დაკია.** ვერონიკა შესცელის მაგ. შენს აზრებს. აბა, წავიდეთ მატონებო. ნახვამდის, მარკოზ (შედის სახლში).

**მარკოზი.** ნახვამდის. მშვენიერო დაკიავე! ფლოდემ, გლაბრიონ, არ დაგავიწყდეთ, რომ ხვალ ჩემთან ხართ ვახშმათ.

**ფლოდ.** არ დავივიწყებ, მარკოზ! (შედის სახლში).

**გლაბრ.** არც მე დავივიწყებ, თუ ფეხებმა არ მილალატეს (შედის სახლში.).

### გამოსვლა მესამე

მარკოზი მარტო.

**მარკოზი.** ჰმ! ცოლი შეირთეო?! ვფიცავ ღმერთებს. ეს არასოდეს არ მოხდება, მაგრამ... ის ყმაწვილი ქალი... რა მემართება? იგი თვალთ წინ მიდგას თავის უმანკო სახით... ნუ თუ ის ქრისტიანია? ნუ თუ დავიჯერო, რომ ამისთანა მშვენიერი ქმნილება ამ უსახლკარო ქრისტიანთაგანი იყოს? (შემოდის ბიტურჩიოსი).

### გამოსვლა მეთოთხმე

იგივე და ბიტურჩიოსი.

**მარკოზი.** ა, ბიტურიოს! სად დასტოვე ის ყმაწვილი ქალი?

**ბიტურ.** პატარა სახლში, ბატონო. ჰერკულესის ძეგლიდან მეოთხეში.

**მარკოზი.** აბა, მამამე, რა გაიგე? ვინ სცხოვრობს იმ სახლში?

**ბიტურ.** ის სახლი დიდი ხანია აღნიშნული არის, ბატონო.

**მარკოზი.** როგორ თუ აღნიშნული?

**ბიტურ.** იქ თავს იყრიან ქრისტიანები.

**მარკოზი.** შერმე ეგ მართალია?

**ბიტუკ.** დიახ, ბატონო, მე ნამდვილათ ვიცი, რომ ადგილობრივმა ედილმა ბრძანება გასცა, ფარულათ თვალყური ადევნონ იმ სახლს.

**მარკაზი.** ფარულათ?

**ბიტუკ.** დიახ, ბატონო.

**მარკაზი.** ვინ არის იქ ედილათ?

**ბიტუკ.** ლოცინიოსი, ბატონო.

**მარკაზი.** ლოცინიოსი?!.. ო, იმაზედ უფრო სასტიკი, უფრო შეუბრალებელი კაცი არ მოიპოვება მთელს რომის ჯარში. თუ იმან ვიზედმე ეჭვი აიღო, იმისთვის საჭიროც არ არის გასამტყუნარს საბუთები—იგი იმათ თვით გამოიგონებს, თუ ხელთ არ აქვს. აი, რა, ბიტუკიოს: გასწი, დაბრუნდი ეხლავ იმ სახლში და გაიგე, ნაბრძანებია ვისიმე შეპყრობა, თუ მხოლოდ თვალყურის დევნება. აბა, გასწი და საჩქაროთ შემატყობინე ყოველივე, გესმის?

**ბიტუკ.** მესმის, ბატონო.

**მარკაზი.** გასწი!

**ბიტუკ.** ბატონო, შენ მარტო მიბრძანდები?

**მარკაზი.** მე არავინ არ მინდა. გასწი!

**ბიტუკ.** მესმის, ბატონო. (გადის და თან მიჟაკს დაწკაპი მარტონათ.)

## გამოხვლა მეთხუთმეტი

მარკაზი მარტო.

**მარკაზი.** ლოცინიოსი მხეცია. რამე ფერად უნდა გამოვთხრიშო ის ყმაწვილი ქალი მისი მხეცური ბრჭყალებიდან.—გასაკვირველია!.. როგორც კი დავინახე ის ქალი, მაშინვე ის ვიფიქრე, რასაც საზოგადოთ ქალებზედ ვფიქრობ,—ეს ქალები ისე ჰგვანან ერთმანერთს, რომ სულ ერთსა და იმავეს ფიქრობ იმათ

შესახებ. მაგრამ... მაინც არ მესმის!. ეს ყმაწვილი ქალი იმისთანა რამ მგონია, რაც ჩემს დღეში არ მინახავს. (მიდის მარჯვნივ. ამ დროს შემოდის უგანასკენელ მარტყენა პლანდან კერონიკა, უგან მოკვებთან მსახურნი და მეტელოსი. კერონიკა ჩაცმულია მდიდრულათ და ღამაზათ, როგორც პატრიკის ქალი).

### გამოსვლა მეთემისგან

იგივე, კერონიკა, მეტელოსი და მსახურნი.

**კერონიკა.** მარკოზ!

**მეტელოსი.** მარკოზ!

**მარკოზი** (გამოტრიალდება). ა, გამარჯობა, ვერონიკა! გამარჯობა, მეტელოს!

**კერონიკა.** რადგანაც შენ რომის პრეფექტი ხარ, ამიტომ ყველაფერი გეცოდინება, და რადგანაც მე, როგორც ყველა ქალები, ცნობის მოყვარე ვარ, მსურს გავიგო უკანასკნელი ახალი ამბავი.

**მარკოზი.** უკანასკნელი ახალი ამბავი ის არის, რომ ვერონიკა რაც წინეთ ყოფილა, იგივე ვერონიკა დარჩენილა (ხელს უკანასკნელს).

**კერონიკა.** (იცინის). მელერსები განა?

**მარკოზი.** თუ კი მე ვიტყვი, რომ მზე იგივე მზე არის მეთქი, განა შემოდის უფრო მეტი ქება შევასხა მის სხივებს? თუ კი მე ვიტყვი, რომ ვარდი იგივე ვარდი დარჩენილა-მეთქი, განა შემოდის უფრო ვადიდო მისი სილამაზე? თუ კი მე ვამბობ, რომ ვერონიკა ისევ ვერონიკა არის მეთქი, განა შეიძლება უკეთესი ქების შესხმა? შენ როგორ ფიქრობ, მეტელოს?

**მეტელოსი** (უცქერას მარკოზს). მე რასა ვფიქრობ? მე უბრალო ჯარის კაცი ვარ—და ვფიქრობ იმას, რომ ყველა ეგ ენის თანდები მე სრულიადაც არ მეხება.



მე შემიძლია გავსცე ბრძანება ჯარებში, შემიძლია ავასრულო უმაღლესი ბრძანება, შემიძლია ხმლით ქალი დავიცვა, მაგრამ ენის სიმახვილე კი ჩემი ჭაქმე არ არის.

**მარკ.** მაგრამ ხმლით ქალის გულამდის გზის გაკაფვა ხომ სიყვარულის მოკვლა არის?

**მეტელ.** მერმე რა? მე თუ არა, დეე, ნურც სხვას შეხვდება.

**გერან.** მეტელოს, მეტელოს, ნუ ამბობ მაგვეარ საზარელ სიტყვებს! (მარკოზს) იმედი მაქვს, პატივს დამდებ...

**მარკ.** რით, მშვენიერო ვერონიკა?

**გერან.** იმით, რომ შინამდი მიმაცილებ.

**მარკ.** კი, ბატონო, მაგრამ შენ ხომ გყავს გამყოლი, მერმე როგორი?!

**გერან.** მაშ, ცოტა ხანს შემდეგ მოდი,—მოხვალ?

**მარკ.** ჩემდა სამწუხაროთ, საჩქარო საქმეების გამო იძულებული ვარ მოვაკლდე მაგ სიამოვნებას.

**გერან.** მაშ, ხვალ.

**მარკ.** ხვალ ლხინს ვუმართავ ჩემს მეგობრებს.

**გერან.** მერმე, შე არ მპატიჟობ?

**მარკ.** იქ მამა კაცების გარდა არავინ არ ექნება.

**გერან.** სულ არავინ ქალთაგანი? (შემოდის გლახბრონი).

### გამოსვლა მინჯილმეტი

ივინიკე და გლახბრონი

**მარკ.** მე ხომ მაგას არ ვამბობ, რომ არავინ ქალთაგანი არ იქნება მეთქი, — იქნებიან, რასაკვირველია, მაგრამ მომღერალნი და მოთამაშენი.

**გერან.** აჰა ბოლოს და ბოლოს მარკოზი აღარა ფარავს თავის ნაკლულევენებას.

**მარკ.** განა სიყვარული ნაკლულევენებასა ნიშნავს?

**გერან.** ნუ თუ შესაძლოა, რომ მამა კაცმა შეიყვაროს იმი-

სთანა ქმნილება, როგორც მომღერალი და მოთამაშე ქალი? აქ სიტყვა „სიყვარული“ სრულიათ არ ეხერხება.

**მარკ.** რატომაც არა? ისინი ხომ სიყვარულს ემსახურებიან?

**გერან.** მარკოზ! გული ხომა გაქვს შენ?

**მარკ.** ამ ცოტა ხნის წინეთ მეგონა, რომ იგი არ მქონდა, მაგრამ ახლა, ახლა კი ვგრძნობ იმას.

**გერან.** შენ რა გინდა სთქვა? მე არ მესმის.

**გლაბრ.** არ გესმის? მე დაგეხმარები: ამის წინეთ მარკოზმა დაიწვა ერთი ლამაზი ქრისტიანის გოგუნა გაშმაგებულ ბრბოსაგან.

**გერან** (გატეხული). ლამაზი... ქრისტიანის ქალი? ეს რას ნიშნავს, მარკოზ?

**მარკ.** ეს გლაბრიონის ავანტიურა ფანტაზია გახლავს—ეგ იმის შედეგი არის, რომ ნამეტან გულ-მოღვინეთა სცემს თაყვანს ღვინის ღმერთს, ესე იგი ბახუსს.

**გლაბრ.** ღვინის ღმერთი აქ არაფერ შუაშია, მარკოზ. აი, ფილოდემიც მოდის, იმას ჰკითხეთ. (შემოდის ფილოდემი).

### გამოსვლა მითვრამები

#### ივინიე და ფილოდემი

**ფილოდ.** რათ მიგვატოვე, გლაბრიონ?

**გლაბრ.** წმინდა ჰაერის ჩასუნთქვა მომინდა, აბა, სთქვი, ფილოდემ, დაიმორჩილა სილამაზემ მხეცი, თუ არა?

**ფილოდ.** სილამაზე ყოველთვის მოხიბლავს ადამიანს.

**გერან.** ეს ვისი სილამაზე, ფილოდემ? ქრისტიანის ქალისა, არა?

**გლაბრ.** დიახ, დიახ, ბატონო.

**მარკოზა.** გეყოფა, გლაბრიონ, მე მაგვეარი ხუმრობა არ მიყვარს. დამთვრალხარ და რაებს როშავ, თვითონაც

- არ გესმის. წადი და მოისვენე! ფილოდემ! ხელი მოჰკიდე შენს მეგობარსა და სახლში შეიყვანე.
- ფილოდ.** მართლაც, გლაბრიონ, წავიდეთ. იქ მასპინძელი გველოდება.
- გლაბრ.** არა—როგორც გინდა ისე სთქვი და ის ქრისტიანის გოგუნა სწორეთ ლამაზი კი არის!.. არა, მარკოზიუც სამაგალითოთ მოიქცა, სამაგალითოთ!.. რა ლამაზია, რა საუცხოვო თვალების პატრონია!.. „ქრისტიანი“!.. არა, თავი და ბოლო ის არის, რომ „ქრისტიანი“! მარკოზმა არ იცის ჯერ, თუ რას ნიშნავს ეს....
- ფილოდ.** გეყოფა, გლაბრიონ, წავიდეთ!
- გლაბრ.** წავიდეთ, წავიდეთ, მე მზათა. ვარ (შეკლან სახლში).

### გამოსვლა მითხრამებთ

იგინიკე, გაკრდა გლაბრიონისა და ფილოდეძისა.

- ეკრან.** შეგეშინდა განა გლაბრიონისა, რომ მეტი აღარ ეთქვა?
- მარკოზი.** იმან ისედაც ბევრი ილაპარაკა, გადააქარბა კიდევ.
- ეკრან.** სწორეთ გასაოცარია!.. ქრისტიანი ქალი!..
- მარკოზი.** ეს ჩვენ არ ვიცით ჯერ, ქრისტიანია იგი, თუ არა. ჩემმა დარაჯმა იხსნა სასტიკ ბრბოსაგან ისა და ვილაც მოხუცი—ეს იყო, მეტი არა რა. გლაბრიონმა ან გარდამეტებით იცის, ან არა და სულ ცოტა გაუგონია ამის შესახებ—ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენა არის, როდესაც კაცი მაგგვარ მდგომარეობაშია.
- ეკრან.** მაგრამ, ეს ხომ გაგიგონია, მარკოზ: რაც რომ ფხიზელთ გულში აქვთ, იგი მთვრალთა ენაზედო.
- მარკოზი.** მე კი უფრო ძველ ანდაზას მოგახსენებ: როდესაც ღვინო თავში შედის, ჰკუა იმას ადგილს უთმობს. (შეძოდის მარჯვნივ ტიქელნი)

## გამოსვლა მთაბე

იგინიე და ტიჭელანი

ტიჭელანი (ტოვათ). გამარჯობა, მარკოზ!

მარკოზი (ტოვათე). გაგიმარჯოს, ტიჭელანი!

ტიჭელანი (მიუახლოვდება კერონიკას). გამარჯობა, მშვენიერო ვერონიკა! გამარჯობა, მეტელოს! მე შენ გეძებდი, მარკოზ. კეისარმა გიძღვნა თვისი სალამი და, აი, ეს. (ხელში მისცემს დასველებულ ქაღალდს.—კეისარის ბრძანებას).

მარკოზი. საჩქარო არის?

ტიჭელანი. ძალიან საჩქაროა.

მარკოზი. (კითხვულობს). „ჩემს დიდათ საყვარელ მონას—მარკოზს—ჩემი სალამი. დაწყევლილი ქრისტიანთა სექტათან და თან მრავლდება. აუცილებელი საჭიროა ზმათი მოსპობა. ისინი მტრობენ მთელს რომს, მთელს ჩემს ხალხს, თვით მე... ისინი შეურაცხყოფენ ჩემს ღვთაებრივ გამოხატულებას იმით, რომ უარსა ყოფენ პატივი სცენ მას ჩვეულების და გვართ ღვინითა და გუნდრუკით. მე დაერწმუნდი, რომ მხოლოდ ისინი უჩენენ ცეცხლს რომსა, ისინი კი ხმას ავრცელებენ, ვითომც თვით რომაელები სჩადიოდნენ ამ საქმეს. ისინი ავაზაკნი არიან, მკვლელნი, უსჯულონი, მავნენი და მსმელნი ჩვენის სისხლისა. არ დაზოგო არაფერ იმათგანი: არც კაცი, არც ქალი?! (შეწუხდება) არც დიდი და არც პიტარა. მოჰკალი, ვინც უფრო საშიში იყოს, დანარჩენი კი მხეცთათვის იგულვე გაძლევ სრულ უფლებებს ამ საქმეში. არ დაზოგო არაფერ. ვალდებულად გხდი, იყო ჩემი ერთგული, წინააღმდეგ შემთხვევაში, იცოდე შენის სიცოცხლით მიპასუხებ.—კეისარი.“

გერონი. (ტიჭელანს). ეგ რა წერილი იყო? ხედავ, კეთილშობილი მარკოზი რაღაც შეშფოთდა.

**ტიქელან.** ეგ ნერონის ახალი ბრძანება გახლავს, რომ ეს უსჯულო ქრისტიანები ამოიღებოდნენ იქმნან, და ეს საქმე კეისარმა მარკოზს მიანდო.

**გერან.** სულ ყველა ქრისტიანები?

**ტიქელან.** დიახ, სულ ყველა. მე ხელთა მაქვს მრავალი გასამტყუნარი საბუთები იმათ წინაღმდეგ. მეტი იმათი მოთმენა არაფრის გზით აღარ შეიძლება, კეისრის ბრძანებით უნდა წამებულ იქმნან და სიკვდილით დასჯილნი ყველა ისინიც, ვინც იმათ მხარს მისცემს, ერთის სიტყვით, ვინც იმათ შეიბრალებს და დაეხმარება.

**გერან.** წამება და სიკვდილით დასჯა?!..

**მარკოზი.** ვემთხვევი იმპერატორის ბრძანებას (კამბორება ქალღმადს).

**ტიქელან.** (თვალის დაშტურებით შესტყურის მარკოზს) და შეასრულებ კიდევ?

**მარკოზი.** განა ეს კიდევ საეჭვოა?

**ტიქელან.** შენ შინ მიბრძანდები, მშვენიერო ვერონიკა? ნება მომეც გაგაცილო. (მიდან მარცხნით, იმათ გაუყება შეტყუალსიც).

**გერან.** ნახვამდის, მარკოზ! იმპერატორი მშვენიერათ მოქცეულა, ტანჯვა და სიკვდილი ყველა ქრისტიანს, კაცებსაცა და ქალებსაც! მშვიდობით! (ეველა გადის, გაბრდა მარკოზისა).

**მარკოზი.** მშვიდობით, ვერონიკა!

### გამოსვლა მეოცდამეტე

#### მარკოზი მარტო

**მარკოზი** (იციანის სკედაანათ). აი, სამავალითო ბრძანებაც! უნდა ამოვწყვიტო ყველა ქრისტიანი: ქალი, კაცი, დიდი და პატარა!.. მერმე? ეს ქალბატონი (ხელს გააშუქვს იქით, საითაც ვერონიკა წავიდა) ამას იწო-



ნებს, უხარია!.. ოხ, თუ ქალი ექვობს, მზად არის ყოველ გვარ სისაძაგლეზედ, ოღონდ კი თვისი მოპირდაპირე დაჩაგროს რითიმე (შემოდის ბიტურია-ოსია).

### გამოსვლა მემოსდაორა

ივინიკე და ბიტურიაოსია

**ბიტურიაოსია.** ბატონო!..

**მარკ.** აბა, რას იტყვი?

**ბიტურ.** ყმაწვილი ქალი!..

**მარკ.** მერცია?

**ბიტურ.** დიახ, ბატონო. როგორც შენ მიბძანე, მე თვალყურს ვადევნებდი იმ სახლს, რომელშიაც ის დაიშალა. უეცრათ ვხედავ, რომ ფრთხილად სახლის კარები გაიღო და გამოვიდა ბავშვი; იმან ფრთხილადვე მიიხედ-მოიხცდა და, როდესაც ვერავენ დაინახა, —ვილაცას ნიშნებით უწყობ ძახილი; ვხედავ, გამოდის მერცია საბანში შეფუთული. მე მაშინვე შენკენ გამოვეშურე, რომ მეცნობებინა ყოველივე. აი, ბატონო, ისიც აგერ მოდის.

**მარკაზი.** ბიტურიოს, განზედ გადექ! (ბიტურიაოსია დადგება მარჯვნივ შემოდან მარჯვენა პარკულ პლანდან მერცია და ლუციაოსია, რომელმაც, რაგორც მერცია, თეთრად აწიას შემო — სილა).

### გამოსვლა მემოსდასამი

ივინიკე, მერცია და ლუციაოსია

**მერცია.** აწი მე აღარ მეშინია, საყვარელო ლუციოს. დაბრუნდი თაბიოსთან!

**ლუციაოსია.** არა, ჯერ ვერ მიგატოვებ, რადგანაც ეს ქუჩა კიდევ საშიშია შენთვის.

**მარკაზი** (მაუხზლოვდება მათ). მე ვგონი, რომ ეს ქუჩა შენთვისაც საშიში უნდა იყოს, ბავშვო. (მერცია შეამჩნევს მარკაზს და შეკრთება).

**ლუციაზი**. მე ჩემს თავზედ სრულიადაც არ ვფიქრობ, მე ამაზედ (უჩვენებს მერციასზედ) უფრო ვზრუნავ.

**მერცია**. წავიდეთ, ლუციოს, ნუ გავჩერდებით!

**მარკა**. ნება მომეც, მშვენიერო, მე გაგაცილო! ეს ყმაწვილი შენ ვერ დაგიცავს.

**მერცია**. გმადლობ, მაგრამ ჩვენ არ გვეკირია შენი დახმარება.

**მარკაზი**. შენ ჩემი გეშინია!

**მერცია**. მე მიჩივის, რომ შენ მოგერიდო.

**მარკა**. ეინა? ფაბიოსმა, არა?

**მერცია**. იმანაც და სხვებმაც.

**მარკა**. მაშ, მე ცუდი სახელი მაქვს?

**მერცია**. დიახ.

**მარკაზი**. ხანდისხან მე იმის ღირსი ვარ, ხანდისხან კი—არა. მართალია, მე ყოველთვის ამისრულებია ჩემთვის ყოველივე ის, რისიც კი სურვილი მქონია, მაგრამ დიდი ხანია, რაც მოწადინებით არა მინატრია ჩა. დღეს ამ ძველ რომში მე ვნახე ერთი ნივთი, რომელმაც ხელახლა აღმიძრა გულში ახალი სურვილი... ნუ თუ შენ ვერ მიმხვდარხარ, რა ნივთის შესახებ ვლაპარაკობ?

**მერცია**. მე არც კი მსურს, რომ მივხედე. გთხოვ, გზა მომეც.

**მარკა**. ო, არა! მე არ შემიძლია, არ დავიფარო იმისთანა მშვენიერება, როგორიც შენა ხარ. (შემოდან მარცხნივ ტიქელიანი და სერკილიასი).

### გამოსვლა მეოცდამოთხე

ივანიეკი, ტიქელიანი და სერკილიასი

**სერკილი**. აი, ის ქალი, ბატონო.

**ტიქელიანი**. ვინ არის ეგ ქალი, მარკოზ?

**მარკოზი.** მე ვიცი მარტო მისი სახელი.

**ტიჭკელინი.** ეს კაცი ამბობს, რომ ეგ ქრისტიანია. თუ ეს მართალია, შენ ვალდებული ხარ, დამატუსალო იგი.

**მერცია** (შეშინებული). მე?.. დამატუსალონ?.. რისთვის? რა დავაშავე?

**მარკოზი.** (ცოვათ) დამერწმუნე, ტიჭკელინ, — მე ვიცი ჩემი მოვალეობა არამც თუ კეისარის, არამედ ჩემს შესახებაც. ბიტურიოსს, გააცილე ეს ყმაწვილი ქალი თავის სახლამდის.

**ტიჭკელინი.** გაფრთხილდი, მარკოზ, თუ შენ შენს მოვალეობას არ შეასრულებ...

**მარკოზი.** ტიჭკელინ, კმარა! მე არ ვახლავარ იმ პირთაგანი, რომელთაც შენი ეშინია. ბიტურიოსს! იცოდნე, მე შენ მიპასუხებ, თუ მაგ ქალს ცუდი რამ დაემართა. გასწი! მშვიდობით, მერცია! (მერცია, ლუციუსი და ბიტურიუსი მიდიან. ტიჭკელინი მოანდომებს უკან გაყოფას, მაგრამ წინ დაუდგება მარკოზი და შეაჩერებს; ისინი გაბორცვებით შესცქერავენ ერთმანეთს; მერცია გაბრუნდება და უუუებს მარკოზს).

ფარდა.

## მოამბელება მეორე

(სანამ ფარდა აიწეოდეს, მოისმის ქრისტიანთა გალობა. სტენა წარმოადგენს ღარიბ სახლს, ღარიბთავე მორთულს. ორი კარი — მარჯვენითა და მარცხნით. არისტარხუსი და ფაბიუსი ზიან სტოლთან მარჯვენა კუთხეში. ლუციუსი წამოწალილია რატაკზედ, ფაბიუსის ფეხებთან).

## გამოსვლა პირველი

ფაბიასი, ანისტანასი და ჯუციასი

**ფაბიასი.** მაშ, შენ ამბობ, რომ მარკოზმა ბრძანა—შენ თვალ-  
ყურა გადევნონ.

**ჯუციასი.** დიახ.

**ფაბიასი.** იგი მერციას ემუსაიფებოდა?

**ჯუციასი.** დიახ, კოტა ხანს.

**ფაბიასი.** მაშ, მხოლოდ ის იყო, რაც უკვე გვითხარი?

**ჯუციასი.** დიახ, მხოლოდ ის, რაც მე ვსთქვი.

**ფაბიასი.** მერმე შენ ტიჰელინი აღარ გინახავს?

**ჯუციასი.** არა, არ მინახავს.

**ფაბიასი.** ლუციოს, იცოდე—შენ ბავში აღარა ხარ, შენ უნდა  
იცოდე შენი მოვალეობა.

**ჯუციასი.** მამავ, მე ვიცი ჩემი მოვალეობა.

**ფაბიასი.** შენ ხომ გიყვარს მერცია?

**ჯუციასი.** მიყვარს კი არა, სულს მიჩვენია.

**ფაბიასი.** შენ იცი, რომ იმას უზომო გაფრთხილება მართებს?  
(**ჯუციასი წამოხტება**). მარკოზი ყოველ ღონისძიე-  
ბას ხმარობს, რომ იგი ხელში ჩაიგდოს... იმას სწა-  
დია მისი დაღუპვა... იგი შეუპოვარია, არაფრის წინ  
ის არ შესდგება და, როგორც ძლიერი კაცი, შეუ-  
ძლია აასრულოს ყოველი თვისი სურვილი ისე თავი-  
სუფლათ, რომ პასუხსაც არავინ მოსთხოვს. ჯერ  
იზან არ იცის, თუ მერცია ქრისტიანია, მაგრამ ეჭვი  
აქვს კი. შენ განახეს მასთან ერთად; შეიძლება შენ  
დაგიჭირონ; იმათ გონიათ, რომ შენი გამოტება  
ადვილია, რადგანაც ჯერ ყმაწვილი ხარ...

**ჯუციასი.** მე, მე გილალატო შენ და მერციას?!.. არა, ეგ  
არასოდეს არ იქნება!.. უმაღ მიწა გამისკდება და  
შიგ ჩავეარდები!..

**ფაბიანო.** იცი შენ, რა ქნა ჩვენთვის მაცხოვარმა?

**ლუციანო.** იგი მოკვდა, იგი ჯვარს ეცვა ჩემთვის.

**ფაბიანო.** მაშ, იცოდე, — თუ შენ ლალატობ ერთს იმათგანს, რომელთაც იგი სწამს, მაშინ შენ ლალატობ თვით იმას — მაცხოვარს.

**ლუციანო.** ეგ მე კარგათ მესმის და ვიქმნები მისი ერთგული მორწმუნე თვით სიკვდილიამდის.

**ფაბიანო.** მე მჯერა შენი. ახლა წადი ჩვენ ძმასთან, მელოსთან, და გადაეცი, რომ ხვალ ჩვენ ვიკრიბებით პატარა ტყეში, ცესტიის ხიდის მახლობლათ; ისიც უთხარი, რომ სალამოს იგი საჭირო იქნება. (წრეკე მიდის მარცხნით). იცოდე, ერთგული იყავ! გაფრთხილდი, თვალყურს ხომ არაინ გადევნებს. ღმერთმა დაგლოცოს, შეილო, წადი! (ლუციანო კარებს გააღებს, ფრთხილათ გაიხედავს და მერმე გადის. ფაბიანო კარს მიკეტავს).

## ბამოსვლა მეორე

### ფაბიანო და ანასტასიო

**ფაბიანო.** პატიოსანი და ერთგული ბავშვი!

**ანასტას.** რაც უნდა იყოს, მაინც ბავშვია და ბავშვი. მე არ მესმის, როგორ შეიძლება, თავგვარი საქმეები ბავშვს მიანდო!

**ფაბიანო.** იმისთვის, რომ იმას, როგორც ბავშვს, უფრო არ მიაქცევენ ყურადღებას. აზრადაც არავის მოუვა, თუ ბავშვი საშიშია და ამისათვის თვალყურსაც არავინ აღევნებს. აქნამდის ასედაც იყო, და იგი რომ მერცხისათან არ ენახათ...

**ანასტას.** ყოველ შემთხვევაში შენ გირჩევ, ძმაო, სხვა ვინმე ამოვიჩიოთ ამგვარ საქმეებისათვის.

**ფაბიანო.** მე ამას ხვალვე ეიზამ. (მარცხენა კარზედ ანაკუნებს მკრცია).



**შერცია** (კულისებიდან). მამავე, კარები გამიღე! ჩქარა! ჩქარა!  
(ფაბიოსი კაცს გააღებს, შემოდის შერცია).

### გამოსვლა მისამი

იგინიკე და შერცია

**ფაბიოსი.** რა დაგემაართა? ფერი დაგკარგია! რა მოხდა, სთქვი!  
**შერცია.** (დაუკეპს სკამზედ). ვილაც უკან მომსდევდა...

**ფაბიოსი.** ვინა?

**შერცია.** არ ვიცი. როდესაც სახლიდან გამოვედი, შევხედე ვილაც კაცს, რომელმაც წამოსასხამით სახე დაიმალა და უკან გამომყვა. მე მინდოდა დავბრუნებულვიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე. მაშინ მე შუკაში დავიმაღე; დავიცადე, სანამ ის გაივლიდა, და სირბილით აქეთკენ გამოვსწიე.

**ფაბიოსი.** იმას ხომ არ შეუხედავს, აქ რომ შემოდი?

**შერცია.** მგონი, არა.

**ფაბიოსი.** (აჩისტაჩხესს). ხომ ხედავ, ძმაო, თუ რა მდგომარეობაში ვართ რომში. ჩვენზედ ისე ნადირობენ, ვითომც მხეცები ვიყოთ. არა ზოგავენ არც კაცს, არც ქალს, არც დიდსა და არც პატარას. როდესაც ამფითეატრში უკანასკნელი დღესასწაული იყო, - ნერონმა გასცა ბრძანება, რომ ყველა ჩვენც ყმაწვილი ქალები არენაზედ გამოეყვანათ; იმათ თავს დაეცნენ მშიერი ვეფხები და სისხლი გამოწუწუნეს; ისინი კი უფალს აღიდებდნენ და ისე იხოცებოდნენ. მოხუცნი კი აბრძოლა გლადიატორებთან; რასაკვირველია, ჩვენები იმათ ვერ გაუძლებდნენ და, როდესაც იმათ იარაღი ძირს დაყარეს და უარყვეს გლადიატორებთან ბრძოლა, - მაშინ ნერონმა უბრძანა გლადიატორებს, რომ მოეკლათ ისინი. მოხუცნი ღმერთს შეევედროდნენ თავიანთ ჯალათათათვის და ამნაირად

დაიხოცნენ. დიდება მალაღ ღმერთს! აი, რა ძლიერია იმათი სარწმუნოება!..

**აჩისტარხ.** უფალი მაგიერს გაღუხდის თითოეულს იმათგანს, თანახმად იმათ სარწმუნოებისა და მოქმედებისა. სამწუხარო არა რა გვაქვს, ძმაო. ჩვენ უნდა შეეხაროდეთ ღვთის მოწყალებას, რომ ის ამ რიგად ამხნევებს თავის მორწმუნეთ. ჩვენ მას უნდა შევევდროდეთ, რომ უფრო და უფრო ძლიერდებოდეს ჩვენი სიმხნე და სარწმუნოება. შეიძლება ის ჟამიც მოახლოვდეს, რომ ჩვენ პირდაპირ უნდა წარვუდგეთ სიკვდილს... მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ჩვენთვის ეს სიკვდილი არ არის, არამედ საუკუნო ცხოვრება. (მოაქვს მარცხენა კარებზედ გაკუნი. შეკრდა წამოხტება და აჩისტარხის გვერდით დადგება).

**ფაბიოსი** (მადის კარებისაკენ). ვინა ხარ?

**მარკოზი** (სტენის გაკეთ ხმას იცვლის). კარი გააღე და გაიგებ

**ფაბიოსი.** რა გინდა?

**მარკოზი.** ფაბიოსთან მოლაპარაკება.

**ფაბიოსი.** მე შენ გიცნობ?

**მარკოზი.** კარი გამიღე და მნახავ.

**აჩისტარხ.** (მკრცხას) შენ ხომ ვერ ცნობილობ ამ ხმას?

**მკრცხა.** მგონი, სადღაც გამიგონია. (ისმის ხელახლა გაკუნი).

**აჩისტარხ.** შემოუშვი, ფაბიოს!

**ფაბიოსი.** მერცია! გადი აქედან!

**მკრცხა.** კარგი. (აჩისტარხის გაულებს მკრცხას კარებს და გაუშვებს. ფაბიოსი გააღებს მარჯვენა კარებს, შემოდის მარკოზი გრძელ მოსასხამში გახვეული; ის მიისხედ-მოისხედავს).

### გაოსვლა მორთხე

**ფაბიოსი, აჩისტარხისი და მარკოზი.**

**მარკოზი.** გამარჯობა, ფაბიოს!

**ფაბიოსი.** ვინა ხარ?

**მარკოზი.** ეს ვინ არის, შენთან?

**ფაბიუსი.** მეგობარი.

**მარკოზი.** ეგ რომიდან არის?

**ფაბიუსი.** არა.

**მარკოზი.** შემიძლია ვილაპარაკო მაგის თანადაწრებით?

**ფაბიუსი.** ჩვენ საიდუმლო არა რა გვაქვს. მაგრამ ჯერ ეს მითხარი, ვინ ხარ შენ? თუ კი შენ მიცნობ და გსურს ჩემთან ლაპარაკი, იმ შემთხვევაში მეც უნდა ვიცოდე, ვის ველაპარაკები.

**მარკ.** ჩემი სახელი ტიროსი არის; მე მენავე ვარ.

**ფაბ.** მერმე რა გინდა, ტიროს?

**მარკ.** (სკამზედ დაჯდება; წამოდენიძე ხანს გაჩქრებულად): მე რა მინდა? აი, რა: გუშენ შინ ბრალსა გდებდნენ, რომ შენ ქრისტიანი ხარ, არა?

**ფაბ.** დიახ.

**მარკ.** მერმე, ეგ მართალია? შენ მართლა ქრისტიანი ხარ?

**ფაბ.** შენ რა უფლება გაქვს მაგვარ კითხვებისა?

**მარკ.** მე მსურს გამოგადგე რაშიმე.

**ფაბ.** მერმე შენ რაში უნდა გამომადგე?

**მარკ.** აი, რაში: მე ვიცნობ იმ პირთ, რომელთაც სრული უფლება აქვთ მთელ რომაელთა სიკვდილ-სიცოცხლეზედ. იმათ რიცხვში არიან იმისთანები, რომელთაც ეზიზღება მთელი ქრისტიანობა ისე, როგორც უამი.

**ფაბ.** ეგ ყველამ იცის.

**მარკ.** არიან იმისთანებიც, რომელნიც სიხარულით შეიბრალებენ თვით დამნაშავეთ, შეიბრალებენ იმათ მაინც, რომელთაც გზა დაუკარგავთ, საცდურში შესულან თავიანთ გაუგებლობისა ან სიუმაწვილის გამო...

**ფაბ.** (გაკვირვებით შესტკვრას). შენ რის შესახებ ამბობ?

**მარკ.** აი, შესახებ ამ ახალ სარწმუნოებისა, ამ ცრუ მო-

წმუნოებისა, რომელიც შემოიღეს რომში და სხვა ქალაქებშიაც.

ფაბ. ვესმის, ტიროს,—აძლევ, თუ არა ანგარიშს შენს თავს იმაში, რასაც შენ ლაპარაკობ?

მარკ. ეს კი ვიცი, რომ ქრისტიანები თავყანსა სცემენ რა-ღაც უცნაურ ღმერთს და ფარულად სცდილობენ რომის დაღუპვას!

ფაბ. ეგ უკანასკნელი იმათ შესახებ არ გამიგონია და ის კი, რომ ეს უცნაური ღმერთი არის ერთ-არსი, მარადის მყოფი და ყოვლად ძლიერი ღმერთი!.. რომელიც ბრძანებს, რამეთუ მფლობელთ უყვარდესთ თავიანთი ქვეშევრდომნი, მებატონეთ თავიანთი ყმანი, ყმანი კი ემსახურებოდენ მათ სიყვარულის გული-სათვისვე. იმათი ღმერთი თვით არის უმაღლესი სიყვარული, და ვისაც კი კაცობრიობა უყვარს, იგი ასრულებს უმთავრეს მცნებას, ამიტომ იმათ არა სურთ და არც შეუძლიათ ისურვონ ვისიმე დაღუპვა, თითქმის არც იმისთანა ტირანისა, როგორიც ნერონია, რომელსაც თქვენ კეისარს უწოდებთ. იმის პირიდან არა ისმის რა, გარდა უკეთურებისა და შეჩვენებისა. იმან მოჰკლა ღვიძლი ძმა, მოჰკლა თვისი დედა; მისი გული მუდამ მწყურვალია, მას ყოველ წამს სისხლისწყურია... მის ხელთ ქვეშ დაღობა, გაოხრდა მთელი რომი... გახდა ბუდე ყოველგვარ გარყვნილებისა, მედიდურობის და ავხორცობისა... მისი ბრძანებით იყო ეს საზარელი ცეცხლი რომში, რომელსაც იგი ჩვენ—ქრისტიანთ—გვაბრალებს!.. ვაი, კეისარს! ვაი რომს!..

არასტად. ძმაო!..

მარკ. (წამოადგება). მოხუცო! შენ ნამეტანს შვრები. კიდევ კარგი, რომ ჩემს ყურებს მარტო ესმის ეგ შენი უშვერი სიტყვები, თორემ, რაც შენ ეხლა წარმოასთქვი, ის რომ სხვასთან გეთქვა,—შენ წააგებდი არა-

თუ შენს თავს მარტო, არამედ ყველა შენის თანამონაწილეებისას. გირჩევ—გაფრთხილდე.

ფაბიოსი. მაშ, შენ იმისთვის მოდი, ტიროს, რომ ჩემთვის რჩევა მოგეცა?

მარკუსი. მიზანი ჩემის აქ მოსვლისა ის იყო, რომ შენ გამეფრთხილებინე: შენ თვალ-ყურს გაღვენებენ: ერიდე ტიჭელინსა და ლიცინიოსს; ისინი შენ მოსაკლავათ დაგეძებენ და აგრეთვე იმასაც... იმ ყმაწვილ ქალსა... მერკიას. თუ შენ, როგორც ამბობენ, ქრისტიანი ხარ, მაშინ სჯობია, რომ ის ქალი გაუშვა აქედან; მხოლოდ ამით შეგიძლია შენ იხსნა იგი სიკვდილისაგან. მე და შენ მოხუცნი ვართ, თითოეულ ჩვენთაგანს ცალი ფეხი სამარეში გვიდგას, ის კი ჯერ ყმაწვილია; იმაჲს სურს იცხოვროს, ბედნიერება მოიპოვოს.

ფაბიოსი. ბედნიერება? განა შენ იცი, რა არის ბედნიერება? მერკია! (მიდის მარჯვენა კარებისაკენ) მერკია!

მერკია. (კულისკბიდან) მესმის.

ფაბიოსი. აქ შემოდი, შეილო!

მერკია. მოვდივარ (შემოდის).

## გამოსვლა მესამე

### იგინიუ და მერკია

მარკუსი. გამარჯობა, პატიოსანო ქალიშვილო!

ფაბიოსი. ამ უცნობ კაცსა სურს, რომ შენ თავიდან მოგიცილო, გაგიშვა აქედან.

მერკია. სად?

ფაბიოსი. აი, ამ სოფელში; რომ იცხოვრო სოფლისთვისვე, როგორც ცხოვრობენ ისინი, რომელთაც არ იციან, თუ რა არის ქეშმარიტება, პატიოსნება. გსურს, თუ არა შენ?

მერკია. არა, მამა ჩემო, მე ეგ არა მსურს.



**ფაბიუსი.** ეს კაცი ამბობს, რომ ამაში ბედნიერება იმყოფებაო.

**მერცია** (მიუხსლავდება მარკოზს). მაგან არ იცის, რასაც ლაპარაკობს. ბედნიერება ის არ არის, რაც მაგას ჰგონია; ბედნიერება იმაში არ მდგომარეობს, რომ მარტო იღონო და იმხიარულო, არამედ როდესაც სისწორით, მასთანვე სიხარულით ემსახურები ღმერთსა და კაცობრიობას, ემსახურები მოყვასთა თვისთა. (შესვდავს თვალებში მარკოზს და შეშინებული დაიყვირებს). მამავ! ეს კაცი ის არის, რომელიც ჩემს კვალს მოყვებოდა!..

**ფაბიუსი.** მართალია, ტიროს?

**მერცია.** ეგ ტიროსი არ არის... მე ვიცანი... ეგ მარკოზია; რომის პრეფექტი!..

**ფაბიუსი.** } (გაკვირვებულნი) მარკოზი?  
**ანისტარ.** }

**მარკოზი.** (სწრაფად მოახსენის მოსახსამს). დიახ, მე მარკოზი ვარ. შენი თვალები ისეთივე გამჭრიახი არიან, როგორც ლამაზი. (მერცია შეშინებული ფაბიუსს ამოუთარებს).

**ფაბიუსი.** მე მეგონა მარკოზი სხვას ქირაობდა ამგვარი საქმეებისთვის.

**მარკოზი.** ვფიცავ ჩემს ღმერთებს, მოხუცო, იგი ასეც იზამდა, მაგრამ აქ არის იმისთანა ვინმე, რომლის ნახვაც თვით მას სურდა... და თუ კი იმან რაიმე მოიწადინა, მაშინ იგი არ მიაქცევს ყურადღებას არავითარ დაბრკოლებას... იგი დიდის სიხარულით განდებოდა შენი მეგობარი, მოხუცო, მაგრამ... მაგრამ იმას ნაბრძანები აქვს კეისრისაგან, დახოცოს ყველა ქრისტიანი: ქალი, კაცი, დიდი და პატარა. ჯერ-ჯერობით შენს წინააღმდეგ არ არის არც ერთი გასამტყუნარი საბუთი; ვევედრები ჩემს ღმერთებს, რომ არ იქნეს კიდევ, თორემ სანამ კეისარი ცოცხალია,

იძულებული ვარ, დავემორჩილო. მის ბრძანებას. მე თქვენ ვაგაფრთხილეთ, სხვა არა შემეძლო რა. მაშ, ეს დაიხსომეთ და ზომებიც მიიღეთ. (ისმის მარცხენა კარებსზედ კაკუნნი).

ფაბიოსა. ვინა ხარ?

მელქსა. (სცენის გარეთ) შენი მეგობარი—მელოსი. ჩქარა, კარები გაძილე!.. უბედურება მოხდა!..

ფაბ. (კარს გააღებს) შემოდი, მელოს! (შემოდის მელქსა).

### გამოსვლა მთავრად

#### ივანიკე და მელქსა

მელქსა. (აღელვებული) ლუციოსი დაიჭირეს... (შეაშინებს მარკოსს) ახ?!..

ფაბიოსა. ლუციოსი? ვინ დაიჭირა?

მელქ. ლიცინიოსმა.

მარკოსი. ხომ გეუბნებოდით, ფაბიოს?

მერცხ. ღმერთო!..

მელქ. ეგ ვინ არის?

ფაბ. მარკოზი, რომის პრეფექტი.

მელქ. აქ რა საქმე აქვს?

მარკოსი. ეგ შენი საქმე არ არის, მხოლოდ შენ ესა სთქვი, ვინ არის ლუციოსი? ეს ის ბავშვი ხომ არ არის, მერცხია, რომელიც მე შენთან ვნახე?

მერცხ. დიახ, ის არის.

მარკოსი. როდის დაიჭირეს?

მელქ. აი, ახლა.

მარკოსი. თვით ლიცინიოსმა?

მელქ. დიახ, თვით იმან.

მარკოსი. სად წაიყვანეს?

მელქ. არ ვიცი... ის წაიყვანეს... და მე აქეთ გამოვეშურე...

**მარკ.** თუ იმ ბავშვმა იცის რამე, სჯობია—ქალაქიდან გაიქცეთ, თორემ წამება იმ ბავშვს ყველაფერს ათქმევინებს. მე წავალ ლიცინიოსთან. თუმცა მე არავითარი უფლება არა მაქვს ხელი შევუშალო თავის მოვალეობის შესრულების დროს, მაგრამ შემძლია ვიზრუნო, რომ ზედ-მეტი არა ქნას. მა'შ, გახსოვდეთ, რაც მე გითხარით. ნახვამდის! ნახვამდის, მერცია! (გადის მარცხენა კარებში).

### გამოსვლა მუხილი

იგინიკე, გარდა მარკოზისა

**მერც.** საწყალი, საწყალი ლუციოსი; ნუ თუ არავითარი საშუალება არ არის, რომ დავეხმაროთ?!..

**ფაბ.** იმედი ვიქონიოთ მხოლოდ უფლისა! თვითონ ჩვენ ვუშველით.

**მერც.** ო, ნეტავ შემეძლოს, მონაწილეობა მივიღო მის ტანჯვაში?! მე ნეტავი მასთან ვიყო!

**ფაბიოსი.** მერმე შენ რას უშველი, შეილო? შენ სხვა საქმეცა გაქვს. ხომ არ შეშინდი, ჩემო შეილო?

**მერცია.** არა,-მე მზათა ვარ ყველაფრისათვის: რა უბედურებაც უნდა შემხვდეს, მე ყოველთვის წინ წავალ,-უკან კი არასოდეს არ დავიხევ.

**ფაბიოსი.** კიდევც რომ სიკვდილი მოგელოდეს?

**მერცია.** კიდევც რომ თვალ წინ მედგას სიკვდილი.

**ფაბიოსი.** აბა, წავიდეთ! აღარაფრის გზით არ შეგვიძლია, რომ გავაფრთხილოთ ჩვენი ძმები, რადგანაც ისინი ალბათ გზაზედ არიან—ყრილობის ადგილისაკენ. წავიდეთ ჩვენც, ვილოცოთ იმათთან ერთად და უფალი ღმერთი, დიდება მის სახელს, არ დაგვტოვებს უყურადღებოთ! დეე, ყოველ მხრივ გარს შემოგვერტყენ მტერნი, ჩვენ იმათ დაუუმტყიცებთ, რომ ჩვენ ისე მშვიდათ ვხვდებით სიკვდილს, ვითომც

იგი არ არსებობდეს ჩვენთვის! აი, მხოლოდ ამით თუ შეგვიძლია ჩვენ ვაცნობოთ იმათ, რა არის ქე-  
შმარიტება!.. (ყველანი გადიან მარჯვენა კარებში, მელ-  
სი უკან გაყვება ღამპრით ხელში. წამოდენიძე ხანს  
სცენა წარიეფა. ოთახში ერთიანათ ბნელა. მარცხენა  
კარებიდან შემოდის ტიჭკელინი, ლიცინიოსი და ცენ-  
ტურიანი ორი ჯარის კაცით, წამოელთაც მიყავთ ლუ-  
ციოსი; თან შემოაქვთ ორი ღამპარი).

ბამოსვლა მხრე

ლიცინიოსი, ტიჭკელინი, ცენტურიანი, ლუციოსი  
და ორი ჯარის კაცი

ტიჭკელინი. აბა, ზევით ასწიეთ ლამპარი! აჰა, მაშ ეს არის იმა-  
თი სასახლე, არა?

ლიცინი. ისინი ფარავენ თავიანთ საუნჯეს.

ლუცი. ჩვენ დასაფარავი არა რა გვაქვს... ჩვენ ლარიბნი  
ვართ, ჩვენ არავითარი საუნჯე არა გვაქვს.

ლიცინი. ხმა, ხმა გაჰკმინდე, კნუტო! შენ ვინ გეკითხება!

ტიჭკელინი. მგონი, ჩქენს ნადირებს ჩვენი სუნი სცემიათ და მი-  
ტომაც გაქცეულან.

ლიცინი. ყოველ შემთხვევაში ეს სახლი უნდა გავჩხრიკოთ.  
ცენტურიონ! აბა, წაიყვანე ჯარის კაცები და ეს  
პატარა მორიელიც! გასჩხრიკე ყველა კუთხე, არ  
დასტოვო არაფერი! არ დაგავიწყდეს, შეიძლება  
საძრომი აქვთ საღმე მიწას ქვეშ.

ტიჭკელინი (ლუციოსს). აბა, წადი და აჩვენე ამათ ყველაფერიც;  
გაინძერი, ჰო! ერთი ამას შეხეთ, ძლივსლა ანძრევს!  
იქნება გგონია, რომ მარტო მათრახი ვაკმაროთ!...

ლუცი. მომკალით! მომკალით!... ოღონდ იმას ნუ გამახსე-  
ნებთ, რომ ჩემიანთ ვულალატე.

ტიჭკელინი. აბა, გასწი, ჰო! წაიყვანეთ ეგ მორიელი (ცენტური-  
ანი და ჯარის კაცები მიდიან და მიყავთ ლუციოსს).

## გამოსვლა მეცხრი

## ტიტქელანი და ჯიციანიალსი

**ჯიციან.** სახლი ვარს შემორტყმულია და, თუ ისინი აქ არიან...

**ტიტქელან.** არა, მკონი. კაცო, რა ფუნატიკოსები არიან!.. ეგ ხომ ბაღლია და მოწითული კაციც ვერ აიტანდა იმოდენ წამებას, რაც მაგან გადიტანა!

**ჯიციან.** მაგრამ ყველაფერი მაინც არ სთქვა. ოღონდ ის კი სთქვა, რომ ქრისტიანები ცესტიის ხიდის მახლობლათ იკრიბებიანო, მეტი არაფერი; სახელიც არავისი სთქვა!

**ტიტქელან.** იმათ სახელს ჩვენც შევიტყობთ, ეგ არაფერია. მხოლოდ, აი, რა გითხრა, ლიცინიოს: ნეტავი შეგვეძლოს მარკოზის ამ საქმეში ჩახლართვა!

**ჯიციან.** კეისარი არ დაიჯერებს.

**ტიტქელან.** დაიჯერებს, დამერწმუნე, დაიჯერებს. კეისარს ისედაც ეხარბება მისი სიმდიდრე, და მარკოზი რომ ისე გულუხვი არ აყოს... კეისარს ამ გულუხვობისათვის უყვარს იგი. ოღონდ ცოტათი ეჭვში შევიყვანოთ და მერმე სულ გამოიცვლება, სულ სხვა თვალებით შეხედავთ მარკოზს. კეისარი ყველას ეჭვით უყურებს, თითქმის მეც, მერმე მისი ერთგული მაინც არ ვიყო!..

**ჯიციან.** შენ და მარკოზს იგი ერთნაირად გიყურებს, თქვენ იმის გულში ერთნაირი ადგილი გიჭირავთ.

**ტიტქელან.** დრომდის. კეისარი არასოდეს არ შესდგება იმ შთაგონებათა წინ, რომელნიც ავნებენ ან დაღუპვენ ვისმე. მარკოზს ის ქრისტიანის ქალი გაგიჟებით უყვარს; დამერწმუნე, თუ კი ჩვენ იმ ქალს დავატუსადებთ, მაშინ მარკოზი იმისთანა სისულელეებს ჩაიდენს, რომ სულ ადვილი იქნება მისი მახეში



გაბა: ის მოუთმენარია, ფიცხი წინ დაუხედავი,— და ამგვარ ვაუბატონების დაქერა ძალიან აღვილია. ამასთანავე იმას დიდი იმედი აქვს თავის სიმდიდრისა და შეგობრებისა,—და, აი, ამის გამო ის მით უფრო ნაკლებ სიფრთხილით მოიქცევა. ეს ერთიანათ დაჰკარგავს თავის თავს კეისარის თვალში და მაშინ კი ისიც და მთელი მისი სიმდიდრე... ხომ გესმის, რის თქმაც მინდა? ეცადე, ეცადე, ლიცინოს, და შენც გერგება რამე!..

დიდნ. მგონი, მოდიან. (მემოდან ტენტუჭიანი, ჯარის კაცები და ლუციოსი).

### გამოსვლა მათე

იგინიკე, ტენტუჭიანი, ჯარის კაცები და ლუციოსი

დიდნ. აბა, რას იტყვით? ვერაინ ნახეთ?

ტენტუჭ. ვერაინ, ბატონო, ყველაფერი დაძებნეთ.

ტიჭკლ. მეც აგრე ვფიქრობდი.—აბა, ლუციოს, ჩამოთვალე იმ ქრისტიანთა სახელები, რომელნიც შენ იცი.

ლუც. არ შემეძლიან, არა...

ტიჭკლ. ხომ სულ ერთია,—ახლა ჩვენ ვიცით, სად ცხოვრობთ და სად იკრიბებით. თუ იმათ სახელებს იტყვი, მე შენ ათას სესტერცის მოგცემ.

ლუც. ღმერთო ჩემო! ჩემი მოსყიდვაც მონინდომეს! რას მოვესწარ მე უბედური!.. მომკალით, მომკალით!

დიდნ. რატომ, რისთვის? მოკვლა რა საჭიროა? მკვდრები არ ლაპარაკობენ, შენ კი საჭირო ხარ ჯერ-ჯერობით. შენი მოკვლის დრო ყოველთვის გვექნება.

ლუც. (ამაჟად) მაშ, მე არაფერს არ გეტყვით.

დიდნ. რომ არ იტყვი, მაშინ უარესი დაგემართება: ვუბრძანებ ამათ და... (უჩვენებს ჯარის კაცებს) ა, გინდა?

- ტიტელ.** რად გაიქცნენ ყველა ისინი, რომელნიც აქ შენთან ერთად სცხოვრობდნენ?
- ლურ.** მე ეგ არ ვიცი, ისინი უჩემოდ წასულან.
- დიცან.** სჩანს, ისინი ვილასაც გაუფთხილებია და დამალულან, გაქცეულან შიშის გამო.
- ლურ.** იმათ არ იციან, თუ რა არის შიში.., ისინი სულ-მოკლე არ გახლავთ, როგორც მე...
- ტიტელ.** შენ ფიქრობ, რომ სინი კრებაზედ წავიდნენ, ცესტიის ხიდისაკენ?
- ლურ.** მე არა ვიცი-რა. და რასაც ვფიქრობ, იმას კი არ გეტყვით.
- დიცან.** (ჯანის კაცებს) აბა, ერთი კიდევ დაჰკარით და მაშინ უფრო იტყვის.
- ლურცასა.** ნომკალით, სჯობია, მომკალით! (ჯანის კაცები ხელს მოჭკიდებენ, მაგრამ ლურცასა წინააღმდეგობას უწევს). არ ვიტყვი, არა და არა!.. (შემოდის მარკოზი).

## გამოსვლა მითავითმება

### იგინივე და მარკოზი

- მარკ.** ეს რა ამბავია? ხელი გაუშვით!
- დიცან.** (ჯანის კაცებს) თქვენ ისა ქენით, რაც გიბრძანეს!
- ტიტელან.** მარკოზ! შენ სხვის საქმეში ერევი.
- მარკ.** მე?—გეუბნებით ხელი გაუშვით მაგ ბავშვსა, თორემ, გეფიცებით თვით კეისრის საცოცხლეს, რომ სასტიკათ დაისჯებით. (ჯანის კაცები ხელს გაუშვებენ ლურცასს).
- ტიტელ.** კარგი, ბატონო! მე ამას კეისარს გარდავცემ და შენ ამისთვის პასუხს აგებ.
- მარკ.** იქნება შენ დაგავიწყდა, რომ ამ ბრძანების ასრულება კეისრისაგან მე მაქვს მონდობილი და შემოდლია ავასრულო ისე, როგორც მე მსურს?

- დაცინ.** შენ არ ასრულებ მაგ ბრძანებას, მარკოზ. შენ ხელს აუფარებ ქრისტიანთ, შენ მოლაღატე ხარ!..
- მარკ.** (მიჯარდება სმალ ამოდებულად დაცინიანს, რომელიც შიშისაგან ჩაიჩოქებს). ეხლავე, ამ წუთსავე უკან წაიღე შენი სიტყვები, გეუბნები, უკან წაიღე-მეთქი, თორემ ვფიცავ იუბიტერს, შუა გაგაბობ! წაიღე-მეთქი, უკან წაიღე შენი სიტყვები.
- ტიპელ.** (ჩუმათ დაცინიანს). ლიცინიოს, დაუთმე!
- დაცინ.** მე.. მე გავცხარდი და ძლიერ ვწუხვარ.
- მარკ.** ..და უკან მიგაქვს შენი სიტყვები, როგორც ცრუ და უსაფუძვლონი?
- დაცინ.** მიმაქვს.
- მარკ.** კმარა! გირჩევ, მეორედ დაფიქრდე და ისე ილაპარაკო, ვფიცავ იუბიტერს, რომ თქვენ ცუდათ იქცევით.
- ტიპელ.** ეს კი ჩვენი საქმეა, მარკოზ. ცენტურიონ, წამოიყვანე ჯარის კაცები და უკან გამოგვყევ. წავიდეთ, ლიცინიოს, თორემ ჩვენ დავაგვიანებთ.
- მარკ.** სად მიეჩქარებით?
- ტიპელ.** სადაც მოვალეობა მიგვიწვევს (გაღიან ყველანი, გაქდა მარკოზისა და ლუციანისა).

### გამოსვლა მეთორმეტე

#### მარკოზი და ლუციანსი

**ლუციანსი.** გააჩერე, გააჩერე, ღვთის გულისათვის!

**მარკოზი.** ჩისთვის? რას გიშვრებოდნენ ისინი?

**ლუციანსი.** მე იმათ მცემეს, მაწამეს და მეც გავეცი... გავეცი ისინი, რომელთაც მე ვუყვარდი, რომელთაც მე აღმზარდეს და კეთილი მასწავლეს. ო, შენ ძლიერი ხარ, ყოვლად ძლიერი! თუ კი შენ ტიპელინისა და ლიცინიანის ბრძკალეებიდან მიხსენი, შენ ყველაფერი შეგიძლია... ოჰ, რა რიგად მცემეს, რა რიგათ

დამტანჯეს... მე ვეღარ მოვიტყინე და ვავეცი ისინი..  
 უშველე ჩვენებს, უშველე იმ ყმაწვილ ქალს... აი,  
 იმას, ხომ გახსოვს?... დაიხსენ მერცია!.. ისინი იმას  
 მოჰკლავენ, დასტანჯვენ!.. უშველე, უშველე, ღვთის  
 გულისათვის!..

**მარკოზი.** შენ რაღაც ისე აბნეულათ ლაპარაკობ, რომ ვერც  
 კი გაიგებს კაცი: ეს ყმაწვილი ქალი აქ რა შუაშია?

**ლუციასი.** ის იქ იქნება...

**მარკოზი.** სად—იქ? გამაგებინე, გარკვევით ილაპარაკე!

**ლუციასი.** ქრისტიანების კრებაზედ, პატარა ტყეში, ცესტის  
 ხიდის მახლობლათ.

**მარკოზი.** შენ ვგ ტიპელისს უთხარი?

**ლუციასი.** მე ისინი არ დამისახელებია, მაგრამ ის კი ესტყვი,  
 სად იკრიბებიან... იმ რიგათ მცემეს, რომ ძალით  
 მათქმევინეს... უშველე მერციას!... ის ალბათ იქ  
 იქნება... ის ყოველთვის ძმებთან ლოცულობს... ის  
 ანგელოზია... ოჰ, ნეტავი იცოდე, რა კეთილი ადა-  
 მიანია!..

**მარკოზი.** შენ ფიქრობ, ის იქ წავიდოდა, კიდევ რომ ცოდ-  
 ნოდა, რომ იქ იმას ხიფათი მოყლის?

**ლუციასი.** მე დარწმუნებული ვარ, რომ ის იქ არის თავის  
 ძმებთან ერთად.

**მარკოზი** (ტაშის კვრით უძახის ბიტურჩოსს). ეი ბიტურჩოს!  
 (შემოდის ბიტურჩოსი).

## გამოსვლა მესამეტი

ივინავე ბიტურჩოსი.

**ბატურ.** რას მიბრძანებ, ბატონო?

**მარკოზი.** გასწი ეხლავე ცესტიის ხიდისაკენ, თან წაიყვანე  
 ჯარის კაცებიც. იქ პატარა ტყეში ქრისტიანთა ყრი-  
 ლობა არის. იმათ შორის იქნება ის ყმაწვილი ქალი,

- მერცია... რაც უნდა მოხდეს, იგი უნდა იხსნა, თვით კეისარის რისხვაც რომ შეგხვდეს! გესმის? გასწი!
- ლუც. მე ვიცი სულ მოკლე გზა. მე წავეყვები... ოჰ, გმადლობ, გმადლობ! (სტიჩის).
- მარკ. რაღა გატირებს?
- ლუც. არ შემძლია, არ შემძლია... იმ რიგათ მიხარია!..
- მარკ. წავიდეთ, წავიდეთ! აბა ბიტურით, თან წაიყვანე ეს ბაეში.
- ლუც. ო, კეთილო ადამიანო! ღმერთო, შენ გვიშველე! (ეველანი გადის.)
- (ფარდა)

## მ რ ძ მ ე დ ე ბ ა მ მ ს ა მ ე

### სურათი პირველი

(სცენა წარმოადგენს ქვირთასად მორთულ ოთახს კერონიკას სასტუმრო. ოთახში იწვის კეთილსუნოვანი გუნგრუგი. — კერონიკა ზის საპირისუფარქმო სტოლთან, მის ახლო დგას მსახური, ზონა, და ბეწვის კაღმით წარბებს უსწორებს. მეორე მსახური, კატია, დაჩქადი კაბის ნაოჭებს უსწორებს და მერმე გადის. კერონიკა ხეღში აიდებს საჩქეს და შიგ იუყრება).

### გამოცვლა პირველი

#### კერონიკა და ზონა

- კერონ. აქ მოიბა კალამი! დღეს რაღაც სულ უყურადღებოთ ეკიდები საქმეს.
- ზონა. არა, ქალბატონო, მე..
- კერონ. ე, თავს ნუ იმართლებ, შენს მზეს! ეს წარბი სულ მრუდათ გაგიყვანია. (ზონა დაიხრება) რა დაგემართა? შეყვარებული ხომ არა ხარ? რას გაჩუმებულხარ? სთქვი!



- ზანა. თვით შენ მიბრძანე, თავს ნუ იმართლებო, და მეც გაჩუმებული ვარ.
- გერან. კმარა, კმარა! შენ ეს მითხარი, როგორი ვარ ღღეს, ა? (შეტრიალდება საწყის წინ).
- ზანა. განა შენზედ უფრო ლამაზი მოიპოვება ვინმე, ქალბატონო? მარკოზი შენ უნდა გაღმერთებდეს, თუ ის აღამიანია და არა ქვა.
- გერან. განა სხვა ცოტა არის, ვინც ჩემთვის თავს შესწირავს?
- ზანა. სხვებზედ ლაპარაკი ხომ საჭიროც აღარ არის!.. აი, მაგალითად, მეტელოსი...
- გერან. მეტელოსი? ის ნამდვილი სულელია, იგი მე მეზიზღება.
- ზანა. ქალბატონო! თქვენგან არ მიკვირს!.. იგი მდიდარია... და მდიდარი და სულელი ქმარი—განა ამაზედ უკეთესი იქნება რამე? მერმე ტიჰელინი...
- გერან. იგი პირუტყვია. ეჰ, ყველა მავათ თავი მომამებრეს მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი მარკოზი... (შემოდის კატია უკანასკნელ მარცხენა პლანდიან).

## გამოსვლა მორკი

იგინიკე და კატია

- გერან. აბე, რას იტყვი?
- კატია. გაგზავნილი მონა უკვე დაბრუნდა.
- გერან. რა პასუხი მოიტანა?
- კატია. კეთილშობილ მარკოზს უთქვამს, რომ ვიანლებათ მაშინვე, როგორც თავის საქმეებს მორჩება.
- გერან. კარგი.—შეგიძლია წახვიდე. (კატია გადის).

## გამოსვლა მისამე

## ვერონიკა და ზონა

**ვერონ.** უჰ, როდის გათავდება ეს საქმეები?.. სულ საქმე და საქმე!.. ზონა, გამაცალე ყველა ეს აქედან! (ზონა ინისავს, რატო კი საშირისფარქმო სტოლს ეკუთვნის). აიღე ფანტური და მიმღერე რამე. (ზონა აიღებს ფანტურს და დაჟდება ვერონიკას ფეხებთან. ამ დროს შემოდის კატია).

## გამოსვლა მერთხე

## ივინიკე და კატია

**კატია.** დაკიას სურს ქალბატონის ნახვა.  
**ვერონ.** ა? დაკია? მე მეგონა მარკოზსაო. სთხოვე. (კატია გადის). უდროვო დროს კი მოვიდა სწორეთ. (შემოდის დაკია, ზონა გადის).

## გამოსვლა მისუთი

## დაკია და ვერონიკა

**დაკია.** ა, ძვირფასო ვერონიკა! რა მოხარული ვარ (კონანის ვერონიკას).  
**ვერონ.** (წამოადგება). საყვარელო დაკია! რამ გაფიქრებინა?..  
**დაკია.** ერთი რამ შენი ნახვა მსურდა და მეორე ისა, რომ შენთან მხოლოდ თუ ეპოულობ ნუგეშსა!..  
**ვერონ.** კიდევ წააგე, არა?  
**დაკია.** (მიდის ტახტისაკენ). მაგაზედ უარესი, გენაცვალე; წიკება ისე არ შემაწუხებდა... შენ წარმოიდგინე, ეს რეგვენი ფილოოდები უარს მეუბნება: ფულებს აღარ მძღვეს.

- გერონ. შენს ქმარსა სთხოვე.  
დაკია. ვსთხოვე, ვსთხოვე, როგორ არა; მაგრამ იმან გაიცინა და ასე მითხრა: „თუ ფილოდემს არა სურს შენი ვალის გადახდა, მაშინ სხვა საყვარელი აიყვანეო“. ა, როგორ მოგწონს, ვერონიკა? ის ამას არ მეტყობდა, რომ დაუფარავად არ სცხოვრობდეს ბინიოსის დიდ-ცხვირა ცოლთან, რომელიც იმას აქცევს, ამხობს. აი ქალიც, თუ გინდა, ნამდვილი ქორია, ქორი! არა, ქალო, რას პოულობენ ეს კაცები იმ ქალში? ბინიოსი ამ ორი წლის განმავლობაში მისი მეოთხე ქმარია.
- გერონ. მესამე.  
დაკია. ნუ თუ მესამე? მე კი მეოთხე მეგონა (აღგება).  
გერონ. არა, მხოლოდ მესამეა, მე ეს კარგათ ვიცი.  
დაკია. აი, ბედნიერება, თუ გინდა! რა მახინჯია, გეთაყვა?!.. ამხელა ცხვირი... და მიუხედავად ამისა კაცები თავს ევლებიან, ყოველ ნაბიჯზედ ქმარს იცვლის...
- გერონ. შენც გამოიცვალე, ვინ გიშლის?  
დაკია. ვინ მიშლის? გარემოებანი, გენაცვალე; უჰ. რა საძაგლობაა, თუ შენს ქმარს საყვარელი ჰყავს, რომელსაც იგი თავს ევლება: მთელს ყოფაცხოვრებას თავს ალევს (აღლკებულა დადის ოთახში). რა რიგად ვარ აშლილი! შენ წარმოიდგინე, ადროსტია თავის დაკვრას მიბედავს!.. და გიპია, ქალო?... იმან რა ჰქნა, იცი? გლადიატორს გაყვა, გლადიატორს... ქმარი სენატორია, საწყალი თავს ვეღარსად ჰყოფს, სირცხვილისაგან იწვის... მაგრამ ეს შენც კი იცი, მეგონი. მართლა, ადროსტიას შესახებ არ გამითავებია: წარმოიდგინე, ქალო, ქმარს გაეყარა და იმის მეგობარს გაჰყვა, — ერთიანათ დაამხო, ბოლოს იმასაც გაეყარა, მერმე სალენს გაჰყვა! შენ წარმოიდგინე, ისიც დაამხო, გაეყარა — და სულ ბოლოს ხელ ახლავ თავის პირველ ქმართან დაბრუნდა, ქალო!.. ხა! ხა!

ხა! როგორ მოგწონს, ვერონიკა? ეს კიდევ არაფერი: ქორწილზედ, ქალო, ქორწილზედ ყველა თავისი ქმრები მიიბატოდა. ხა! ხა! ხა! (ტახტზედ წამოწება).

**გერან.** ეჰ, რა გაეწყობა? სჩანს, რომ საზოგადო აზრს იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს. არა, შენ ეს მი-თხარი: შენი და შენი მეგობარ ამბასკის საქმე როგორ არის?

**დაკია.** შენ გენაცვალე, ამბასკის შესახებ ნურას მკითხავ.

**გერან.** მე კი მეგონა, რომ მას არა სახუმროდ უყვარხარ.

**დაკია.** უყვარხარო?... მეხი კი დავაყარე იმ მწვირიან თავზედ! მაგ სულელსა, მაგ უფუნურსა დიდ სირცხვილად მიაჩნია გათხოვილ ქალთან კავშირის დაქერა. მაგგვარი ხალხი ჩვენი გოგოებისთვის თუ ვა-რგა, სხვა არაფერად. ჰო, მართლა, ძალიან მაკვირ-ვებს, ქალო, მარკოზის საქციელი..

**გერან.** (აღშოფოტებულად). როგორ? რაჰქნა?

**დაკია.** ნუ თუ არაფერი იცი?

**გერან.** არაფერი.

**დაკია.** როგორ? ნუ თუ არაფერი იცი იმ ქრისტიან ქალის შესახებ, რომელმაც კჳუიდან შეშალა მარკოზი?

**გერან.** ეგ ტყუილია, ეგ არ შეიძლება!..

**დაკია.** როგორ არ შეიძლება, გენაცვალე, როდესაც ეს მთელმა რომმა იცის.

**გერან.** ქალო, რა იცის რომმა? გამაგებინე!

**დაკია.** მიკვირს, რომ არა იცი რა ამის შესახებ! ეჰ, მადლობა ღმერთს, ეს შეყვარებული ქალები ყველაზედ უფრო გვიან ტყობილობენ, თუ რას სჩადიან იმათი მიჯნურნი.

**გერან.** ან კი რა კავშირი უნდა იყოს მარკოზსა და ქრისტიან ქალს შორის?

**დაკია.** აი, ტიპელინი გეტყვის, თუ რა კავშირია იმათ შორის.

გერონ. აგერ ორი დღე არის, რაც ტიპელინი არ მინახავს. ქალო, მიხხარი, რა მოხდა?

დაკია ტიპელინს გამოუძებნია ამ წყეულ ქრისტიანთა ბუდე, მას ნდომია იმათი ამოყლეტა და იმ დროს კეთილშობილ მარკოზს, რომის პრეფექტს, თავი გამოუდვია რალაც დაცემულ ქმნილების გულისათვის—ამ ქრისტიან ქალისთვისა—და წაუყვანია კიდევ შინ. როგორ მოგწონს, ვერონიკა?

გერონ. როგორ? იმას იგი თავის სახლში ჰყავს?

დაკია. აბა, შენ წარმოიდგინე, სახლში ჰყავს! ტიპელინი ფიცავს, ნერონს გარდაცემო. ეჰ, ეინ არ იცის, რომ თვით ნერონიც... (მაისკდ-მაისკდავს). ეხლა კეისარი კი არა მთაერობს, გენაცველე, არამედ პოპეია—მისი მეუღლე. შენ ეს იცი, რომ პოპეიას... მარკოზი... ძალიან მოსწონს?

გერონ. იმ ქალის სახელი?

დაკია. მგონი, მერციას ეძახიან.

გერონ. ის არის, ის!.. (გაიკვლის სტენაზედ).

დაკია. რას ამბობ?

გერონ. მე წინედაც მესმოდა რალაცაები იმ ქალისა და მარკოზის შესახებ. —ლამაზია?

დაკია. არ მესმის, სწორეთ, კაცები კი მასში რალაც სილამაზეს პოულობენ! ფილოდემი ამბობს, რომ მარკოზი ჭკუიდან არის შეშლილიო... შენ წარმოიდგინე, (დაცხვით) ვითომც პატროსანი, თურმე ისე ცივად ეპყრობა მარკოზს.

გერონ. (გაჰკარებულა). უჰ, ეს კაცები!.. (გაიკვლის სტენაზედ).

დაკია. აბა, აბა, ჰჰმ, მაგათი სული არ იყოს!.. მე ყოველთვის ცუდი აზრისა ვარ მაგათ შესახებ. რასაც ისინი ჩადიან, მოქმედობენ, იმის თქმაც არ შეიძლება პატროსან ქალთან. (მარცხენა კარებიდან შემოდის კატია).



## გამოსვლა მთავრად

ივინიკე და კატია

- კატია. ტიპელინი და ლიცინიოსი გაიხლათ.  
 გერონ. სთხოვე. (კატია გადის).  
 დაკია. აი, ახლა კი ყოველივეს დაწვრილებით შეიტყობ.  
 (შემოდის ტიქელანი და ლიცინიოსი).

## გამოსვლა მთავრად

გერონიკა, დაკია, ტიქელანი და ლიცინიოსი

- ტიქელან. გწყალობდეთ ყველა ღმერთები!  
 დაკია. ზოგი კი გწყალობს და დანარჩენი საჭიროც არ არის.  
 გერონ. მობრძანდით. აი, სულ ახლა გახსენებდით.  
 ტიქელან. ბედნიერია ის კაცი, რომლის სახელიც იმისთანა მშვენიერ ადგილს ყოფილა, როგორც ქალის ტუჩებია.  
 გერონ. აბა, ერთი ეს მითხარი, რა უფრო სასიამოვნოა: ქალების ტუჩებზედ ლაპარაკი, თუ სახელმწიფო საქმები?  
 ტიქელან. ყველას თავ-თავის დრო აქვს. ჩვენ ჩვენს საქმეებს კიდევ მოვრჩით და ახლა კი თავისუფლათ შეგვიძლია დავსტკებთ მშვენიერ ქალებთან მუსაიფთ. (დაჟდება).  
 გერონ. თქვენ კურიაში იყავით?  
 ტიქელან. დიახ.  
 გერონ. სჩანს, პრეტექტორკოზს უფრო მეტი საქმე ჰქონია, ვიდრე თქვენ: თქვენ წამოსულხართ და ის კი ჯერ იქ არის.  
 ლიციან. არა, ისიც ჩვენთან ერთად გამოვიდა.  
 გერონ. თქვენ დიდი ხანია წამოდიხ?  
 ტიქელან. ნახევარი საათი იქნება.

გერან. აჰა, მე შეგონა, რომ ის...

ტიჭკლან. რა ის?

გერან. რომ იმას უფრო მეტი საქმე აქვს. მაგრამ... ეჰ, ან კი რა ქალების საქმეა სახელმწიფო საქმეები? ახალი ამბავი რა არის რომში?

ტიჭკლან. რადგანაც დავიწყეთ, ბარემც გავათავოთ... აი, იმ მარკოზს, რომელიც შენ დიდი საქმის გაცი გგონია, ახალი სათამაშო გაუწყვია.

გერან. მართლა? რა სათამაშო?

ტიჭკლან. როგორ? დაკიხს არა უთქვამს რა შენთვის? (დაკია გააფლავს).

გერან. დაკიამ ბევრი რამ მელაპარაკა... შენ რის შესახებ ამბობ?

ტიჭკლან. მე არა მსურს ცუდი მახარობელი ვიყო.

გერან. როგორ თუ ცუდი მახარობელი, მე არ მესმის! როგორ? ქონება დაეკარგე, თუ?...

ტიჭკლან. შენ დაკარგე შენი ორგული საყვარელი.

გერან. საყვარელიო?!., მარკოზი არასოდეს არ ყოფილა ჩემი საყვარელი.

ტიჭკლან. მე ხომ მარკოზის შესახებ არ ვლაპარაკობ!

გერან. ჩვენ არავის შესახებ არ გვქონია ლაპარაკი, გარდა მარკოზისა.

ტიჭკლან. ჰო, მართალია, მართალი. რა სისულელე იყო ჩემის მხრით, რომ მარკოზის შესახებ ლაპარაკი დავიწყე! ჩემის აზრით, ეს ამბავი სრულიადაც არ უნდა იყოს შენთვის საინტერესო.

გერან. ქალს ყოველთვის ვინტერესება მაგგვარი საქმეები.

დიცან. მასთანავე ეს საქმე ფრიად გასოცარია. ამბობენ, მარკოზს გაგიყვებით უყვარს ის ქრისტიანი ქალიო და ვერონიკა კი ტყუილ-უბრალოდ სჭკნება მისი გულსთვისო.

გერან. ნუ თუ ბედავენ ჩემზე ამისთანა ლაპარაკს?!

- დავია.** ეგ კიდევ არათფერი, რომ ლაპარაკობენ: დაგცინიან კიდევც, რომ ამ რიგად ხარ იმაზედ გადაკიდებულ-ლი.
- გერან.** მაშ, თქვევენ იმისთვის მოსულხართ აქ, რომ ამის შესახებ მელაპარაკოთ, არა? (ზის მაჭკვენა ტასტზედ).
- ტიქელ.** არა, მე მოვსულვარ იმისთვის, რომ გამოვადგე რა-შიმე.
- გერან.** მე გამომადგე? მერე რით?
- ტიქელ.** მე შემძლია დაგეხმარო, რომ მაგიერი გადუხადო.
- გერან.** ვის? იმ ქალს, მერციას?..
- ტიქელ.** მარკოზსაც.
- გერან.** რა ნაირად?
- ტიქელ.** მარკოზს სრული უფლება აქვს ქრისტიანების სიკ-ვდილით დასჯისა, მაგრამ იმან გარდასწყეიტა შეი-ბრალოს ის ქალი და ახლა კი დაპატიმრებული ჰყავს თავის სახლში; აი, შენ შეგიძლია...
- გერან.** მერმე? წადით და ეგ ნერონს მოახსენეთ და არა მე.
- ტიქელ.** ნერონს?
- დავან.** კეისარს?
- გერან.** რას გიკვირთ? რატომაც არა?
- ტიქელ.** და პოპეია?.. ის რომ იმან შეიტყოს, მარკოზზედ ჩივილი მინდოდა, მაშინ ხომ უნდა გამოვესალმო ამ წუთი-სოფელს.
- გერან.** ოჰო, შენ ძალიან გაფრთხილებულხარ!.. მაშ, რო-გორ უნდა მოვიქცეთ, შენის აზრით?
- ტიქელ.** აი, როგორ: შენ პოპეიასთან უნდა წახვიდე, უამბო ყოველივე და სთხოვო, რომ იმან თავის ნებაზედ დაიყოლიოს ნერონი; იმას ყველაფერი შეუძლია, თუ კი ისურვებს. მაშინ საკმარისია მხოლოდ ბრძა-ნოს კეისარმა და ის ქრისტიანი ქალი გახდება ლომთა და ვეფხთა მსხვერპლი პირველ დღესასწაულზედვე— ამფითეატრში.

- გერონ.** მერმე? შენის ფიქრით, მე შევიძლებ მაგგვარ საზიზღარ საქმის ჩადენას?
- ტიქელ.** აქ საზიზღარს მე ვერას ვხედავ. (ზიზღით) მერმე, ეს შესახებ არის აქ ლაპარაკი? ვილაც გომბიოს, ერთის სიტყვით, რაღაც დაცემულ ქმნილებების შესახებ,—და შენ წარმოიდგინე, ეს ქმნილება ბედავს მოსტაცოს პატრიკის ქალს იმისთანა კაცი, როგორც მარკოზია!..
- დაკია.** (შიდის კერძინაკასკენ) ნეტავი ერთი მაჩვენა ის ვაჟბატონი, რომელიც რაღაც ქმნილების გულისათვის ჩემს მიტოვებას გაბედავს!..
- გერონ.** ყველა ეს იმ რიგად მაკვირვებს, იმ რიგად მოოცებს, რომ...
- ტიქელ.** მერმე, იმისთანა კაცი, როგორც მარკოზი, და ამისთანა უბრალო გოგოს გულისათვის!... სწორედ არ მესმის!..
- დაკია.** აბა, აბა, უბრალო გოგოს გულისათვის. (შემოდის მარკოზი უკანასკნელ მარცხენა ჰჯანიდან; კერავინ კერ შეამჩნევს.—იგი გულზედ სულ დაკრეფილი გაჩერდება კარებში და უეუერებს იმათ ლაპარაკს).

### გამოსვლა მერმე

#### ივინიკე და მარკოზი

- ტიქელ.** ჰმმ, მე რომ შენს ადგილს ვიყო, ვერონიკა, მე მარკოზს ვაჩვენებდი მის სეირს!.. მე იმას არაფრით არ დავზოგავდი!..
- მარკოზი.** არა, რას უზამდი მაინც?... განაგრძე, განაგრძე, ბატონო!. მგონი, შეგიშალე,—უკაცრავად.
- ტიქელ.** შენ ყურს გვიგულებდი, მარკოზ.
- მარკოზი.** არა, მე არ გახლავარ მაგგვართავანი. მაშ, თქვენ ჩემს შესახებ ლაპარაკობდით?—კეთილი. წარმოადგენი-

- ლი მაქვს, ვერონიკა, რა რიგად აღიდებდნენ ალბათ ეს ყმაწვილები ჩემს ღირსებებს, - თავსაც მოგაბეზრებდნენ. მე ვიცი, კარგათ ვიცი, რა ნაზად ვუყვარვარ მაგათ. - უკაცრავად, იქნება მე თქვენ შევიშალეთ, - შემძლია უკანვე დაებრუნდე (წასვლას დააპიკებს).
- ჟერონ.** არა, არა, მარკოზ, გთხოვ დარჩე; მე შენთან სალაპარაკო რამე მაქვს.
- დაკია.** მე მივდივარ, მარკოზ. ნახვამდი, ვერონიკა! თქვენ კი, ბატონებო, სჯობია, მე გამაცილოთ, თორემ, მგონი, იმ რიგად გიყვარსთ ერთმანერთი, რომ რომელიმე თქვენგანი ცოცხალიც არ დარჩება.
- მარკოზი.** ჩემთვის ნუ ზრუნავ. თუ კი მაგათ სურთ, ცუდი რამ შემახვედრონ, - ისინი ამას ზურგს უკან გააწყობენ და არა პირდაპირ - ვაეკაცურად.
- ტიჭელან.** (გაჯავრებული). მარკოზ! გეფიცები იუპიტერს...
- მარკოზი.** (მშვიდათ) ჰო, რაო? ბრძანე!
- ტიჭელან.** მიფრთხილდი, თორემ...
- მარკოზი.** ჰო, ბრძანე, ბრძანე! დაათავე, ბატონო!
- გერონ.** (ჩადგება იმათ შუა) ტიჭელინ, კმარა! ეს ჩემი სახლია და მე თქვენ ჩხუბის ნებას არ მოგცემთ. ტიჭელინ, გთხოვ წახვიდე!
- ტიჭელან.** დიდის სიამოვნებით, მშვენიერო! (პაუზა; ტიჭელანა და მარკოზი გაბორბტებით შესვლაკენ ერთი მეორეს) მარკოზ, მიფრთხილდი! (გადას).
- მარკოზი.** ხა! ხა! ხა! რა სიხარულით ემორჩილება.
- დაკია** (მოუთმენლად). წავიდეთ, ლიცინიოს! გამაცილებ, თუ არა?
- დაცან.** კი, ბატონო. ნახვამდის, ვერონიკა! (მიდას კაკებისაკენ და დაკიას უცდას).
- დაკია.** ნახვამდის, ვერონიკა! გაფრთხილდი, მარკოზ! ვაი, თუ კეისარის რისხვა შეიხვედრო იმ ქრისტიან ქალის გულისათვის. დაფიქრდი და ისე მოიქეც! (დაკია და დაცანიოსი გადას მარცხნივ).



## ბაგოსლა მცხრე

### მარკოზა და ვერონიკა

- მარკ.** რჩევისთვის გმადლობ, თუმცა მე იგი არ მეჭირვება. სწორედ საკვირველია! ყველანი ჩემზედ რომ ზრუნავენ! (ვერონიკას) შენ მე მიბარებდი?
- ვერონ.** დიახ. მაგრამ... შენ, მგონი, რალაც ნების წინააღმდეგ მოდი, არა?
- მარკ.** ნების წინააღმდეგო? მერმე ეს უნდა მესმოდეს იმოსთანა მშვენიერებისაგან, როგორიც შენა ხარ?
- ვერონ.** ეეჰ, მარკოზ, თუ ღმერთები გწამდეს, თავი დაანებე მაგვეარ ალერსიანობას! გულდასმით მოვილაპარაკოთ.
- მარკ.** რით შემიძლია გემსახურო?
- ვერონ.** მემსახურო მე? ო, ვიცი, მარკოზ, შენი ქისა ყოველთვის თავ მოხსნილია ჩემთვის (დაჯდება).
- მარკ.** შენ ხომ ჩემი ოქრო არ გეჭირვება?
- ვერონ.** კიდევ რომ მეჭირვებოდეს?
- მარკ.** მაშინ მე არ დაგეკითხებოდი, თუ რამოდენი გქირია-მეთქი, არამედ რაც კი მექნებოდა, ყველას შენ მოგართმევდი იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ყველა იმას თავის დროზედ დამიბრუნებდი.
- ვერონ.** ჩემს გულში კი ყველაფერი შენ გეკუთვნის, თუმცა მე არ ვიცი....
- მარკ.** მე შენი არა მესმის რა. რა გინდა სთქვა?
- ვერონ.** სთქვი: არა მსურს გავიგო თქვა? მარკოზ, რატომ მუჰყრობი დღეს ასე გულგრილად? ნუ თუ იმ რიგად გამოვიცვალე ამ დღეებში?
- მარკ.** ნუ თუ ყოველთვის საჭიროა იმის განმეორება, რომ მთელ პატრიკულ რომში არ იპოვება იმისთანა ლამაზი ქალი, როგორიც ვერონიკა არის?

- გერონ.** პატრიკული რომიო? რად მინდა მე იგი? შენ, მხოლოდ შენა ხარ ჩემთვის ძვირფასი! ერთად ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ მთელი ქვეყანა და ვიმეფოთ.
- მარკ.** ვერონიკა, მე...
- გერონ.** მარკოზ, შენ ოდესმე გყვარებია ვინმე? გამოვიცდია ოდესმე ეს გრძნობა?
- მარკ.** აბა, რა საჭიროა მაგგვარი კითხვები?
- გერონ.** რა საჭიროა? ნუ თუ შენ ვერა ხედავ, თუ რა ცუცხლი ტრიალებს ჩემს გულში? ეს ხომ უბრალო ბავშური თინი არ არის, მარკოზ, არამედ ღრმა სიყვარული, სიყვარული იმ ქალისა, რომელსაც არასოდეს არაინ არ ჰყვარებია, არასოდეს! მხოლოდ შენ, მხოლოდ შენა ხარ ის, რომელმაც წამართვი სულიცა და გულიც. მარკოზ! შემიბრალე, შემიბრალემეთქი!..
- მარკოზა.** თუ ჩემი მეგობრობა, ერთგულობა...
- გერონ.** აახ!.. მეგობრობა, ერთგულობა... რად მინდა მე ისინი? მე სიყვარულსა გთხოვ, სიყვარულს.
- მარკოზა.** მე მოგაწოდე ის, რასიც მოცემა შემიძლია.
- გერონ.** მაშ, მეგობრობის გარდა არაფერი?-კეთილი. გაფიცებ ამ მეგობრობას, მითხარი, მითხარი დაუფარავად, გიყვარს თუ არა ის... ის ქრისტიანი ქალი?
- მარკოზა.** შენ ამისთვის დამიბარე?
- გერონ.** არა, არა. მე ვიტანჯებოდი მწუხარებისაგან, მე მსურდა შენი ნახვა, შენის ხმის გაგონება, ყოფნა შენთან ერთად, შენს მახლობლად... მე გავიგე შენსა და იმ ქრისტიან ქალის შესახებ მას შემდეგ, როდესაც შენ უკვე დაბარებული მყავდი. მაშ, შენ ის გიყვარს, შენ დასდნი ვილაც საცოდავ ქალის წინაშე, რომელსაც დღეს თუ ხვალ სიკვდილი მოელის. შენ გიყვარს რალაც დაღუპული, დაცემული ქმნილება, უერთგულესი თანამშრომელი მკვლელთა და ავაზაკთა!... (სეკდაანად) აახ!

**მარკოზა.** კმარა, ვერონიკა! მე არა მსურს გავიგონო მაგვეარი უშვერი სიტყვები შესახებ იმ ქალისა (გაიჟღის მარჯუნისაკენ).

**გერან.** არა, შენ მოისმენ ამას!

**მარკოზა.** არ შემძლია, შეიღობით! (წასკლას დახმარებს).

**გერან.** (შეახერებს) არა, შენ ვერ წახვალ, სანამ არ მოისმენ ყოველივეს. მსიყვარულსა და სიძულვილს შორის ისე პატარა მანძილია, რომ მხოლოდ ერთად ერთი პატარა ბეწვი ჰყოფს ერთს მეორისაგან. საკმარისია გასწყდეს ეს ბეწვი და სიყვარული მაშინვე სიძულვილად იქცევა. მიფრთხილდი, მარკოზ! მე იმ გვართაგანი არ გახლავარ, რომელნიც შეურაცხყოფას არაფრად სთვლიან (მიდის მარჯუნისაკენ).

**მარკოზა.** როგორ? მე შენ მემუქრები კიდევ?

**გერან.** არა, მე წარმოვსთქვი ის, რასაც ვგრძობდი. მე არ შემძლია და არცა მსურს დაგიფარო რამე. მითხარი, მითხარი პირდაპირ: გიყვარს თუ არა ის ქალი? მთელმა რომმა იცის, რამ ის ქალი შენ სახლში გყავს (გაიჟღის მარჯუნით).

**მარკ.** თუ გინდ იცოდნენ,—ეგ ჩემთვის სულ ერთია.

**გერან.** სულ ერთია? (იფინის სკედასად) სტყუის, სტყუის მეთქი ყოველი ის კაცი, რომელიც ამბობს, ჩემთვის სულ ერთია, რასაც ლაპარაკობენო!.. მართალია, რომ ის შენ არ თანაგიგრძობს? შერმე შენ ამას ითმენ და დიდის მოწიწებით ელოდები, როდის გაგიღიმებს მოწყალეობით, არა? ხა, ხა, ხა!..

**მარკ.** მართალია: მე ის მიყვარს და ის კი პასუხს არ მაძლევს.

**გერან.** (იფინის) მარკოზს... მარკოზს უყვარს... და ის კი პასუხსაც არ აძლევს!.. შერმე ვინ? ვილაც გაფუჭებული, გარყვნილი, ურჯულო ქრისტიანის ქალი?!.. (იფინის).

- მარკ.** კმარა. ჩემზედ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ, მხოლოდ მე არა მსურს და არც არავის ნებას მივსცემ, რომ შეუტრაცხყოს ის ყმაწვილი ქალი. ის იმისთანა არ არის, როგორიც შენა გაქვს წარმოდგენილი. ის არის თვით წმინდა სული, როგორსაც მე პირველად ვხედავ ჩემს სიცოცხლეში. რა არის ქრისტიანობა— მე არ ვიცი, მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ, თუ კი ეს რჯული ზრდის იმისთანა ადამიანებს, როგორიც ის ქალია,—მაშინ, დამერწმუნე, მთელი რომი... არამც თუ რომი, მთელი ქვეყანა უკეთეს მდგომარეობაში ჩადგება, გაუმჯობესდება მთელი კაცობრიობა!..
- გერონ.** შენ ბედავ კიდევ ჩემთან მაგის ლაპარაკს?
- მარკ.** მე სიმართლეს ვამბობ.
- გერონ.** მე რომ შენი სიტყვები გავიმეორო?
- მარკ.** ვისთანაც გსურდეს, იმასთან გავიმეორე.
- გერონ.** აი, ნერონთან, მაგალითად.
- მარკ.** კეისართან?
- გერონ.** დიახ, იმპერატორთან.
- მარკ.** არა, შენ მაგას არ იქმ, შენ არ შეგიძლია ჩემი მამეზლარი გახდე.
- გერონ.** მამეზლარიო?! არა, არა, მე გავიმეორებ იმას, რასაც შენ ამბობ ამ წმინდა და შეუდარებელ ქალბატონზედ... (იწონილად იცინის) შეიძლება კეისარმა ისურვოს კიდევ მისი ნახვა.
- მარკ.** ვერონიკა, ნუ ხუმრობ ვერე გესლიანად; შენ კარგათ იცი, თუ ვინ არის და რა არის ნერონი?
- გერონ.** მაგრამ შენ ხომ იმას ემსახურები, შენ ვალდებული ხარ აასრულო იმის ბრძანება. გესმის, თუ მშვიდობიანობა გინდა, მიატოვე ის ქალი!
- მარკაზა.** (გაფიცუბული) არასოდეს! გესმის, არასოდეს-მე-თქი!
- გერონ.** მაშ, მე მივატოვებინებ! შენ კარგათ იცი, მარკოზ, ვისთანაც გაქვს საქმე. მე ის მეზიზღება და ყოველ



გვარ ღონისძიებას ვიხმრ, რომ მოვსპო იგი. (გაიჟღერა მარჯვნივ).

**მარკოზი.** როგორ? შენა გსურს, რომ ძალით შეგიყვარო, როდესაც მე სულ სხვა მიყვარს?—ღიან, მე იგი მიყვარს, გესმის? მე ის მიყვარს და ვეცდები, ჩემს თავს დაედება, ოღონდ კი ვიხსნა იგი.

**გერან.** მაშ, მე შენ საბრძოლველათ მიწვევ, არა? კეთილი. მეც მზათ გახლავარ.

**მარკოზი.** შენ გსურს იბრძოლო უპატიოსნოდ.

**გერან.** შენ რა პატიოსნების შესახებ ლაპარაკობ? შენ მე მილალატე, შენ მე მომატყუე... ფეხით გასთელე ჩემი თბილი გრძნობა, შენ მე გამცვალე ვილაც ქუჩის გომბიოზედ და ყველა ამის შემდეგ შენ ფიქრობ, რომ ვალდებულნი ვარ დაგემორჩილო? შენ ესა გსურს, არა! აბა, მითხარი, რა გინდა ჩემგან?

**მარკოზი.** არაფერი. შენ ქალი ხარ და....

**გერან.** ღიან, მე პატრიკის ქალი ვარ და მეზიზღება ის ქრისტიანი ქალი.

**მარკოზი.** როგორც გსურდეს, ისე მოიქეც;—მაგრამ ეს კი იცოდე, რომ ყოველ ნაირ ზომებს მივიღებ, დავიხმარიებ ყველა ჩემს მგობრებს მისდა სახსნელად.

**გერან.** (გეჭყბით) მარკოზ, დაფიქრდი, რას ჩადიხარ? შენ დაბრმავებული ხარ, შენ მოჯადოვებული ხარ იმ ქალისაგან! გონს მოდი, მარკოზ! ხომ ხედავ, გვევლდრები! შემომხედე, მარკოზ! ნუ თუ იმაზედ უარესი ვარ, ნუ თუ იმას შეუძლია ისე გეაღეროს, ისე დაგატკბოს, როგორც მე?—აქ შემომხედე, მარკოზ! შემიყვარე, გვევლდრები!... მოდი, მაკოცე, ჩემო ბატონო, ჩემო მფლობელო! (გადაეხვევა).

**მარკოზი** (ნელა თაფიდან მოიჭიდებს). თავი დამანებე! (განზედ გადაეხვეა).

**გერან.** როგორ?! შენ შეურაცხყოფ ჩემს სიყვარულს, ჩემს ალერსს?!..



**მარკოზი** (შემოტრიალდება. პატარა პაუზა). მე შენ არ მიყვარხარ (გადის).

**გერან.** (მოინდომებს უკან გაუფლას). არ მჯერა, არ მჯერა, არა და არა, ათასჯერ არა!.. ის მოხიბლულია!.. იგი მოხიბლი იმ წყეულმა ქალმა! არა, არა, მე უნდა ვიხსნა მარკოზი იმისაგან, რაც უნდა მოხდეს! თვით კეისარს დავიხმარიებ, მე გამოვთხრეშ იმის თავს ამ გრძნეულ ქალის კლანჭებიდან! მე ამას მოვსპობ, გავსრეს, რაც უნდა დამემართოს!... ნერონთან! ნერონთან! ამ წუთსავე, კეისართან! (გადის მარჯვენით).

(ფარდა)

## ხუკათი მემორა

### ატრეუმის ნერონის სასახლეში

(მარცხენა პირველ პლანადან გამოდის ტიჭელინი და ლიცი-ნიასი, წინ მძუძვით მსახური—მონა ნერონისა).

### გამოსვლა პირველი

ტიჭელინი, ლიციანიასი და მსახური

**მსახური.** კეისარი ახლავ მივიღებთ.

**ტიჭელ.** კარგი. (მსახური გადის მარჯვენით). თუ ვერონიკამ ნერონი როგორმე დააჯერა, მაშინ მარკოზის მზეც ჩაისვენებს.

**ლიცინ.** ო, ნეტავი ის საუკუნო სიბნელეში ჩაეშვებოდეს! მარკოზის კადნიერება ყოველგვარ მოთმენას აღემატება. (მარჯვნივ მოისმის სმაურობა).

**ტიჭელ.** ჩუმაღ, მგონი, კეისარი შობრძანდება... (შემოდის: ფელადემი და სხვა კაცის კაცები, მერმე ნერონი, რომელსაც იჭით-აქეთ რა ბავში შემოუკვება; ნერონს იმათ მსრებზე ხელები აქვს ჩამოღებული და ისე შემოდის; მას

ეველა თაყანს სცემს, მერმე უკან დაიხეიან ისე, რომ ზურგს არაკინ არ შეაქცევს. თვითონ ნერანი სქელი კაცია, ცოტათი კოჭლობს. მისი სახე მსუქანია; ნიკაბი შუა გაყოფილი, პირი მოპანსული. მისი მიხვრა-მოხვრა, მისი სახე ამტკიცებს, რომ ის სასტიკი კაცია: მისი თვალები მოუსვენრად გადაწბიან ერთი საგნიდან მეორე საგანზედ. ის ძვირფასად ჩანს და თავი ამჯად უჭირავს).

### ბამოსვლა მორკე

ნერანი, ტიჭელიანი, ღიჯინიოსი, ფიჯადეკი,  
კარის კაცები, ორი ბავშვი

- ტიჭელიანი** (თაყანსა სცემს). ღვთის-მსგავს კეისარს ჩემი უმღაბლესი თაყვანის ცემა.
- ნერანი.** ა, ტიჭელიანი და ღიჯინიოსი? თქვენ რას ჩურჩულებდით მანდ? (დაჯდება სამეფო ტახტზედ). ხომ იცით, ჩემს თვალებს ვერაფერი გამოეპარება! ა? რაო?!
- ტიჭელიანი.** ღვთის-მსგავსო, ჩვენ ვალაპარაკობდით შესახებ იმისა, რომ თვით ღმერთებმა მოგვცა ამისთანა იმპერატორი და არა უავგუსტოესმა შენმა მშობელმა დედამ.
- ნერანი.** ღმერთებმა ამომირჩიეს მე, მაგრამ გარს მახვევიან უღირსი მსახურნი. აბა, ვინ მადიდებს მე, როგორც გამოჩენილ არტისტსა?!.. თქვენ ბრიყვნი ხართ და მასთანვე, რასაკვირველია, საცოდაენიც! თქვენ არა გაგეგებათ-რა, არც ჩემის სიმღერისა, არც ჩემის თხზულებებისა, არა გაგეგებათ რა ჩემის პოეზიისა... ერთი და დამრჩენია, რომ საბერძნეთს წავიდე; ამ მხოლოდ იქ აფასებენ გამოჩენილ არტისტთ და... რასაკვირველია, მეც დამაფასებენ.
- ტიჭელიანი.** ღვთის-მსგავსო, შენ ეღრები აპოლონს.
- ფიჯადეკი.** შენი საუცხოვრო ხმა!.. ო, როდის იქნება ის ბენდიერი წამი, როდესაც ჩვენ იმას გავიგონებთ!

**ნეკანნი.** მოშურნენი და სულელნი რომისა ვერ მოესწრებიან მაგასა. — ტიჰელინ, არ დაგავიწყდეს, რაც მე გითხარი.

**ტიჰელინ.** ბრძანე, ღვთის-მსგავსო, და მე მზადა ვარ შევასრულო იგი.

**ნეკანნი.** როგორ? ნუ თუ შენ არც კი იცი, რომ ჰარამენტის მეუღლე არ მობრძანებულა ჩემს უძვირფასეს პოპეიას დღესასწაულზედ?!  
 ავად ვბრძანდებიო, არ შემძლიაო... მაშ, შენ ეს არ იცი? რატომ მე ბევრად უფრო აღრე უნდა გავიგო, ვიდრე შენ? ა? რაო?

**ტიჰელი.** იმიტომ, ღვთის-მსგავსო, რომ შენ თავისუფლად კითხულობ კაცის გულში, თუ რას ფიქრობს იგი, როდესაც რომ მე...

**ნეკანნი.** გაჰგზავნე ახლავ ცენტურიონი ჰარამენტთან ბრძანებით, რომ ძარღვები გაიხსნას და თუ ხვალ საღამომდე იცოცხლა, მაშინ ვაი მისი ბრალი, — ვუბრძანებ, ამოწყვიტონ მთელი მისი ცოლ-შვილი.

**ტიჰელი.** ღვთის-მსგავსო, შენი მტერი მანამ თუ სცოცხლობს, სანამ შენი ნება არს.

**ნეკანნი.** ჰარამენტის ქერიეს კი უბრძანე, შეადგინოს ნამდვილი სია მისი მეუღლის ქონებისა, რომლის ნახვეარსაც მომართმევს მე — კეისარს. ვფიცავ თვით პლუტონსა, რომ ის ყველაფერს დაჰკარგავს, თუ ცოტა რამ დამიძალა! გესმის, ტიჰელინ?

**ტიჰელი.** მზადა ვარ, ღვთის-მსგავსო, შევასრულო შენი ბრძანება.

**ნეკანნი.** როდესაც მე ჩემს ახალ პოემას ვკითხულობდი, ჰარამენტმა სიცილი გაბედა, როდესაც რომ ყველა სხვა ტირილით იხოცებოდა. ა? როგორ მოგწონს, ტიჰელინ?

**ტიჰელი.** მხოლოდ უგუნურსა, მხოლოდ მოშურნეს ან ცუდის მომკმედს არ გაეგება, ან არა სურს ვაიგოს, ღვთის

მსგავსო, რომ შენ დიდებული პოეტი ხარ, დიდებული მომღერალი და დიდებულივე იმპერატორი, არა სურს გაიგოს, რომ შენ თანასწორი არავინა გყავს მთელს დედამიწის ზურგზედ!...

**ნერანი.** კმარა, ეგ მეტიც მეტია: მადიდეთ, როგორც დიხდი არტისტი, და ესეც მეყოფა.—შენ ეს მითხარი, მზად არის ჩვენი ახალი ცირკი?

**ტიქელ.** მზად ვახლავს, ღვთის-მსგავსო. მე ველი შენს ბრძანებას, როდის გავმართო თამაშობა.

**ნერანი.** გესმის,—მარტო გლადიატორთა ბრძოლა არ კმარა. ხალხი სხვა რითიმე უნდა გავაკვიროვოთ, რომ დამიხსომოს უკუნითი უკუნისამდე.

**ტიქელ.** მესმის, ღვთის-მსგავსო; ჩვენა გვყავს დამნაშავენი, რომელნიც შეიძლება არენახე გამოვუშვათ მხეცთათვის.

**ნერანი.** ჰო, ჰო! შენ იმათ შესახებ ამბობ... ეე, რა ქვია?.. იმ ურჯულო... ქრისტიანთა, ქრისტიანთა შესახებ, არა?

**ტიქელ.** დიად, იმათ შესახებ, ღვთის-მსგავსო, შენ მოგეხსენება იმათი დანაშაული: ისინი წყალს გვიწამლავენ, ეზიზღებათ მთელი კაცობრიობა, ფარულად მკვლელობას ჩადიან და წინასწარმოგვითხრობენ, რომ შენი სახელმწიფო დაიღუპება. ხალხმა იცის ეს და ეზიზღება ისინი.

**ნერანი.** მე უკვე ვაგეცი ბრძანება, რომ ამოეღოთ ისინი. ხომ სრულდება ჩემი ბრძანება?

**ტიქელან.** თუ იგი არ სრულდება—ეგ ჩემი ბრალი არ არის, ღვთის-მსგავსო.

**ნერანი.** ეგ რა სთქვი? რაო? ვინ ბედავს, ვინ არ ასრულებს ჩემს ბრძანებას?

**ტიქელან.** მე და ლიცინიოსმა—შენმა მონებმა—შევასრულეთ ყოველივე, რაც კი ნაბრძანები გვქონდა.

**ნერანი.** მაშ, ვინ არის? ვინ ბედავს ურჩობას?



- ტიჭელინ.** არა მე, შენი ერთგული მონა ტიპელინი.
- ჯიჯინ.** არა მე, ღვთის-მსგავსო.
- ნერანი** (გაბრაზებული). ეს რა შესმის ჩემ მონათაგან?!.. არა მე, არა მე!... სხვა სიტყვები შემოგელიათ? ა? რას გაჩერებულხართ? სთქვით!
- ტიჭელინ.** ღვთის-მსგავსო, განა შემიძლია გავსცე?
- ნერანი.** გავსცეო? ეს კიდევ რა შესმის? ვფიცავ იუპიტერს, ეს-ეს არის გაღვირვეი!.. ო, მე ვიცი: თქვენ მლალატობთ, არა? სთქვი, სთქვი, ვინ არის ის ურჩი?
- ტიჭელინ.** თუ კი შენ ბრძანებ, მონა შენი ვალდებულია დაგემორჩილოს: ეს გახლავს მარკოზი, შენი პრეფექტი.
- ნერანი.** მარკოზი?.. ჩემი პრეფექტი? ეგ არ შეიძლება! შენ სტყუი, სტყუი-მეთქი!
- ტიჭელინ.** ლიციინოსმა იცის, რომ მე მართალს მოგახსენებ. მარკოზმა მე შემაჩერა, როდესაც მე ვბრძანე ერთ ქრისტიანთაგანის წამება, — მე მინდოდა მას ეთქვა, სად იყრიან თავს ეს ბოროტის განმზარახნი; მეორეთ კიდევ, როდესაც მე თავს დავეცი იმათ, მარკოზმა მიბრძანა, რომ მეპატიეებია იმათთვის და... (ამ დროს შემოდან პოპეა და გერონიკა. ტიჭელინი დახარკავს შესწევებს და თავიანთს სცემს მას. პოპეა ძეგარფასად ჩაცმულია. ის ძალიან ღამაზი ქერა-ქალია.. მისი ღამა-რავი და მისერა-მოსერა წამოსადგეია).

### ბარსვლა მესამე

იჯინიკე, პოპეა და გერონიკა

- ნერანი.** ახ, ჩემო მშვენიერო პოპეია! შენ დროზედ მოდი: აქ ჩვენ გვლალატობენ.
- პოპეა.** გვლალატობენ? ვინა?
- ნერანი.** ორივე ესენი ბრალსა სდებენ ჩვენს მარკოზს.
- პოპეა.** (ზიზღით) რაო? მარკოზი გვლალატობსო?
- ტიჭელინ.** არა, ღვთის-მსგავსო, მაგდამ... მაგრამ...



- ნერანა.** როგორ თუ რაო? მაშ, ეს ლალატი არ არის, პოპეია, როდესაც, ამათი სიტყვებით, მარკოზი ფარავს იმათ, რომელნიც ბოროტს განიზრახვენ წინაღმდეგ კეისარისა?
- შაშვეა.** არა, კეისარო, ეგენი მეტად აზვიადებენ საქმეს; მე კარგათ ვიცი ყოველივე: ვერონიკამ გადმომცა, თუ რა მოხდა და, აი, ეს არის, მინდოდა მოვსულვიყავ შენთან და მომეხსენებია ყოველივე სიმართლე. ტიჰელინი და ლიცინიოსი—შენი გულითადი მონები—მეტის-მეტ ერთგულებას იჩენენ.
- ნერანა.** გასაკვირველია,—ან სულ ორგულობენ და ან არა და ყოველ ერთგულობას აქარბებენ!
- შაშვეა.** აი, ღვთის-მსგავსო, მოგახსენებ, რაც მე გავიგე, და ეს სრული ჭეშმარიტებაც არის! მართალია, მარკოზს ცოტათი უორგულებია, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ის მამაკაცია: ლამაზმა სახემ მოხიბლა იგი,—მეტი არაფერი. ყველა ამ ქრისტიანთა შორის იმას ვერ გამოუმეტებია მოსაკლავად მხოლოდ ერთი: ეს გახლავს ყმაწვილი ქალი, რომელსაც მთლად დაუმონებია იგი.
- ნერანა.** მხოლოდ ერთი? ერთი ქალი?
- შაშვეა.** მე არა მგონია, რომ ტიჰელინიმა სხვა ვინმე დაასახელოს,—არა, ტიჰელინი?
- ტაჭკლ.** არა, ღვთის-მსგავსო, მხოლოდ ის ერთი.
- ნერანა.** მხოლოდ ერთი ყმაწვილი ქალი?!. ეგ კიდევ არაფერი... თუმცა შეიძლება, რომ ისიც...
- შაშვეა.** საშიში იყოს,—რასაკვირველია!
- ნერანა.** ჰო, ჰო, რასაკვირველია.
- შაშვეა.** მაგრამ შენ უბრძანე ტიჰელინს, რომ ის ქალი აქ მოგვეაროს შენ. იმას შენ მოელაპარაკები და დარწმუნდები, თუ რამოდენად ღირსია იმისა, რომ იმას ყურადღება მიაქციონ. მართლა, (დაცინვით) იმასაც ვნახავთ, რა გემოვნების კაცია ჩვენი მარკოზი?

ნერონი. ჰო, ჰო, მართლაც საინტერესოა, რაგვარი სილამაზე მოსწონს ჩვენს მარკოზს! ეჰ, მე ვიცი, ის ცული გემოვნების კაცია. აი, ვინ არის სილამაზის დამფასებელი—მე, კეისარი! და, აი, ამის დასამტკიცებელი საბუთიც—ჩემი მშვენიერი პოპეია (სულს ამოუსვამს კისერში)! ო, ჩემო სიცოცხლე, შენი რჩევა რომ არა და ჩემი შორს გამჭვრეტელობა, ვფიცავ აპოლონს, უბედურებას ჩაიდენდა ეს ხალხი თავის ერთგულებით. იძულებული ვარ მუდამ თვალ-ყური ვადევნო, ვიფიქრო და ყოველივე შორს დავინახო: კიდევ რომ ცირკის საქმე მაგათ მივანდო, განა ეგენი შეიძლებენ მთელი ქვეყნის გაკვირვებას? მხოლოდ პოეტს, მხოლოდ არტისტს გაეგება ეს საქმე. დიად, ჩემო საბრალო ტიპელინ, მე შენ დაგებმარები. ჩვენ იმ რიგათ უნდა დავსაჯოთ ეს წყეული ქრისტიანები, რომ აქედან დიდ-მშვენიერი თვალის სეირი გაკეთდეს ხალხისათვის, რომ იგი დიდის მადლობით მომიხსენიებდეს სამარადისოდ; შეჰკრიბეთ მხეცნი მთელ სახელმწიფოდან! შემოსეთ ქრისტიანები მგელთა და ღმერთის ტყავებში და მიუტევეთ მათ აფი ნაგაზნი.—ეს მხოლოდ შესავალია, მერმე მიუტევეთ მათ ლომთა და ვეფხთა, საღამოს კი დანარჩენ ქრისტიანეთაგან დააკეთებთ ცოცხალ სანათებს და ცეცხლს წაუკიდებთ! ოო, ცოცხალი სანათები! ჯერ აქ ამგვარი თვალის სეირი არასოდეს არ ყოფილა! როდესაც ისინი აინთებიან, როდესაც იმათი სხეულნი ცეცხლისაგან შუშუნს დაიწყებენ,—მაშინ უნდა უყუროთ იმათ ჩხვილს, იმათ წუწუნს, იმათ ღმუილსა! ოოჰ, ეს საუცხოვო რამ იქნება, საუცხოვო! მე მოვსპობ ამ კია-ლუასა, ისინი გაჰქრებიან ისე, როგორც ჰქრება სიბნელე მზის წინაშე—და ეს მზე კი (ადგება) მე ვარ! წაიღეთ! გულდასმით მოვილაპარაკოთ ამის შესახებ! (ეკლას ხმა გაკმენდილდა; ნერონი ეკლას წიზლით უფურებს და გადის მარჯვენა პირველ პლანდიან, ეკლას მას გაჭეკება, გარდა მოპეასა და ვერონიკასა.)

## გამოსვლა ემოთხე

## შაშვეა და ვერონიკა

შაშვეა. ხომ ხედავ, ვერონიკა, მე შეგისრულე შენი სურვილი.

ვერონიკა. ოჰ, უდიდებულესო, მე ვერასოდეს ვერ დავივიწყებ შენს წყალობას (თავს მოახრახის მის წინაშე).

შაშვეა. მოიცადე, მადლობის გადახდას ყოველთვის მოახერხებ; ჯერ მარკოზს შენი ქმარი უწოდე და მასთან იცხოვრე. ვინ იცის, შეიძლება, ამით მე შენ მთლად გლუბავდე და არა გეწოდე. ჩვენ, ქალები—საზოგადოდ სუსტი არსებანი—მხოლოდ მაშინ გავიცნობთ მამაკაცსა, როდესაც იგი ჩვენი ქმარი გახდება. (გადიან მარჯვნივ შიკველ პლანიდან).

ფარდა.

აღ. კანდელაკი

(დასასრული მე-11 №-ში)

# გ უ რ ი ა - ა ჭ ა რ ა

მზავრის წერილები

XXIV \*)

(დასასრული).

## ხულოდან ბათომამდე.

ხულოდან ქედამდე.—ქედა: შენობანი, ჯუმობა, აჭაურნი მცხოვრებნი და თუფალ-ბეგ შარვაშიძე, ქართული ენა,—ჩემი თანამგზავრები.—„წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლის ნაშაგირდალი ბეგი აბაშიძე.—მეთევზობა.—სოფ. აჭარწყალი.—სოფ. ერგე.—კაპანდიდი და კარჩხალის მთა.—აფხაზთა სოფელი.—ძველი და ახალი ბათომი.—აჭარასთან გამოთხოვება.

ჩვენთ მთაბარობა, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ძალაუნებურად უნდა განგვესაზღვრა და ხულოდან პირდაპირ ბათომში წავესულოვიყავით. ქედამდე ორ მანეთნახევრად დავიქირავეთ ცხენი, რომლის პატრონი ფეხით წაეიდა წინდაწინ, რომ მერე უკანვე დაებრუნებინა თავისი საქონელი. გამოვეთხოვეთ ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძლებს კაპიტანს ბნალ. ბერიძეს და ხულოს ბოქაულს ბნს ვას. დეკანოზიშვილს, რომელთაც ესდენ შეგვიწყვეს ხელი ზემო-აჭარაში მოგზაურობის დროს და რომელთაგან სამარადისოდ დავალებულადა

\*) იხ. „გომამბე“: 1897 წ. №№ XI და XII; 1898 წ. I, II, IV, VI, IX და X; 1901 წ. I, III, V, VIII და IX.

ვრაცხთ ჩვენს თავს. დავადექით ახალციხე-ბათომის გზატკეცილს, დაუსრულებელ თეთრ ზოლად მიმავალს მწვანედ მობიზინე ტყის შორის. მარცხნივ მოგვდევს ხუილით ცისფერი აჭარწყალი, რომელსაც ნახად დაჭყურებს იღუმალეებით სავსე მთის კალთები, ფიჭვითა და მუხით დაფარული. ერთი-მეორეზე უკეთესი სურათები ბუნებისა მგზავრს სევდას უკუ-უყრის. რამდენად შშვენიერია ეს გზა, იმდენად საშიშია: მეტის-მეტი სიფრთხილე მართებს მგზავრს, რომ ამ მიხვეულ-მოხვეულ გზიდან ცხენიანად უფსკრულში არ გადაიჩეხოს, განსაკუთრებით ღამით. საჭიროა ნება სიარული, განსაკუთრებით მოსახვევებთან.

საათის საეალს მანძილს ისე გაივლით, რომ მგზავრს ვერ დაინახავთ. აქა-იქ გხვდებით ბერძენი კალატოზები, ქვის ხიდების მკეთებელნი. მათთანვე ნახავთ აჭარლებსაც, მაგრამ ესენი უბრალო და იაფ-ფასიან სამუშაოს ასრულებენ, ნასუფრალსა სჯერდებიან... შეხვდებით აგრეთვე სპარსელთ, რომელთაც ფურგონებით ბათომიდან ხიდებისათვის საჭირო მასალა და მომუშავე ბერძენთა სურსათი დააქვსთ. ცხრა-მთას იქიდან მოსული კაცი აჭარელს თავისს კარ წინ პირიდან ლუკმას აცლის. აჭარელს ფურგუნისათვის საჭირო ცხენები ყოველთვის მოედებნება, მაგრამ ბეჩავს ისიც-კი ვერ მოუხერხებია, რომ თავისი ცხენი მოთხოვნილების შესაფერად გამოიყენოს და თავის კარ წინ გაეარდნილი ლუკმა თავისს ჯამშივე ჩაიგდოს... გაივლით ცოტას და ხედავთ იგივე აჭარელნი, გზის გასაგანიერებლად კლდეებს ნალმით ამტვრევენ და საზოგადოდ, ასრულებენ სამარცხო და ძალღუმადურ სამუშაოს. იმავე აჭარელთა პრივილეგიად გაუხდიათ... გზის მოსაკირწყლავ ქვის მტვრევა...

ჩვენის გამოვლის დროს ამ გზაზე, რომელსაც 140 ვერსი აქვს სიგრძე, გახურებული მუშაობა იყო. რაც წინაწყლებში ხიდები გაეკეთებინათ, 1895 წლის წყალდიდობას ყველა გაეფუჭებინა. აგრეთვე ქვა უნდა მოეყარათ 40 ვერსის მანძილზე. იმ შემოდგომისათვის სრულებით უნდა დაემთავრებინათ და 1898 წლის გაზაფხულისათვის ბათომსა და ახალციხეს შუა



სათოსტო მიმოსვლა უნდა გაჩაღებულიყო. ეს გზა, გარდა ამისა, რომ ამ ორ ერთიმეორეს დაშორებულ და მოწყვეტილ პუნქტს შორის მიმოსვლას გააადვილებს, ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს სამხედრო გზის შემდეგ, სიმშვენიერით პირველად ჩაითვლება.

გამოვიარეთ ქვანა, ახალდაბა—საზღვარი ზემო და ქვემო აჭარისა. მოვატანეთ სოფ. დონდალოსაც. აქ აჭარწყალზე რკინის ხილია, ახლად გაკეთებული, და მისსავე გვერდით ურყევლად დგას ძველებური ხილი, ერთი იმათგანი, რომელნიც ზემოდ აღვნიშნეთ. ორივე საძირკველი მისი კლდოვან ნაპირებზედა დგას, სიგრძე 12 მხარი აქვს, ვანი 4 ადლი. რადგან ახლა ზედ არავინ დადის, მთლად სუროს დაუფარავს. თქმულებაა დარჩენილი, რომ შავისზღვიდან გემები დონდალომდე ამოდიოდნენ და მახლობლად კლდეში რკინის რგოლებია ჩარქმული გემების დასამბელადო.

ახალდაბადან მოკიდებული გზა ვაკდება და ნიადაგიც ნაყოფიერი ხდება. თუ ზემოთ სიმიინდი მიწას ძლიერს სცილდება, სამაგიეროთ აქ თვალს ახარებს ადამიანის სიმაღლე, მაგარ ღეროიანი, ხშირად ორ-ტაროანი სიმიინდი. ხეხილიც ხშირდება. მიწის ნაყოფიერებასთან ერთად შავაც იცვლება. განსაკუთრებით ჩავარდნილ ხეობებში ციება ზაფხულობით მეტად გახშირებულია, რაიცა ცხადად ეტყობა მკვიდრთა ჩაყვითლებულ სახეს, მოლემილ მახვრა-მოხვრას, უსიცოცხლო ლაპარაკს.

მზე კარგა გადახრილი იყო, როცა სოფ. ცხმორისში ჩავედით. სიმიინდის ყანის შუა მოგრძო კარავი დაგვხვდა, სადაცა დგას გზის კეთების იჯარადარი გურული, გვარად ერქომაიშვილი, რომელსაც გურიიდან 15-ოდე მუშა მოუყვანია და გზაზე ამუშავებს. ჩვეულებრივის გურულის ენაწყლიანობით ბოდიში მოიხადა, რომ ასეთ უდაბურ ადგილას შესაფერ სტუმარმოყვარეობის დამტკიცება ვერ შეეძლო. წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როცა ამ მივარდნილ ადგილას, ამ ფაცხაში აღმოვაჩინეთ სახელდახელო ბიბლიოთეკა ქართულ წიგნებისა,

რომელთა კითხვით, თავისუფალ დროს, თურმე ჩვენი მასპინძელი ერთობა. სხვათა შორის, დავინახეთ ალ. ფრონელის „მთიულეთი“, „მოამბის“ № № და სხ. სამწუხაროდ, ბევრ ჩვენს „ინტელიგენტებსაც“ ვერ უპოვით ოთახში ამ წიგნებს....

გზას თან-და-თან ერთნაირი ფერა ეძლევა, ნირშეუცვლელია, მარჯვნივ და მარცხნივ სიმიდის ყანებია გაყოლებული. აქარწყალის კალაპოტი განიერდება და თვით მდინარეც მდორდება, დარბაისლდება; სიცხესაც ემატება. შეხვდებით ჩადრში გახვეულ აქარელ ქალებს, რომელთაც ზურგზე გორიცა (ზურგსაკიდი კალათა) აქვსთ მოკიდებული (პატივი მეგრელ ან გურულ ქალებთან!) და შინისკენ ჭიმინდი თუ ხილი მიაქვსთ. აქა-იქ გზის გადაღმა მართლმორწმუნე აქარელს მგზავრს თავისი მოკლე ტანისამოსი ძირს გაუშლია და დაჩოქილი, სამხრეთისაკენ პირქცეული მაჰმადს ევედრება. საცა მოუსწრებს დროლოცვისა, იქვე შესდგება და, რაც უნდა ეჩქარებოდეს საქმეზე, ჯერ სულიერ მოვალეობას აღასრულებს და მხოლოდ მერე გაუდგება გზას, გულნებიერი და მაჰმადის წინაშე პირ-ნათელი...

ხულოდან დილით გამოსულნი, ქედაში კარგა შეღამებულზე-დავიყავით. აქაც თავი შევაფარეთ ქედის ნაწილის სამმართველოს კანცელარიას, სადაც უფროსის საქმის მწარმოებელმა ბ-ნმა სე. იოსელიანმა ყოველგვარად ხელი შეგვიწყო საქირო ცნობების შეკრების საქმეში, რითაც საუკუნოდ დაგვაგალა.

ქედის ნაწილის სამმართველო აქარწყალის მარცხენა მხარეს, გორაკზე, ნაწილის უფროსის თუფალ-ბეგ შარვაშიძის კვითკირის ორსართულიან სახლშია მოთავსებული და მთელს ქედას ზედ დასცქერის. ამ მხარესვე არის ჯამე ქედისა, დუქნები და საზოგადოდ სავაქრო ცენტრი. ჩვენის მოსვლის მერე დღეს აქ პარასკეობა ანუ, როგორც ამბობენ, „ჯუმობა“ იყო გამართული. ორპირად ჩამწკრივებულია პატარა კოლოფების მსგავსი ოციოდ ხის დუქნები, რომლებშიაც თავი კუდს

ძლივს მოიქნევს. აქ არის საფართლო, სამკედლო, საწერილობანო, სამიციტნო და სხვა. მოვაჭრეთა შორის ადგილობრივ მკვიდრთ გარდა სომხებსა და ბერძნებსაც შეხვდებით. ამ ღუქნებ შუა მოედანზე პარასკეობით სოფლებით გამოაქვს სხვა და სხვა ხილი, ყველი, ერბო (არტანინდან მოტანილი), რომელიც აქ იყა სამაზახნახევრად ფასობს, ადგილობრივი შალი, მეტად მტკიცე (ალაბი 23 კაპეიკად), ცაცხვის ქერქისაგან ხელოვნურად გაკეთებული თოკები (6 მხარი აბაზად), მატყლი (იყა— 25 კაპ.), ძროხისა და ცხვრის ხორცი.

საზოგადოდ ქედა ქვედა-აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია, ამასთანავე შუაგულია, ბაზარია ამ კუთხის ნაწარმოებისა. ყოველი ადგილ-მიცემა ქვემო-აჭარლისა უმეტეს ნაწილად აქა სრულდება. რაც უნდა უბრალო რამ დასჭირდეს ქვემო-აჭარელს სასყიდლად, უქვევლად ქედას უნდა მოატანოს, რადგან მთელს ქვედა-აჭარაში, გარდა სოფ. აჭარწყლისა, სხვაგან არსად მოიძებნება ღუქანი.

ქედის ბაზრის გვერდით ხის ჯამე დგას. რადგან პარასკევი მაჰმადიანთა უქმეა, ჯამე მლოცველებით სავსე იყო. ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჩვენც შევედით შიგ. მათებური წირვა, ის იყო, გაეთავებინათ და ქედის მოლა, ვინმე ნაკაშიძე, ხალხს უქადაქებდა მაჰმადის სამოთხის ნეტარების შესახებ ოსმალურად. რამდენად შეიძლებოდა გარეგნულად შეტყობა, თვალსაჩინო ორატორულის ნიჭის პატრონი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ მისი ნათქვამი უმეტეს ნაწილს მსმენელთა,  $\frac{3}{4}$  მაინც, არ ესმოდათ, როგორც ეს მითხრეს ჯამედან გამოსულებმა. ბარემ არ გვესმის, მაგრამ რას ვიზამთ, ჯამეა, ღვთის სახლია, მაინც უნდა ვიაროთ და ვილოცოთო. უნებლიედ მომაგონდა ზოგიერთი ჩვენი ეკლესიები....

როგორც ვსთქვით, აჭარწყალი ქედას ორადა ჰყოფს. ორივე ნაწილი ხის მსუბუქ ხიდითაა შეერთებული; საკმარისია, ცოტაოდნათ ღონიერი წყალდიდობა, რომ ამ ხიდმა წყლის ძალას ველარ გაუძლოს და ორსავე ნაწილს დაბისას კავშირი

მოუსპოს და ერთმანერთს მოსწყეიტოს. ქედის მეორე ნაწილი, აჭარწყლის მარჯვნივ მდებარე, წარმოადგენს ოთხიოდ ხის ღუქანს, ორსართულიან ქვითკირის შენობას სასოფლო ქსენონისას, რომლის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი (თავი მე-XIX); და ორიოდ სხვა კერძო სახლს. იქვეა საწყობი და სასწორი სოფ. მორისიდან სპილენძის მწარმოებელ რიხნერისათვის ჩამოტანილ სპილენძის ლითონისათვის.

ორსავე ნაწილს ქედისას გაღმა-გამოღმიდან თავს დასცქერიან ნორჩის ტყით დაფარული მთანი, სადაც აქა-იქ მიკოსებულია მიუვალ ადგილას სოფლელთა სახლები. ქედის ჩრდილოეთის მხრივ მთის წვერზე მოსჩანს არწივის ბუდის მსგავსად ქვის შენობა. ამბობენ, ნაეკლესიარიაო.

მოსახლეთა შორის, გლეხებს გარდა, აქ არიან ბეგები შარვაშიძენი და პირველი მათგანია შეძლებითა და მდგომარეობით ხანში შესული, დარბაისელი თუფალ-ბეგი შარვაშიძე, ქედის ნაწილის უფროსი, რომელიც ქედაში სამსახურის ასასრულებლად ჩამოდის, ცხოვრებით კი ქედის გარედ თავისს საკუთარს სოფელში სცხოვრობს. თუფალ-ბეგს აფიცრის ხარისხი აქვს, სწავლა შინაური აქვს მიღებული, რუსულს, ცოტა არ იყოს, გაჭირვებით ლაპარაკობს (ქართული და ოსმალური ზედმიწევნით იცის), მაგრამ რუსის ადმინისტრატორობა ჩაუბარებიათ იმ დროს. (აჭარის დაპყრობის პირველ ხანებში), როცა მთავრობას აქეთკენ გავლენიან პირთა საშუალებით უნდა შემოეღო თავისი წეს-წყობილება. თუფალ-ბეგ შარვაშიძეზე უკეთესს, ბუნებისაგან ჭკუით დაჯილდოვებულს და გავლენიანს ამ მხარეში ვერც იპოვნიდნენ. მთავრობასა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის ეს შუაკაცის



მისია თვალ საჩინოდაც აასრულა თუფალ-ბეგმა. ჩვენის აქ ყოფნის შემდეგ დიდხანს არ დარჩენილა სამსახურში. გვგონია, მეორე წელიწადს იძულებულ იქმნა სამსახურიდან გამოსვლის ქალაქი შეეტანა და იმის მაგივრად დაუნაშავსთ ვინმე სე—ვი.

თუფალ-ბეგ შარვაშიძის წინაპარი აფხაზი ყოფილა. რა-ღაცა დაუშავებია და აფხაზეთიდან მთავრის რისხვას გამო-ქცევია აჭარისაკენ. აქაურობა იმ დროს ახალციხელ ჯაყე-ლების ხელში ყოფილა. ახალ-შემოხიზნებული აფხაზი თავადი-შვილი ჯაყელს ალერსიანად მიუღია და მის გვარიშვილობის შესაფერად ადგილ-მამულიც მიუცია. ამის შემდეგ ხშირი მი-მოსვლა ყოფილა გამართული აჭარასა და აფხაზეთს შორის და ერთმანერთს იკითხავდნენო. ოსმალეთის მთავრობას შეჰში-ნებია, ქვეშევრდომნი არ გადამიბირონ და არ გამოიორგულონო და ამ აზრით სასტიკად აღუკრძალავს, განსაკუთრებით ყირი-მის ომის შემდეგ, აჭარელთათვის სხვაგან სიარული.

შარვაშიძეთა გარდა ქედის მიდამოში სახლობენ ბეგები ბეჟანიძენი, ანუ, როგორც ახლა ეძახიან, ბეჟან-ოღლები. მათი ოჯახი განთქმულია შეძლებით, დარბაისლობით და განსაკუთ-რებით ქართულის ენის დაცვითა. როგორც სხვაგან, აქაც ჩვენის ენის ბურჯებად მანდილოსანნი ითვლებიან. მათს შორისავე არის დაცული ძველებური ქართული წერა, რომელსაც ხასიათი თვალსაჩინოდ განსხვავებული აქვს თანამედ-როვე წერის ხასიათისაგან. სამწუხაროდ, პირადად ვერ მოვა-ხერხეთ გვენახა ბეჟანიძეთა ოჯახი და ცოტა ხანს მაინც მათ-თან დავრჩენილვიყავით. ჩვენის თხოვნით ერთ-ერთ ბეჟანიძის დედამ, უკვე ხანში შესულმა მანდილოსანმა, თავის წერის ნიმუში გამოგვიგზავნა, რომელიც წარმოადგენს „ანბანთ ქებას“. ეს ნიმუში მე-XIX თავში უნდა ჩავვერთო, მაგრამ ამოჭრა დროზე ვერ მოესწრო და ამიტომ მხოლოდ ახლა ვბეჭდავთ.



მსოფლიოში ~~მსოფლიოში~~ მსოფლიოში...  
 მსოფლიოში...  
 მსოფლიოში...  
 მსოფლიოში...  
 მსოფლიოში...

თქვენი ხელნაწილი ასე იკითხება:

ახლა მოაზრებენ ვ(ე) რომ ქმ თქვენი რევიინი ქება;  
 ბიძგი რევიინს უყვარდა, უკეთესი არ იქნება;  
 გული (?) წყვილი, რომ არ წყვილი, არ იქნება;  
 დღეს, თქვენი დაქალი, თქვენი ქვეყანა განათლება.

ვატი  
 მ.გ.გ  
 მ.გ.გ  
 მ.გ.გ

24 მარიამობისთვის მშვენიერ დილას სოფ. ქედსაც თავი დაეუკარით. თანამგზავრებათ მომყვებოდნენ ოთხი მოზარდი ყმაწვილები: ორი თუფალ-ბეგ შარვაშიძის შვილები და ორიც მისი ნათესავი. ოთხივე ბათომში ახლად გახსნილ გიმნაზიაში უნდა მიებარებინათ. ორს მათგანს ბათომის სამოქალაქო სასწავლებელში უსწავლიათ და სკდილობდნენ ზემთან რუსულის ცოდნით თავი გამოეჩინათ, თუმცა მეტად უჭირდებოდათ ამ ენაზე ლაპარაკი. სამაგიეროდ მათს ქართულ ლაპარაკის სმენას არა სჯობდა-რა. მეტად საამო საყურებელნი იყვნენ ეს თავისუფალნი შვილნი მშვენიერ აჭარის ბუნებისა, აჭარულად კობტად გამოწყობილნი; თავზე სირმიანი ყაზალახები ჰქონდათ შემოხვეული. ოთხსავე ცხენებზე ისე მაგრად ეჭირათ თავი, თითქო ზედ დაბადებულანო.

ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ბათომელი ახალგაზდა ბეგი აბაშიძე, მეტად კობტა, აჭარულადვე სირმიან ტანისამოსით გამოწყობილი. ქართულს წმინდად ლაპარაკობდა, ოსმალურ სიტყვებს არც კი ურევდა ლაპარაკში. აღმოჩნდა, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლაში უსწავლია ბათომში, განსვენებულ მოსე ნათაძის ხელში. სასოებითაც იხსენიებდა თავის დაუეწყარ მასწავლებლის სახელს, მისს გულკეთილობას და შეგირდების სიყვარულს. რაც ვიცო, სულ „ჩვენმა მოსემ“ მასწავლაო, მაჰმადიანი ქართველები განსაკუთრებით ვუყვარდითო და მამასავით ზრუნავდა ჩვენთვისაო. რომ უფრო ვესიამოვნებინეთ, მოგვიყვა აკაკის, ქალაღიღელის, მ. გურიელის ლექსებს. თანაც იმდერა „სამშობლო ხევსურისა“, რომლისაც როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მოსწონდა. ბოლოს, ნაღვლიანად დასძინა: უფრო მეტი მეცოდინებოდა, მაგრამ სულ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაშიო.

შევეყვით ლაპარაკსა. საგნად ჩვენის ლაპარაკისა თავისთავად, ბუნებრივად შეიქნა ის კითხვა, რომელიც აქეთ სტუმრად გადმოსულ ქართველ კაცს ყოველთ უწინარეს ებადება, და რომელიც მისგან გამოწვლილვასა, ასე თუ ისე გამორკვევასა და პასუხს თხოულობს, — კითხვა ეროვნული. თანამოსაუბრემ,

19-20 წლის ყმაწვილმა, ქართველს გულს ნუგეში სცა, გულს დაკოდინოს უმაღლამა და უსაღბუნა... ვისაც აქეთკენ უვლია და აქაურებთან ლაპარაკი ჰქონია, შენიშნაედა, რომ ჩვენთა თანამოძმეთა ეროვნული ფიზიონომია ისლამს მთლად შთაუნ-თქავს, თავზე შემოუვლია და უნაცვალეზია. გაჰმადიანებული ქართველი მცირე ნიშანს იძლევა თავის ეროვნულ არსებობისას. ამას-ღა გაავონებს ცნობის მოყვარე ქართველის ყურებს: ერთ დროს გურჯი (ქართველი, ანუ ქრისტიანი) ვიყავიო. ახლა? თათარი ვარო, პირდაპირ გიპასუხებსო და თანაც გაუკვირდება თქვენი კითხვა,—ამას რა კითხვა უნდაო. ამ აზრს ისე შეზრდია, ეს აზრი ისე შეუუსისხლხორცეზია, რომ მეტის-მეტი შრომაა საჭირო, წინააღმდეგი აზრი შეათვისებინოთ და გააგებინოთ, რომ შეიძლება კაცი მაჰმადის სჯულს აღიარებდეს და იმავე დროს ქართველი, ფრანგი, თათარი ან სხ. ეროვნებისა იყოს. ჩვენს თანამოსაუბრეს, რომელსაც ჩვენის სკოლის კედლებ შუა ორად-ორი წელიწადი გაუტარებია მისთა მოძმეთა ქართველ-ქრისტიანეთა გვერდით და მერე კი საზოგადოდ სკოლასთან და კერძოდ ჩვენს სკოლასთან ყოველი კავშარი გაუწყვეტია, ჩვენს თანამოსაუბრეს ამ, შედარებით მოკლე, ხნის განმავლობაში შეუგნია ეს, ერთის შეხედვით უბრალო, გარნა ცხოვრებაში უმრავლესობისათვის ძნელი შესათვისებელი მცნება... „ჩვენ, ქართველებიო!“... თუ ორი წელიწადი საკმარისი იყო ეს სასწაული მოეხდინა და ყმაწვილისათვის გამოეცვლევიანებინა მამა-პაპითვე შეთვისებული შემცდარი აზრი, რა თქმა უნდა, კარგ ხელმძღვანელის შემწეობით უფრო მეტი ნაყოფი უნდა გამოიღოს ჩვენთა თანამოძმეთა მოზარდ თაობის უფრო ხანგრძლივმა ყოფნამ ჩვენ სკოლებში (იგულისხმეთ სათავად-აზნაურო სკოლები). ამიტომ, თუ კი დრო გვექნება, ცენტრის გარდა ჩვენის ქვეყნის განაპირებისათვისაც ვიზრუნოთ და თუ შეიძლებაც ხელს შეგვიწყობს, თავი არ უნდა დავზოგოთ ამ წმიდა საქმისათვის. ყოველ წელიწადს თუნდა ორს მაჰმადიან ქართველს ყმაწვილს რომ გავუხსნათ კარი ჩვენის სათავად-აზნაურო სკო-

ლისა, სარგებლობა თვალსაჩინო და ექვს გარეშე იქნება. მხოლოდ ჩვენს სკოლებში აღზრდილ ყმაწვილების საშუალებით აღვადგენთ ჩვენში და მაჭმადიან ქართველობის შუა აწ ჩატეხილს ხიდს, მხოლოდ სწავლის მოწყალებით დავუახლოვდებით საუკუნოებით მოწყვეტილ და ბედშავ ძმებს, მხოლოდ ამ გზით დაეაარსებთ ჩვენსა და მათს შორის მყარს კავშირს, რომელსაც ცვლილება და ბრუნვა ცხოვრებისა და გარემოებათა ისე აღვიღაად ვერ შესწყვეტს და ვერ შემუხსრავს... მართალია, დიდი დრო და უფრო მეტი მოთმინება დასჭირდება ამ კავშირს, მაგრამ ბოლოს ჩვენის ცდით და გაჭირვებით გამოღებულნი ტკბილი ნაყოფი განვლილს სიმწარეს დავვაფიწყებ...

ქედრიდან მოკიდებული მდებარეობა უფრო და უფრო ვაკდება. ბუნებას კი თავისი სიმშვენიერე ბოლომდე რჩება. გზის ორსავე მხარეს ტყით შემოსილი კალთები მთებისა ისევ თვალს უხარებს მგზავრსა. მხოლოდ ფიჭვი ჰქრება. მისს აღვიღს იჭერს რცხილა, წიფელი, წაბლი და სხ. მდებარეობის დავაკებასთან ერთად აქარწყალიც შესამჩნევად მშვიდდება, სახლის სიმსხო ლოდები ჰქრება მისს კალაპოტში. მახუწენთის ძველ ხიდთან აქარწყლის მარჯვნივ ოცის მხარის სიმაღლიდან შურდუღივით ექანება ხავსით დაფარულ და ლიპ კლდებზე ორის აღლის სიგანე ჩაქუხა, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ჩხერი. სანამ მიწას მოატანდეს, ჰაერშივე უთვალავ რიცხვად მარგალიტის მსგავს წინწყლებად იპნევა, რომელთაც მზის სხივებზე ფანტასტიური ბრკვევიალი გააქვსთ. მთელის გზის მშვენებაა ეს ჩხერი და მგზავრი, რაც უნდა ეჩქარებოდეს, დიდხანს თვალს ვერ აშორებს, მისის სილამაზით მოხიბლული.

შედარებით დამშვიდებული აქარწყალი თევზაობასაც, განსაკუთრებით, სასროლი ბადით, ხელს უწყობს. მთელს აქარაში, რომლის მდინარენი ასე სავსენი არიან მეტად ტკბილის თევზით, განსაკუთრებით კალმანით, მხოლოდ აქ, ქედის ქვემოთ, დავინახეთ მებადურნი; ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რომ



მკითხველს გავაცნოთ ორიოდ სიტყვით სხვა და სხვა იარაღნი, თევზის საჭერად ხმარებულნი ქვედა აქარაში.

ჩვენ თევზის ჭერის მხოლოდ შვიდ ნაირ ხერხის ცნობები შევკრიბეთ. შესაძლებელია მეტიც იყოს. ერთი, ყველასაგან ცნობილი ხერხი—**ანკესაჲ**; მეორე—**სასაჲ** ბადე, საქართველოში ყველგან გავრცელებული; მესამე—**ხადეხა**, ანუ გიდელის მსგავსად მოქსოვილი ბადე, ხოლისხ თავში საძირკველი ან წყლის ფსკერზე დასაყრდომი კანაფისა აქეს, სწორი, ალაბისა ან მეტ-ნაკლების სიგრძე, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი ნაწილი მიმაგრებულია ცერის სიმსხო ჯოხზე, რომელიც ბადის პირს რკალის მსგავს სახეს და სულ მუდამ ღია გაშლილ მდებარეობას აძლევს. ამ რკალისავე შემწეობით ხოლისი მღვრე წყალში იდგმის, და ფეხით თუ ჯოხით სცდილობენ თევზი შიგ შერეკონ. მეოთხე—**მაშხაჲ**: სჭრიან თხილის ნედლ ჯოხებს, მერე ცეცხლზე არბილებენ, რომ უფრო ადვილად დაიტკეცოს (დაიშალოს), ტკეცებს მზეზე ახმობენ და კონებადა ჰკრავენ. თევზის ჭერის დროს ამ ტკეცების კონას ცეცხლს უკიდებენ, ერთს ეს ცეცხლ-მოკიდებული კონა, ანუ, როგორც აქ ეძახიან, მაშხალა უჭირავს ხელში და წყალის ფსკერს უნათებს მეორეს, რომელსაც ხელში სამკაპიან ჩანგალწამოცმული ჯოხი უჭირავს და ღამით დაძინებულ თევზს ეძებს. დაინახავს თუ არა, ჩანგალს ჩაჰკრავს და ზევით ცოცხალ-მკედარი დაჭრილი თევზი ამოაქვს. მეხუთე საშუალება თევზის ჭერისა არის **ფსაჲ**. მდინარეს ერთ ნაპირიდან ირიბად ქვებით და ნეშოთი გადაკედლავენ, ქვედა თავში წყალს სადენად ვიწრო ადგილს დაუტოვებენ და იქვე მოწნულს **განძღას** (გიდელის მსგავსი კალათა) ჩაუდგამენ. ამავე დროს ზევიდან ჯოხებით და ქვებით თევზს ქვემოთ გონძლოსაკენ ერეკებიან. თუ ერთი ჩაეიდა თევზი გონძლოში, მერე იქიდან ამოსვლა ვეღარ შეუძლია. ორი დანარჩენი უფრო პირველყოფილი საშუალებაა. ზამთრის პირას მდინარის მყუდრო ნაწილში მოზრდილ ქვებს აწყობენ ერთი-მეორეზე და პატარ-პატარა წრეებს აკეთებენ, რომელთაც ერთ მხარეს პატარა შესასვლელს უტოვებენ. ამ



ქვის წრებში წყალი უფრო თბილია და თევზიც ეტანება გამოსაზამთრებლად. რომ დაატყობენ, რომ შიგ კაი ძაღმა თევზებმა მოიყარეს თავიო, შედიან და ხოლენის საშუალებით იჭერენ. დასასრულ, წყალს ერთ ადგილიდან გადაუგდებენ, მის ფსკერს ამშრალევენ და მშრალზე დარჩენილ თევზებს ხელით იჭერენ.

თევზი, განსაკუთრებით, კალმახი, როგორც ცივის წყლებს მოყვარული სულიერი, ბევრია ზემო-აჭარაში. პატარა ხევებში ამის მეტს სხვა თევზს ვერა ნახავს ადამიანი, და საქმელადაც მეტად გემრიელია. ქვემო-აჭარაში კი, სადაც, ზემო-აჭარასთან შედარებით, უფრო თბილია, კალმახი ნაკლებადაა და სხვა ჯიშის თევზს უთმობს ადგილს. აქაურ წყლებში, განსაკუთრებით აჭარწყალში, სოფ. ქედის ქვემოთ, სჭარბობს წვერა, ელვანა, ჭაფალა და სხ.

ოცდიათი ვერსი კალმით დახატულ ბუნების გზისა ისე გამოვიარეთ, რომ არც-კი გვიგვრძნია დაღალვა. მოვედით მდინარე აჭარ-წყალისავე სახელის სოფელში, სოფ. აჭარწლიდან გზა ორად იყოფა: ერთი სამხრეთისკენ ართვინში გადის, ხოლო მეორე პირდაპირ ბათომში. აქვე აჭარწყალი ბათომის ოლქის და საზოგადოდ საქართველოს ერთ უდიდეს მდინარეს ჭოროხს ერთვის. რამდენად აჩქარებულია აჭარწყალი, იმდენად ღინჯია მისი შთამთქელი დედა-მდინარე ჭოროხი. პირველი ფირუზის ფერია, მეორე მღვრია, მედამ ტალახიანი, ქვაშია შეყრილი, როგორც მისს სახელს განმარტავს ჩვენი ლექსიკოგრაფი საბა ორბელიანი. ამ გზების გასაყართან მდებარეობას ეს სოფელი ძალუნებურად თავისებურ სადგურად და შესასვენებელ ადგილად გაუხდია. აქ ერთ მხარეს ქვითკირის შენობა დგას საინჟინერო უწყებისა და მისსავე მახლობლად სამი-ოთხი სამიკიტნო. სამიკიტნოები იმერლების ხელშია და, როგორც გვითხრეს, ბედს არ ემდურებიან მათი პატრონები, რადგან ბათომ-ახალციხის შორის გზის გაყვანის გამო აქეთკენ სულ მუდამ დიდი მოძრაობაა ხალხისა, განსაკუთრებით ზაფხუ-

ლოპით. ერთ-ერთ სამიკიტნოს ფანჩატურში ჩამოვხტივით და მუცელი მოვიტყუეთ საჭმელ-სასმლითა, რომელთა ღირსების შესახებ უფრო „არას“ თქმა შეიძლებოდა, ვიდრე „ჰოსი“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფასი მაინც მეტად გაზვიადებული ედვა. პროტესტის განცხადებაც მეტად საშიშოა, რადგან გალადებულს მიკიტანს ყველასათვის ერთი და იგივე პასუხი აქვს: „თუ არ გნებავს, ნუ მიირთმევთო“. მოდი და ნუ „მიირთმევთ“, როცა მის იქით კარი არა გაქვსთ... პირველად აქ ვიგრძენით, რომ აჭარულ პირნათლობას ვშორდებოდით... მაგრამ უკეთესი „სიამოვნება“ შემდეგში მოგველოდა...

აჭარწყალსა და ბათომს შუა მდებარე გზა ჯერ-ჯერობით ბათომ-აბასთუმნის გზატკეცილის საუკეთესო ნაწილად ითვლება. არსად აღმართი, არსად გადასახეხი კლდე. ამიტომ აჭარწყალამდე ბათომიდან ეტლებითაც ამოდიან. ხოლო მუდმივად მგზავრნი სამს დილიჯანს მიმოჰყავს. ეს დილიჯნები ჩვენებურების ხელშია. სხვათა შორის, ერთ რიგ დილიჯნებისას ამუშავენ ბათომელი შეძლებული მაჰმადიანი ქართველი ალი-ალა, რომელსაც გამართული აქვს ოთხი დილიჯანი, 8 ეტლი, 16 ჯაგვი და სხ. ჩვენი ქარავანი, 5 სულისაგან შემდგარი, ალი-ალას მედილიჯნეს გაურიგდა ბათომში ჩაყვანას კაცის თავზე შვიდ შაურად. ვახსენეთ ღმერთი და გაყუდებით გზას.

ჩვენი მედილიჯნე ხონელი გამოდგა. ნამდვილი ტიპიური მედილიჯნე იყო, რომელსაც ჩვენს პროვინციებში შეხედებით. ტანთ გაქონილი ახალუხი ეცვა, დახეული ყაბალახი თავზე შემოეხვია; დასიებული სახე, დაღურჯებული ცხვირი, ჩახლეჩილი ხმა—ყოველივე აშკარად მოწმობდა, რომ მათი პატრონი პილატეს ცრებლებს მეტად უბოდიშოთ ეპყრობოდა. ვაგლობად, იმ დღეს სადღაც ნივრით გამომძლარიყო და მასთან მეზობლობამ სული ამოგვართვა. რამდენად თვითონ იყო ქონმოკიდებული, იმდენად გაძვალტყავებულნი და ნამარხულენი იყვნენ მისი ცხენები. დილიჯანს, რომელშიც ექვსი სული-ლა ვისხედით, ორი ცხენი მშვენიერს გზა-ტკეცილზე ძლივას მიათრევდა. მედილიჯნე და წამ-უწუმ უჯავრდებოდა ღანღალა-

გამოლულ ცხენებს, ყვირილისაგან ყურთა სმენა წაიღო. 16 ვერსის მანძილს სრული სამი საათი მოვანდომეთ. ამას ზედ დაურთეთ მედილიქნეს უბოდიშობაც მეზავრებთან. როცა შევნიშნეთ, ასეთ დახოცილ ცხენებს რაღად უბამ, ველარ იძვრიან მეთქი, არც აიღო, არც დაიღო: „თუ არ მოგწონთ, გადაბრძანდითო“. და ასეთი ნუგეშის სიტყვები შუა გზაზე გვითხრა!...

გავიარეთ სოფ. კიბე საზღვარი ქვემო-აჭარისა და გონიოს ნაწილებისა. გზის პირად ფარღალა ფაცხაში ორი თავით ფეხამდე შეიარაღებული ზაფთიები ანუ ჩაფრები იდგა.

სოფ. ერგესთან, გზის ნახევარ მანძილზე, მედილიქნე ცხენებს ასვენებს. იქვე შეხვდებით სოფელელ ბავშვებს, რომელთაც მეზავრთათვის გამოაქვსთ პატარა კალანჩხებით ლეღვი, „ადესის“ ყურძნის აკიდოები და სხ. ხილი. აქედან მოყოლებული გზა მდ. ჭოროხს შორიახლო მისდევს. თვით ჭოროხი მეტად მძიმედ მოდის. მის ნაპირებზე ხედავთ დატვირთულ ნავეებს, რომელთაც ოთხი-ხუთი კაცი მსხვილის თოკებით აღმა მიათრევენ ოფლის წურვით. მენავენი თითქმის ყველანი გონიელი ქართველი-მაჰმადიანები არიან და მენავეობა შეადგენს მათს ცხოვრების სახსარს. ბათომიდან ართვინამდე ზემო-აღნიშნულის საშუალებით ააქვსთ თითო ნავით ას ფუთამდე ტვირთი და თითო ფუთზე ხუთ-ექვს შაურს იღებენ. ართვინამდე ასვლას, 82 ვერსის მანძილს, ოთხს დღეს ანდომებენ. ხოლო ართვინიდან ქვევით წყლის მიმდინარეობას მოჰყავს ერთი-ორად დატვირთული ნავი და მენავეებისაგან თითქმის არც-კი თხოულობს ნავის წამოყვანა შრომას. ამ მანძილსაც სულ ოთხს საათს ანდომებენ.

მივეუახლოვდით სოფ. კაპანდილსაც, სადაც გზის პირას რამდენიმე ბერძნის დუქანია და მათს შორის მეგრელს, გვარად ქანტურიასაც, გაუბედნია ვაგხსნა სამიკიტნო და ბერძენებს შესჯიბრებოდა. კაპანდიდან ჭორიზონტი სულ ფართოვდება. აქედან გამოჩნდა ფერუზი შავი ზღვა და თან გადიშალა კახაბერის დაცემული და ნაყოფიერი ქალა, დაფარული კაცის სიმაღლე და ღონიერი ღეროებიან სიმინდით. აქედანვე სამხრეთის მხარეს გამოჩნდა მარადის თოვლიანი მწვერვალი კარჩხა-

ლისა, მაჰმადიან საქართველოს ბუმბერაზ დარაჯისა და უმაღ-  
ლესის მთისა (შავი ზღვის პირიდან 3,429 მეტრია), რომელსაც მარადსახსოვარმა მგოსანმა მამია გურიელმა ეს სტრიქო-  
ნები უძღვნა:

და თვით კარჩხაღი, ბუმბერაზ-თვარჩი,  
თავით ზეცამდე მიბჟინებულა;  
ქართლის დარაჯი, ძლიერი, წყნარი,  
ჯერ არავისგან შეშინებულა.

—  
თეთრთმის თავსე, რგორც აზრება,  
უმცდარად სქელი ნისლი ეხვევა;  
ახა გინა სცნას მისი დარდები,  
ვის შეუძლია მისი მიხწევა?...  
—

სდგას და მის ტერფთა ძრგვლივ უღვთობას  
სულ ვეკლავიერი გაუსრესას;  
მხეცებრივ ხალხთა უსამართლობას  
ხარბი კბილები მყოფესია.

—  
მხოლოდ ეს ბურჯი სხვა-და-სხვა ძალებს,  
რაც არ სცდილან, ვერ შეუწევეათ:  
ბუქისა ქრფლას, ქეჩილსა, ელკებს  
მასზედ ძაღლანე შეუღვეათ.

ბათომამდე ორი ვერსი-ღა გვიკლია. გზის მარცხნივ ვა-  
კეზე გაშენებულთა სოფელი აფხაზებისა, რომელნიც ბათომის  
გენერალ-გუბერნატორის კომაროვის დროს გადმოსახლებულან.  
აქ აფხაზეთიდან. სულ სამოცდაათ კომლამდე იქმნებიან. დაგვ-  
ნანდა, რომ უფრო დაახლოვებით ვერ შევიძელით მათის ყო-  
ფა-მდგომარეობის გაცნობა, ამიტომ ბოდიშს ვიხდით მკით-  
ხველთან, რომ უნდა ვაკმაროთ მწირი ცნობები მათს. შესახებ.  
სახლები რიგზე აქვსთ ჩამწკრივებული, უმეტესობა ფაცხებიჲ,  
მაგრამ შიგა-და შიგ ქვითკირის სახლებსაც შეხვდებით. აღბად,



იმ მოსაზრებით, რომ ეს თავისუფალ ბუნების შვილნი ხელის ახლო ჰყოლოდათ და ადვილად ედევნებინათ თვალ-ყური მათთვის, ბათომს ახლო, მართალია, ნაყოფიერ, მაგრამ ცივებიან ადგილზე დაუსახლებიათ. ეს სენი თურმე მუსრს ავლებს აფხაზეთის მთას შვილებს. ქურდობისთვისაც მაინც-და-მაინც სულ ვერ აუღიათ ხელი, და მეზობლები მეტად მომდურავენი ჰყავსთ. ცივების გარდა მათი მტერი გამხდარა მდ. ჭოროხი. ისე არ აღიღდება ეს მდინარე, რომ გლეხების ჭირნახული არ დააწიოკოს. 1895 წლის წყალდიდობას თითქმის სულ ერთიანად წაუღევია აქაურობა. სწავლა-განათლება მათთვის ჯერ ისევ მიუწდომელია. ზოგიერთს ქართული ენაც უსწავლია და ბათომში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლაში შვილებსაც აბარებენო.

ბოლოს, აჰა, გამოჩნდა მთელი ტყე ნავთსადგურში მდგარ გემების ღირვეებისა, ქარხნების კვამლი, მტვერი, მოისმა ქალაქის რახა-რუხი— შევდივართ ბათომში, რომელსაც 1873 წელს ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ასე აგვიწერს: „ბათომის ქალაქი ასიოდე უბედურს სახლს და ქოხს ჰქვიან. ზოგი მათგანი დაბწნილო და შეტკეჩილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია. ორიოდე შენობა ქვით-კირისაც მოიძებნება და ქვითკირი, მგონი, უფრო იმიტომაა გაშენებული, რომ ქარი, სიცივე და სიცხე შეუშვან, ვინმე კაცს თავი შეათარვინონ („სხვათა შორის“, — „კრებული“ 1873 წ. № IV, გვ. 31)“.

ასეთი იყო ბათომი ამ 25 წლის წინად, როცა ისევ ოსმალთა ხელში იმყოფებოდა და ჩვენს ქვეყანას არ შემოერთებია. და დღეს კი იმავე ქალაქში, რომელსაც მივარდნილ სოფლის სახელი უფრო შეჰფეროდა, და რომელშიაც 4,970 სული მცხოვრები ირიცხებოდა, ითვლება 30,000 სული; „შეტკეჩილ ფაცხების“ ალაგას წამოზიდულია ორ-სამ სართულიანი ევროპიული სახლები, გაყვანილია მშვენიერი მოკირწყლული ქუჩები, ყველა კუთხე ელექტრონით ნათდება, ვაჭრობა გაჩაღებულია, მთელს მსოფლიოსთან მიმოსვლაა გამართული, მილიონობით ფული ტრიალდება; გახსნილია საქალებო და სავაჟო გამზა-



ზიები და სხვა დაბალი სასწავლებლები, საკრედიტო დაწესებულებანი, ქარხნები, წიგნის მაღაზიები, სტამბები; იმავე ქალაქში თვალს გიტკობსთ ტროპიკულ მცენარეებით შემკული ბაღები. და, ბოლოს, რაც უფრო სანუგეშოა ჩვენთვის, ამ ქალაქში ქართველ ელემენტსაც საპატიო ადგილი უჭირავს.

შორიდან ერთი კიდევ მივაგლეთ თვალი აქარას. მშვიდობით, მთანო, უბიწო ჰაერო, მშვენიერ ბუნების თვალწარმტაცო სურათნო! გეთხოვებით და ვინ იცის, კვლავ როდისა და ვინილავთ, კვლავ როდის მიმიკრავთ მშობლიურის აღერსით და მანეტარებთ თქვენს ძვირფას გულ-მკერდზე...

თ. სახლკია



# ცოლის იღვალე

## გამოცხადებული ქართულ ხალხურ პოეზიაში

ქართული ენა საკმაოდ მდიდარია ხალხურ ზებირ ნაწარმოებით. ანდაზები, შაირ-ლექსები, იგავ-ზღაპრებ-არაკები, რაც დღემდის დაბეჭდილა ჩვენს პერიოდულს გამოცემებში, შეადგენს მხოლოდ მესამე და მეათასე ნაწილს იმ განძისას, რომელიც გაბნეულია საქართველოს ყველა კუთხეებში და ჯერ კიდევ მოელის ქალაქებზე დასავლას და ერთად თავის მოყრას.

ხალხურ ნაწარმოებთა სრულად შეკრება ბევრნაირად არის ჩვენთვის საგულისხმიერო. გარდა წმინდა ლიტერატურული ინტერესისა, რომელიც იმ ნაწარმოებთა ეძლევათ თავიანთ განსაკუთრებულ სახეებით, ფორმებით, მოკლე და მკაფიო გამოთქმით და დასკვნებით, ორიგინალური შედარებებით, — მათ აქვთ შინაგანი მხარეც, მხარე რეალური, მხარე ფიქრთა და აზრთა გამომხატველი.

სწორედ ეს შინაარსი ხალხურ ზებირ ნაწარმოებთა იზიდავს ამ ჟამად ჩვენს ყურადღებას.

ქართველი ერი ამ ნაწარმოებებში გამოსთქვამს თავისს გულისწუხილს და სიხარულს, საწადელს, ფიქრს; მათში ვხვდებით ჩვენი ხალხის შეხედულებას თავისს საკუთარს ცხოვრებაზედ, სიცოცხლეზედ, ოჯახურს და საზოგადოებრივს წყობილებაზედ და მართვა-გამგეობაზედ; მათში შეგვხვდება ჩვენ მრავალი პსიქოლოგიური დაკვირვებანი შესახებ ადამიანის

ყოველნაირი გარჯა-მოქმედებისა, რწმენისა, გრძნობისა, მის ბუნებასთან და მახლობელთან დამოკიდებულებისა.

ამხელად ვეცდებით აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი განკერძოებული საგანი, რომელსაც საესებით ჰხატავს მრავალ-ფეროვანი ქართული ხალხური პოეზია, ე. ი. ის, თუ რა შეხედულება აქვს ხალხს ცოლის შინაგან და გარეგან თვისებებზედ, რა სახის, ჭკვის, გონების და ხასიათის ცოლი ჰსურს და მოსწონს მას, როგორი უნდა იყოს ცოლი, რომ გლეხის მყუდრო და ბედნიერი ცხოვრება არამც თუ შეაჩუქოს, არამედ ხელი შეუწყოს მის წარმატება-აყვავებას, ერთის სიტყვით, ცოლის იდეალი

განსახილველად ვიღებთ ხალხურ ნაწარმოებთა მარტო ერთ დარგს—ლექსებს, რადგან ამათშიაც, ჩვენის აზრით, საკმაოდ ვრცლად და ყოველ მხრივ იხატება არჩეული საგანი.\*).

## I

ერთი ჯგუფი ხალხური ლექსებისა შეიცავს ზოგად ცნებას სასურველი ცოლის სიკეთეზედ: მასში არ არის ნაჩვენები და დასახლებული არც ერთი ის თვისება, რომელიც მოეთხოვება იდალურს ცოლს; არ არის გამოთქმული, რა ზნისა, ჭკვისა და ხასიათისა უნდა იყოს ცოლი; ნათქვამია მხოლოდ, რომ კაცისთვის კარგი ცოლია საჭირო.

დაშქრად წასკლა მას უხარის,

ვისაც კარგი ცხენი ჭყავსა;

დაბრუნება და შინ მოსკლა—

ვისაც კარგი ცოლი ჭყავსა.

\*

\*) მასალა გამოკრებილი გვაქვს ხალხური ლექსებიდან, რაცკი-რამ დაბეჭდილია ჩვენს ძველსა და ახალს პერიოდულ და ცალკე გამოცემებში უკანასკნელს 20-30 წლის განმავლობაში, გარდა რამოდენიმე ლექსისა, რომლებიც საკუთრად ჩვენგან არის გავრნილი და პირველად ჩაწერილი.

ცხენ კარგის დედას დაჯნატრი:  
 ლაშქარს წინდაწინ წადგება,  
 მემრე თოფ კარგის დედასა:  
 ერთის ნასროლით დაჩნება.  
 მემრე ცოლ კარგის დედასა:  
 ქმრის სწორთ ლამაზად დაჭსედება.

(ფშაური).

ამასვე იმეორებს ქართულივე ხალხური ანდაზა:

„ვაჟკაცს უთქვამს: ან ან ქორწილში რად წავალ, ან ქე-  
 ლებსშიო: თუ კაი ცოლი მეყოლება, ქორწილი სახლში მექნე-  
 ბაო, და თუ ავი ცოლი მეყოლება, სატირელი შინ მექნე-  
 ბაო“. \*)

შემდეგ ამ ზოგად აზრს საფარებელი ენდება და იგი ნა-  
 წილდება მარტივ მცნებებად, რომლებიც აშკარად ჰხატავენ იმ  
 თვისებებს, რომლებიც მოეთხოვება ჯეროვანს ცოლს.

„საქონელს თვალი სკამსო“, ამბობს ხალხური ანდაზა,  
 ესე იგი საქონელი ჯერ გარეგნობით უნდა მოეწონოს კაცსაო  
 და იგივე ხალხი ამ პრინციპს ადგა ლექსებშიაც, სადაც უპირ-  
 ველესად გარეგან სიმშვენიერეს ეძებს ცოლისას:

ცოლად ან მინდა გოგონა  
 გონჯი და ქვეუნი მასხარა;  
 თუ იყოს—ისე ლამაზი,  
 მარტო მე მეგანდეს, სხვას არა.

\*

ლამაზო, დაკანი, ჩამოკში;  
 მკლარ კძლებ შენსა დკენასა;  
 მკლარც გშორდები, გერც აქნა  
 კედარსო შენსა სკეენასა.

\*

\*) „ქართული ანდაზები“ გამოცემული პ. უმიკაშვილისაგან 1876 წ.

მინდვრიდან მოხვალ შენ, ქალო,  
 ამომავალი მზე ხარო,  
 ნეტავი იმის დედასა,  
 რომლის ძეგაგზედა წვეხარო.

\*

ამომავალ მზეს გამგზავსებ,  
 მინდვრს რომ მოეფინება;  
 ქალო, შენს პატრონს შენთანა  
 რა ტებილათ დაეძინება!

ამ უკანასკნელს ლექსებში არ არის ნახსენები პირდაპირ ცოლი; მაგრამ ი.უ. სახეში მივიღებთ, რომ ამ „ამომავალ მზეს“ „პატრონი“ ჰყავს, რომლის „მკლავზედაც წევს“ და რომელსაც მასთან „ტებილად დაეძინება“, ადვილად მივხვდებით, რომ „ამომავალ მზეს“ ქმარი ჰყავს და, მაშასადამე, იგი ცოლია სხვისა.

თუმცა ისეთი ლექსებიც ბევრია, რომლებშიაც პირდაპირ ლამაზ ცოლზედ არის ლაპარაკი, როგორც, მაგალითად:

მკერდში მოხვედრილ ტუეისგან  
 საბრალად ბიჭი ჰქვიოდა;  
 იგრე თავს არა ნანობდა,  
 ლამაზსა ცოლსა ჩიოდა.

ზოგჯერ ლექსი ასახელებს მხოლოდ ნაკვლს, რომელიც სილამაზეს ხელს უშლის:

მინდვრ-მინდვრ დაკდიოდი,  
 ალაგ-ალაგ ჭრჭყვი იყო;  
 მე საწყაღმა რა გიტოდი,  
 თუ ის გოგო კოჭლი იყო.

\*

დედამ ქალი ამირჩია,  
 რჯახისა თავი იყო;



მე ის ცოლად რათ მინდოდს  
ნასშირვიით შავი იყო.

სიკოქლე და „ნახშირვიით“ სიშავე ყოფილა დამაბრკო-  
ლებელი მიზეზი ცოლის არჩევაში მაშინაც კი, როდესაც  
ქალი სადედამთილოს მოსწონს და იგი ყველა დანარჩენ ღირ-  
სებებით „ოჯახის თავად“ ითვლება.

ამგვარად სილამაზეს ხალხი სთვლის იმ თვისებად, რომე-  
ლიც შეადგენს საცოლოს ერთ კუთვნილებათაგანს. მაგრამ  
ვის უწოდებს ხალხი „ლამაზს“, რას ჰქვიათ სილამაზე“, აქვს  
თუ არა ხალხს ნათელი, განსაზღვრული წარმოდგინება ლამაზ  
ქალზედ? ამის პასუხს იძლევა ზეორე ჯგუფი ხალხური ლექსე-  
ბისა, სადაც გასაოცარის საფსებით არის დახატული ლამაზი  
ქალის სურათი. \*) იქამდის სრული და დამთავრებულია ეს  
სურათი, რომ მის შექმნაში არ არის დავიწყებული არც კბილი,  
არც ტუჩი, არც წარბი, არც წამწამი.

მაშასადამე, ხალხს საკმაოდ ესმის ეს ვითარება, „ლამაზი“  
არ არის მისთვის გაუგებარი; მას ნათლად აქვს შეგნებული  
ეს ცნება და სრულის გაგებით ხმარობს ამ სიტყვას.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, სილამაზე არის ერთი კუ-  
თვნილებათაგანი საცოლოსი და არა ერთად-ერთი; ამასთან  
სილამაზე არც უმთავრეს პირობას შეადგენს, რომელსაც  
ესწრაფვის საქმრო:

რად გინდა ცოლი ლამაზი,  
რა ომში გამოგადგება?  
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა,  
გამოვა, კარზე დადგება;  
იმის შამხედავ გაუკაცა  
კელაპტარვიით დადნება.—

\*) იხ. ჩვენივე წერილი: „ქალის მშვენიერების იდეალი ქართულს  
საერო ლექსებში“ „ივერია“. №106, 1886 წ.

ამბობს ხალხი; თუმცა პირველის შეხედვით ამ ლექსის ორს უკანასკნელს ტაეპს თითქო წინასთან კავშირი არა აქვსო, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხურ სიტყვიერ ნაწარმოებებში ხშირად შეხედებით აზრის პირდაპირ გამოთქმის მაგიერ შედარებით გამოხატვას, ზოგჯერ საკმაოდ შემოკლებას და ზოგჯერ მხოლოდ ტუზასების აღნიშვნას უდასკვნოდ; დასკვნისთვის ლექსის გამგონმა უნდა შეიტკიოს თავი. რასაკვირველია, ამისთანა შემთხვევებში ხალხის შემოქმედების, ასე რომ ვსთქვათ, თავისუფლება მაინც ზომიერებას გზას არ უქცევს, ესე იგი აზრს ამოკლებს, ჰკვეცავს მაშინ, როდესაც გამგონი გაუჭირებლივ მიხვდება თავისთავად სათქმელს, როდესაც ორ აზროვნებას და განუმარტებლობას ადგილი არა აქვს.

ასეა ამ შემთხვევაშიაც; ლექსი ამბობს: „რად გინდა ცოლი ლამაზი“, მოირთვება, კარზე გამოვა და გამვლელ-გამომვლელს „კელაპტარივით დაადნობსო“. მერე რა არის აქ მოსარიდებელი? აქ იმალება ის აზრი, რომ ლამაზს ქალს ბევრი ხიფათი დასდევს უკან და მის პატრონს ბევრი ზრუნვა და სიფრთხილე ჰმართებსო, რასაც ნათლად გამოსთქვამს მეორე ლექსი:

ლამაზი ცოლის პატრონსა

უნდა ჰქვანდეს ძაღლი ფრთხილი:

ან უნდა ძაღლი ფრთხილადეს,

ანუ მისი დედამთილი.

მაგრამ ეს სიფრთხილე ანუ შიში სრულიადაც არ არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ გლეხი ზოგჯერ ცოლის არჩევაში სილამაზეს სთქმობს; თუ იგი ამბობს „ლამაზი ცოლი რად გინდა, მოირთვება და სეირნობას დაიწყებსო“.—ეს ისე, „გულის გასაქარვებლად“, ნამდვილ მიზეზად იგი სხვას ასახელებს:

რას ვაქნევ ცოლსა ლამაზსა,

მარტო კერაზე იჯდეს?

ცოლს ვუქებ კაცსა იგეთსა,

ქმარს რო მხარ-და-მხარ უდგესა.

მერე როგორ ცოლს შეუძლიან ქიარს მხარ-და-მხარ და-  
უდგეს, უღელი გაუწიოს? რასაკვირველია, ჭკვითა და გონე-  
ბით აღჭურვილს, რასაც შემდეგი ლექსებიც კმოწმობენ:

სამოც-და-სამი წელი ჭყავს  
იკანე ქიშბერდიანსა;  
დადის და კიდევ დაუქებს  
გონიერსა და ჭკვიანსა.

\*

ქალი მინასავს კეკლუცი,  
ტანადი, გაშრის თმიანი;  
ათასჯერ მასზედ შეტია  
საცოლოდ მხნე და ჭკვიანი.

აქედამ ცხადად სჩანს, რომ საქმრო მარტო სილამაზით  
არ ხელმძღვანელობს ცოლის შერთვაში, რომ სილამაზე არ  
არის ერთად-ერთი ადლი, რომლითაც ჰზომავს საცოლოდ  
აღმორჩეულ ქალის ვითარებას. უეჭველია, ვილაც ივანე ქიშ-  
ბერდიანის სამოც-და-სამ ცოლში ლამაზებიც ერივნენ, მაგრამ  
იგი ამით არ კმაყოფილდება და კიდევ ეძებს „გონიერსა და  
ჭკვიანსა“. ეს კიდევ არაფერი; ბევრჯერ „მხნესა და ჭკვიანს“  
ქალს ხალხის გამჭირახი გემოვნება „ათასჯერ“ მალლა აყენებს  
„კეკლუცს, ტანადს და გიშრის თმიანზედ“.

როგორც შემდეგაც დავინახავთ, ამ საგანში ქართველი  
ხალხის მოთხოვნილება უთვალავია. რასაკვირველია, მოთხოვ-  
ნილებებს ცხოვრების გარემოებათა მიხედვით ათასნაირი დაბ-  
რკოლება ელობება წინ და ამიტომ უმრავლესს შემთხვევებში  
იგინი დაუკმაყოფილებელი რჩებიან; მაგრამ ეს მკვლევარის-  
თვის სულ ერთია: ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ თვით  
ამ მოთხოვნილებას ხალხისას, მის აზრს, გემოვნებას, შეხედუ-  
ლებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოგვცემენ უტყუარ სა-  
ბუთს ვიქონიოთ მსჯელობა ქართველი მღაბიო ხალხის გონე-  
ბრივს და ზნეობრივ კულტურაზედ და დაგვანახებენ იმ წერ-

ტილს, რაზედაც ეს კულტურა მდგარა. დღეს ყველამ კარგად იცის, რომ ადამიანის გემოვნებანი და მოთხოვნებიანი მაჩვენებელნი არიან მის კულტურის ხარისხისა.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ სარძლოსგან ხალხი თხოულობს გონიერებას, ჭკვას და მხნეობას. ცხადია, რომ მხნე, ჭკვიანი და გონიერი ქალი ყოველთვის სიავეს აცილებული უნდა იყოს: გონიერებასთან სიავე არ თავსდება; მაგრამ ქართველი ხალხი მაინც განკერძობით თხოულობს იმას, რაც საჭიროდ მიაჩნია:

ავი ზატარძლის უოლასა  
სახადი სჯობს სახლობისა;  
ჩამჩა იტემს თავშიაა:  
«მე ჩავეარდი წყალშიაა».  
კოვზები აბმენ ფერხისას  
გარეთ დერეფანშიაა.

\*

ვაუკაცსა ცოლის სიავე  
შუა გზას მოაგონდება;  
წაიდებს საგონებელი,  
გზას იქით გადაკარდება.

\*

ყალბობას ნახვევი ვარ,  
ამას იქით კარგს ან გელი:  
ცოლის სიავემ გამხადა  
ჭოჭოხეთისა მნახველი.

სადამდის გაუბრის ხალხი ცოლის სიავეს და თუ ვერ აიცილა თავიდან, სადამდის სწუხს და იტანჯება, საკმარისად სჩანს იქიდან, რომ „სახლობის სახადს“ ამჯობინებს „ავი პატარძლის უოლასა“; მგზავრ ვაუკაცს ცოლის სიავის მოგონება თვალსა და გონებას უბნელებს იმ წრემდე, რომ აღარ ვაფგება, საით მიდის და „გზას იქითა ვარდება“; ცოლის სიავე კაცს ეკარგავს ყოველ იმედს, სასოებას მომავალშიაც და იქამდის

უშხამავს არსებობას, რომ წუთისოფელი „ჯოჯობეთად“ ეჩვე-  
ნება.

თუ სიავესთან ცოლს სხვა ცუდი ზნეც სჭირს, მაშინ ხომ  
ქმრის საქმე წასულია:

«დემეტო, ნუ მისცემ ვაჟებს  
ცოლსა ყბელსა და მძინარსა:  
ის შაშღის, ის დააბერებს,  
ის მისცემს წყალსა მდინარსა.»

\*

ზოგი ერთი პატარძალი  
წამოწვება ძელივითა,  
ენას ხომ არ დააყენებს,  
მაწყინარი გველივითა,  
იმას კარგი სასრე უნდა,  
გააგინოს წნელივითა.

\*

ცოლისა ენამ დამღუპა,  
აღარ ვარგივარ სულად;  
ოჯახი ცალკე არა,  
ქვეყანა მამამულად.

მძინარა და ცუდი ენის პატრონი, ყბელი ცოლი გლეხ  
კაცს სრულიად ხელს არ მისცემს. რასაკვირველია, ცოლს რომ  
უყვარდეს „ძელივით წამოწოლა“, „მაწყინარი გველივით“  
ენის ხმარება „ოჯახსაც აპრევს“, თავისს ქმარს „ქვეყანასაც  
მოაძულებს“, „შეშლის“, უდროვით „დააბერებს“ და სრულიად  
„მისცემს წყალსა მდინარსა“.

მაგრამ რა სურათს წარმოადგენს ის ოჯახი, რომელსაც  
ბედი არგუნებს ამისთანა თვისებების მქონე რძალს, დავინახავთ  
შემდეგის ლექსებიდან.

ჩემი ძმა მხევეწებოდა: (ფშაური)  
«უნდა შაინთო ცოლია.»



იმან რა წაღვი მომგვარა,  
 უკითხელი კომშის ფერია.  
 რაი სარტყელი ვუყიდე,  
 მესამე ჭიაფურია.  
 სამივე ერთურთს გადავაბი,  
 ძლივს დაუჭირა წელი.  
 იმ ხანებში მოვიყვანე,  
 რამ იყო უკვლეურია.  
 ერთი ჭილა კრბო მქონდა  
 უკითხელი კომშის ფერია;  
 სამ დღეზედ ისე შაჭამა,  
 შიშვედ მოუსკა სელი.  
 მეზობლებში დაეკვიხა—  
 ნიგოზსაც მივაგენია.  
 რაი რძალი გამილახა,  
 მესამე დედაქემია;  
 ახლა მე დამემუქარა:—  
 «შენ დამჩნი უცემელია,  
 ამისა მყოფრებულსა  
 აღარ მამეცა ფერია.

\*

მე რა რძალი მოვიყვანე, (ფშაური)  
 ურცხვი იყო, თარაქამა.  
 მასივე გამიხადა ჩხუბი,  
 მიმწიხლა და მიმაკვდარა.  
 მეორე დღე რა გათენდა,  
 შუა-გატეხ შამიყარა:  
 სუ დამიყო მამულეები,  
 შიგ მიჯნები ჩამიყარა,  
 ერთი დღის მიწა მარჯინა,  
 იმისაც არა მანჯყარა—  
 ერთ ასამან ჰური მამცა,  
 ისიც თაკვამ დამიჭამა;

ერთი ფურც მამარგინა,  
 ბღუჭით აღარ მამტა ჩაღა;  
 ერთი ქობი მამარგინა,  
 ძირსედ აღარ აკრავ კაღა;  
 ერთი ჯამი მამარგინა,  
 კოკუზი აღარ დამიტანა.  
 სუ წამარტვა იარადი,  
 აღარ მამტა ერთი დანა.

ფშაველი უჩივის მსუნაგობას და ანჩხლობას თავის ცოლს; უკანასკნელის საქციელმა ისეთი ღღე დააყენა, რომ მას „აღარ მიეცა ფერია“. მეორე ალაგას ფშაველივე ჩივის, რომ იგი რძალმა „მიწიხლა და მიამკვდარა;“ მაგრამ ყველა ამის ატანას იგი შეიძლებს, ამას მოითმენს, — ვერ შეუურიგდება უფრო მეორე გარემოებას:

შუა-კაცებ შამიყარა:

სუ დამიყო მამუღები,  
 შიგ მიჯნები ჩამიყარა.

მართლაც, ავი რძალი თითქმის ყოველთვის უმთავრესი მიზეზია რთული ოჯახის დარღვევისა. გაყრა და განცალკევებული ოჯახის წევრების დაქვეითება ერთი და იგივეა. არავის ახსოვს, რომ დიდი ოჯახის გაყრას ოჯახის შვილებისთვის სარგებლობა მოეტანოს.

პატრიარხალური ოჯახი თავისის შინაგანი წეს-წყობილებით საქართველოში უხსოვარ დროიდგან სანუკარი და სანატრელი ყოფილა.

რთული ოჯახი იბადებოდა მარტივისაგან: ერთი მამისა და ერთი დედისაგან; ამათ ეყოლებოდათ რამდონიმე ვაჟი-შვილები; ვაჟები დაიზრდებოდნენ, დაქორწილდებოდნენ, დაწვრილ-შვილდებოდნენ და შეიქმნებოდა რთული ოჯახი.

ოჯახიშვილებს ერთად აკავშირებდა სიყვარული და პატრისციმა საერთო დედმამისადმი, რომლებიც ითვლებოდნენ

უფროსებად და გამგებლებად; ამის გარდა, საერთო ინტერესები და მოქმედებები უფრო მტკიცედ და შეუწყველად ჰქმნიდა ოჯახის სიმკვიდრეს და მთლიანობას: ერთი ძმა რომ ხენათესვას განაგებდა, მეორე ცხვარს უვლიდა, მესამე ძროხას, მეოთხე ღორს, მეხუთე ვენახს, წისქვილს და სხვა; ერთი რძალი პურს აცხობდა (ანუ სხვებიც ჯერით), მეორე საქმელს ხარშავდა, მესამე სახლსა და ეზოს ასუფთავებდა, მეოთხე მუშა-მოჯამაგირეთსაგზალს უმზადებდა და სხვა.; ყველა ძმებს ერთი კერა-ცეცხლი სჭირდებოდა, ერთი კალო-საბძელი, ერთი გუთანა, ერთი ქრაქ-სანთელი; სიმრავლის გამო მტერი ამისთანა ოჯახს მხარს უქცევდა, ვერას აკლებდა.

ამრიგად დიდი ოჯახი წარმოადგენდა როგორც მატერიალურს, აგრეთვე ზნეობრივს საკმაო ძალას, რომლის წყალობითაც თვითეული ოჯახის წევრი ჰკრძობდა სრულს სილადეს, სიმწიფიდეს და კმაყოფილებას.

ამის შემდეგ ცხადია, არა დიდ ჯებდურებად უნდა ჩათვლილიყო ამისთანა ოჯახის დაშლა, გაყრა და რა დიდ დამნაშავედ უნდა ცნობილიყო ოჯახის მშვიდობიანობის დამრღვევი, გაყრის მიზეზის ამშლელი და მსურველი.

ქართველი ხალხი ჯეროვანად აფასებს ამისთანა პირის საქციელს და უღობველი სასტიკობით ჰკიცხავს მას ყველგან და ყოველთვის.

ამიტომ ვერც ხალხური პოეზია აიცილებდა თავიდან ამისთანა ტემებს და ხშირად უთმობს იგი ადგილს ავი რძლის მოქმედების დახასიათებას და დახატვას.

აი კიდევ ერთი ფშაური ლექსი:

ქართლიდანა გამოვთხოვდი

კახტა ქალი მეა;

ჩაკიცვი და დავისურე,

კარგა მოვირთუა;

წავიგლისე უმარდი,

ფერა ვაჭარბეო.

ციკ წყაროზედ რა მივედით,  
 სადილი ეჭამეო.  
 შუა გზაზედ რა მივედით,  
 ცხენს აგუნჭარეო.  
 მახრანნი მომძახნდა:  
 «ქალ, დაგვიცადეო!»  
 მე იმით ლაყაფ-ლაყაფსა  
 ყური არ უბდეო.  
 სოფლის პირში რა მივედით,  
 კარდი აკონეო;  
 სანთლის შუქი დავინახე,  
 იქ მივატანეო.  
 მულები გამომეგებნენ,  
 არ მივესაღმეო.  
 ცხენს აღვირი წამოკურე,  
 შინ შავიწიეო.  
 კარებშია რა მივედით,  
 თაფლი შევლოკეო;  
 სამჯერ გვრას მოუარე,  
 ჯამი გავსტეხეო;  
 მივიხედე—მოვიხედე,  
 საჯდომს დავხედეო;  
 ბაღში რა არსად იდგა,  
 ჯეჯიმიზე დავჯეო;  
 იქით—აქეთ ჰურსს სჭამენ,  
 ჰური მშინ მეო.  
 ცალკე რამ მიმბატყეს,  
 ის მიაძა მეო.  
 ათი გვერცხის კრბო გვერცხი  
 მარტო შეგჭამეო;  
 დიდი ლეგმა ახოვიდე,  
 სხვას მოკეფარეო.  
 სტაქნით ღვინო მომაწოდეს,

ის მეწეინა მეო;  
 ნახე — ლიტრა მომწოდეს,  
 ის მიამა მეო.  
 დაუღაე და გამოკისტაღე,  
 გამოვაგორეო.  
 მამამთილს წვერი ეგლიჯე  
 კალთას ვუყარეო;  
 დედამთილი გაემუგზურე,  
 მული გაეჯოხეო;  
 მასლი კარს ეფარებოდა,  
 აგებ გადაეჩეო.  
 ქმარი სამკალზედ გაეგზავნე,  
 მჭადი ვუსესხეო;  
 მასწონსა თავი მოგხადე,  
 დო შეუნახეო;  
 საღამოზედ რა მოვიდა,  
 დო მათუტანეო.

პატარძალი იკვების და მერე რას იკვების: მაყრიონს არ მოფუცადეო; ათი კვერცხის ერბო კვერცხი მარტო შეეჭამეო; დიდი ლუკმა ამოვიღე, ბევრი ღვინო დაელიე და ის მიამა; ჭურჭელიც გამოვცალე და „გამოვაგორეო“; მამამთილს წვერი ეგლიჯე, დედამთილი „გაემუგზურე“, მული „გაეჯოხე“, მასლი შიშით მემალეობოდა; ქმარი სამუშაოდ გაეგზავნე და „მჭადი“ გავატანე, მაწვნის თავი (ე. ი. რაც ნალმიანი, მსუქანი და გემრიელია) მე შეეჭამე და ქმარს დო შეეუნახეო.

მსუნაგობას, გაუმადლობას და ავ-ზნეობას აბა ამაზედ მეტა რა საზღვარი-ლა უნდა ჰქონდეს? საზოგადოდ ქართველი ხალხი დიდ დანაშაულად უთვლის ოჯახის რძალს მამამთილ-დედამთილის და მასლ-მულებს უპატივცემლობას და ავად მოპყრობას.

ძველი ქართული ჩვეულების ძალით ახლად მოყვანილი რძალი რამოდენიმე დროის განმავლობაში მამამთილს ღ უფროსს



მაზლს სრულიად არ გასცემდა ხმას, რითაც ამტკიცებდა მორცხეობას, მათდამი პატივისცემას და უსაზღვრო მორჩილებას. ჩვენ თვითონ ვიცით მაგალითები, რომ ბატარძალს 8—10 წლის განმავლობაში, მოყვანის დღიდან, ხმა არ გაეცეს თვისის მამამთილისათვის. ამის შემდეგ აღვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ოჯახში რძალმა, რომელიც მოყვანის უმაღვე თავისს მამამთლის „წვერს აგლეჯავს და კალთას უყრის.“

„ქალი მორცხვი; ვაჟი ხასი (თამამი)—ქვეყნის ფასი“. ამბობს ქართული ანდაზა. კერძოდ მორცხეობას და თავაზიანობას თხოულობს ქართველი ხალხი რძლისაგან, და როდესაც უკანასკნელი ამ თვისებებს მოკლებულია, მაშინ იგი ამისთანა რძალს ისე არ იხსენიებს, თუ არ კიცხვით და წყევლა-კრულვით.

იესო ქრისტემ დასწეველს  
 ესლანდელი ქალის რჯული:  
 მინამ გასათხოვარია,  
 მინამ აჩის გაბუშტული,  
 რაკი იგი გათხოვდება  
 მიეტემა დიდი გული.  
 მაზლი ტყეში გაისტუმრას,  
 ხელში მისცა დიდი ცული;  
 ერთი კუტი გადაუგდო:  
 ამით ამოირთვი სულია.  
 კიდობანს კლიტე დაადო,  
 აჩვის შეაჭამა შური:  
 ჩემი ქმრის მონაგარია,  
 უკელამ გაიჩქეთ ყური.»

\*

(მესტიურიული)

ბატარძალი მოკუყვანე,  
 ის არ გასაზრდელია,

უსირცხვილო, კაპარჩინა,  
 ცოფიანი მგელია.  
 სახლში სულ მიღეწ-მოღეწა,  
 რასაც ახლა ხელა,  
 დაუჩოქე, შეკვიდრე:  
 „ნუ გამამტკერ უელა:  
 ნუ იხდი მაგ მანდილსა,  
 აბა, რა საქნელია:  
 დიდი აღარ გაგაგია,  
 უკლასა ჭკარ ხელა.  
 — «თვალსაცა გთხრი, მამამთილო,  
 ტყუილის ხარ მთქმელია:  
 რასაც მინდა, იმას ვიზამ,  
 შენი საქმე მნელა!»  
 ერთი სილა მამამთილს ჭკრა,  
 დედამთილს ჭყო ხელა,  
 თმა-ნაწნავი დააგლიჯა,  
 გამოჰდადრა უელა.  
 მაზლებს სახრე გადუჭირა  
 იფნის ხისა, გრძელია,  
 თან მუჭარა მიაყარათ:  
 «ეს ხომ არაფერია».

ამისთანა „ურცხვი“ რძალი, რასაკვირველია, ოჯახში  
 ჯოჯობეთის ცეცხლს დაანთებს და მწუხარების მორევში ჩაპ-  
 ყრის ყველას, ვისაც ღმერთმა მასთან დამოკიდებულება არგუ-  
 ნა. მოყვანილს ლექსში შესანიშნავია, რომ მამამთილი რძალს  
 „უჩოქებს და ევედრება, ყელს ნუ მჭრი, მანდილს ნუ იხდია“  
 იმის მაგივრად, რომ უფრო „საგრძობელი“ ზომა იხმაროს  
 ამისთანა წრე-გადასულის რძლის „მოსარჯულებლად“.

მამამთილის მხრივ ასეთი უსაზღვრო მოთმინება იხსნება  
 მხოლოდ საქართველოში ძველადგან არსებულ ჩვეულებით,  
 რომლის ძალითაც რძლის გავდება, დათხოვნა, უკან სამშობ-

ლოსკენ დაბრუნება დიდს შეურაცყოფად და პატიოსნების დამამცირებლად ითვლებოდა როგორც ქმრის, აგრეთვე ცოლის სამშობლოებისთვის. მართლაც, გათხოვილი ქალის უკან დამწყვრალების მაგალითს ვერაფერს ნახავდა, ნამეტურ გლეხის წოდებაში.

ამიტომ ქმარს მეტი რა საღსარი აქვს, რომ არ დაჯდეს და არ მოთვალოს:

ვაი, ვაი, ჩემო თავო,  
 ეს რა ბედი გწვევია!  
 კარგის მდამს და მძებნას  
 ეშმაკი შეგჩვევია.  
 ცოლს ღატაკში აუხსნია,  
 გზა-გვალი აჭრევია,  
 სხელი ამიწ დამიწეწა,  
 აადინა მტრეკია.  
 რაც ის სხელი მამგვარეს,  
 კარგი აღარ მსმენია,  
 ან დაკვდა და ან ვიტირა,  
 სხვა რაღა დამჩენია?

სულ სხვა ფასი სდევს რძალს, როცა იგი მამამთილ-დედამთილის და მახლების მორჩილი და პატივისმცემელია.

აგრე უნდა პატარძალი,  
 იწყუადეს ნერვიოთა,  
 ემსახუროს დედამთილსა—  
 მამათილსა ღმერთივითა.  
 ისიც ასე შეინახავს  
 მოღუღუნე მტრედიოთა

\*

დედაჲ, დედაჲ გაგიზდიგარ,  
 ბეკრი მოგიოთმენიაო.  
 ცუდსა კაცსა რად მიმედი,

გვარდი შეგვიტყვიანია?  
 — შეილა, ამ წიგნსა გავზავნი,  
 შიგ სწიქისა გიშეძლია:  
 შეილა, მანდგე მოითმინე:  
 მე კედარას გიშეკლია.  
 დედამთილი შეიყვარე,  
 მამამთილი ღმერთივითა:  
 მასლი ასე შეიყვარე  
 მოღუღუნე მტრედითა

ორივე ეს ლექსი ემგზავსებიან ერთმანეთს, მაშასადამე წარმოადგენენ ერთი მეორის ვარიანტს. ამათსავე ვარიანტს წარმოადგენს შემდეგი ლექსიც:

ზოგი ერთი ჰატარძალი  
 ხეს კხეკვა კერხვივითა;  
 დედამთილს კარგად ეჭეკვა  
 და მამამთილს დმერთივითა.  
 იმას ისე შეინახვენ,  
 მოღუღუნე მტრედითა.

დედა აზრი ამ სამი ვარიანტისა ერთი და იგივეა: რძალმა დედამთილ-მამამთილი უნდა „ღმერთივით შეიყვაროს“; სიყვარული ჰმართებს აგრეთვე მზლებლისაც და სამაგიეროდ თვით მასვე „მოღუღუნე მტრედით“ შეინახვენ.

ქვემოთ მოყვანილი „სალომეს ლექსი“ კიდევ გვიჩვენებს, რა სიყვარულით და მზრუნველობით არის მოცული ოჯახში „კაი“ რძალი.

შეილა, რითა გცე ნუგეში,  
 რით მოგიტყვილა გულისა?  
 შენი სალომე მომიკუდა,  
 აილე, დამეც ტულისა!  
 კაი დედობა კერ გიუაზ,  
 ცოლი კერ შავინახე,

იმ დაღუპულმა სიკვდილმა  
 რა უცხად უგდო ჩახეო.  
 — დედაჲ, დედაჲ, ეგ რამ მითხარ,  
 მაგას არ მოკვლადიო,  
 თუ საფლამე აღარა მყავს,  
 აიდე, დამეც ლადიო.  
 მე მარადეთს რა მინდოდა,  
 რატო არ მომტყდა ფეხიო,  
 რატო მე იმის მაგაგრად  
 ღმერთმა არ დამცა მენიო!  
 იქნება, დედაჲ, საფლამემ  
 რძეობა კერ გავიწიარ:  
 მაზლებ და მამამთილისთვის  
 პატვი არ უციაო?  
 იმის რძეობისა ჭარამე,  
 მაშ ვისდა უნდა ქებაო?  
 იმისთანა პატარძლი  
 ქვეყანას ენატრებაო:  
 სიტყვა ჰქონდა გემრიელი,  
 საქმეში იყო მარადიო,  
 სახლის რძალი კი არ იყო,  
 იყო ია და კარდიო.

ასე უხვად აჯილდოებს დედამთილ-მამამთილის და მაზლების მოსიყვარულე და პატვიის მცემელ რძალს ქართველი ხალხი: «სახლის რძალი კი არ იყო, — იყო ია და ვარდიო». ის ღირსება, რიმლის გამო რძალი ასეთს შესხმას ღებულობს, მოკლედ არის აღნიშნული: „სიტყვა ჰქონდა გემრიელი, საქმეში იყო მარდიო“.

„მარდი“ რძალი თუ ასეთი ქების ღირსი ხდება, სამაგიეროდ ზანტი, ხარმარცი მუდამ იგმობა და იძაგება:

გომელებო, თქვენი ნინო  
 ნეტა რაგორ მოიქცევა:



ადგომასუდ კეტი უნდა,  
დაჯდომასუდ სულ იქცევა.

\*

ზანტი ცოლი კაცს დაჭლუშავს;  
ნიათსა გამოუღუკესა;  
იმის ცქერა და ყურება  
უდრყოფად დააბეკებსა.

\*

ქლანდელი ჰატარძლები  
სახლსაც არ დაგვიგვიანო;  
არც დაგვირეცხენ ჭურჭელსა,  
კოკებს არ დაგვითვლიანო;  
თითო ბაღლი გაგვიჩინდებს;  
ტუტუნით გაგვიზრდიანო.

ქართველი გლეხის სიცოცხლე დაუსრულებელი ბრძოლაა: სიღარიბესთან, შრომა—იარაღი. როცა შრომას უკლებს, მაშინ ძლიერი ხდება, როცა უმატებს—გამარჯვებული. ეს კარგად ესმის გლეხს და ამიტომ ჰგრძნობს, რომ ზარმაცი ცოლი ოჯახს „ნიათს (ლონეს) გამოუღუკეს“ და მისი „დამღუპელია.“

ამას გარდა, რა აიძულებს გლეხს ცოლის შერყვას, რა საჭიროება, რა გარემოება? ამის პასუხს ხალხი იძლევა გასათხროვარი ქალის პირით:

დედაჩემო, გამათხოვე,  
რას უყურებ, რასაო?  
ჩემი ტოლები გათხოვდნენ,  
გაუყენეს გზასაო.  
შვილებით სავსე არიანა,  
გვერთ უსხედან ქმარსაო;  
ოჯახს ემსახურებიან,  
სახლს უვლიან, კარსაო.

ანუ ქერივის პირით:

ქვრივი ეუბნება შვილსა:  
„შვილო, რად არ ეძებ ქალსა?“

რატომ არ დაქორწინდები  
და არ გაახარებ სახლსა?"

მაშასადამე, გლესს უნდა ცოლი, რომ „ოჯახს ემსახუროს,“ „სახლ-კარს მოუაროს,“ შეიღები შემატოს და მით „სახლი გაახაროს“. ყველა ეს შეუძლებელია, თუ ცოლი ხარ-მაცი და ხელთუპყარია.

სახლ-კარის მოვლა, ოჯახის სამსახური, შეიღების აღზრდა დიდ მოვალეობას სდებს ცოლს, მეტად რთული და მძიმე შრომაა ქალისთვის, ამიტომ მას ჰმართებს მუდმივი სიფხიზლე, მოქმედება, მეცადინეობა.

თვითეულ მოვალეობას დაწვრილებით ჰწესხავს ხალხი თავის ლექსებში და ამით ყველა გასათხოვარ და გათხოვილ ქალებსაც კი თითქო თვალ წინ უშლის „გათხოვების პირობის ქალღმერთს,“ რომელშიაც სწერია: ოჯახში ქალისთვის საჭიროა იცოდეს ადრე ადგომა, დაგვა-დარეცხა, ჭრა-კერვა, საჭმლის გაკეთება, ქსოვა-ქარგვა, პურის ცხობა, ძროხების მოწველა და სხ. ერთის სიტყვით, ყველა ის, რაც შეეფერება გლესის ცხოვრებას და აი ამიტომ

რძალი უჩქეკის დედამთილს  
დიღით რომ ადრე ადგება;  
ძრახებს ადრეან დასწკელის,  
მინამ ნახინი დადგება;  
ჯამ-ჭურჭელს ადრე ღარეცხავს,  
თაროს ნათელი ადგება.

ან კიდევ:

ორი — ოქროს დედაო.....  
სამგორისა მინდორზედა  
თეთრი ცხენი მოგოგაფდა,  
ზედა ზის ბიჭი ღამაში,

უგან მოსდევს კოჭლი გოგო,  
— ბიჭო, უგან მოიხედე!

საკოჭლეზედ რასა მწუნობ,  
 განა კურდღელს მადეკნებო?  
 შვილებსა კარგად დაგიზღი,  
 ერთს არ დაგიზიანებო;  
 სათუთქრას ჩაუგდები,  
 მაქრას გაკამდინარებო;  
 ნაქსოვ ლაინებს დაჟიდა,  
 ფულებს ჩაგიჩხრიალებო;  
 ჯამ-ჭურჭელს ვარგად დაკრეცხავ,  
 თაროს დაგიწკრიალებო;  
 ახალსს კარგს შავიკეჭავ,  
 დილებს ჩაგიწკრიალებო;  
 ჰურსსაც მალე გამოგიცხობ,  
 ქერს არ დაგავიანებო.

და ბოლოს:

ხელთუბნელი ქალი მიუვარს,  
 თუთრად ვოჭი ებანოსა,  
 იმის შედგმულ შეჭამადსა  
 კოჭ-პილპილი ეყაროსა.

აი ყველა ამეების მკოდნეს გლეხის ოჯახში შეუძლიან დაიკვებოს დიასახლისობა. თავი დიასახლისის მოვალეობისა იწყობა „შვილების კარგად დაზღიდამ“ და ბოლოვდება იმით, რომ „იმის შედგმულ შეჭამადსა კოჭ-პილპილი ეყაროსა,“ ესე იგი საჭმელის კარგად გაკეთება იცოდეს.

თუმცა ქართველ გლეხს, როგორც დავინახეთ, გემოვნებაც აქვს და მოთხოვნებიც, რომ მისი ცოლი „ლამაზი და მშვენიერი,“ „ამომავალი მზის მგზავსი“ იყოს, მაგრამ იგი უფრო ხშირად თავს იხრის სასტიკი წუთისოფლის წინაშე, უარს ჰყოფს თავისს ესტეტიურ გრძნობის დაკმაყოფილებას, მას „სიკოკლეზედ არ დასწუნს“ ქალი და სხვასთან უპირატესობას აძლევს იმას, ვისაც მასთან ერთად ჰყავ-გონებით,

ცოდნით და გარჯა მხნეობით უფრო უკვე შეუძლიან ბრძოლა არსებობისათვის.

ამ საგანში ქართველების სრული თანახმანი და თანა-მოაზრენი გამოდიან რუსებიც, რომელთაც ანდაზებად შეუქმნიათ: „Красота приглядится, а ши не прихлебаются,“ „не ищи красоты, ищи доброты,“ „жену выбирай не глазами, а ушами“ (т. е. по славѣ).

რას ეგვანება ცოლი; თუნდა იგი ყოველის სიკეთით შემკული, ნამდილი დიასახლისიც იყოს, თუ-კი მას ქმრისადმი სიყვარული არ ექმნება? ცოლის სიყვარულს მოკლებული ქმარი, რასაკვირველია, თავისს სიცოცხლეს მაგდონად არაფრად ჩასთვლის მაშინაც კი, როდესაც ცოლს ეთქმის:

„საფეაქრეს ჩაგუჯდები,  
მაქოს გაკადღიარებო;  
ნაქსოკ ლაინებს დაჟეიდი,  
ფულებს ჩაგიჩხრიალებო“ და სხვ.

იქ ყველაფერი ამაოა, საცა სიყვარულთ არ არის; ამიტომ ქმრის სიცოცხლეს ვერ გაატკბილებს, ვერ დააკმაყოფილებს „ვერც ფულების ჩაჩხრიალება,“ ვერც „ჯამ-ქურჭელის კარგად დარეცხა,“ ვერც „თაროს დაწკრიალება,“ ვერც „კაი ახალონის შეკერვა“ ცოლის მიერ, თუ ამ უკანასკნელს თამამად და პირუთვნელად არ შეუძლიან სთქვას ქმარზედ:

დედაც მიუვარს, მამაც მიუვარს,  
ძმები ეგვლას მიჩვენია;  
ერთი გინმე, უცხო შვიდი,  
მთელ ქვეყანას მიჩვენია.

„ცოლ-ქმარს ცულის პირზედ სძინებიათ“-ო, ამბობს ქართული ანდაზა და ამ ანდაზიდან ნათლად ვტყობილობთ, რა მტკიცე და გულითად სიყვარულს თხოულობს ანდაზის შემქნელი, ქართველი ხალხი, ცოლსა და ქმარს შუა.

ქმრისადმი ასეთს მტკიცე და სპეტაკს სიყვარულს გვიხატავს ქვემოდ მოყვანილი ორი ლექსი: ერთი ფშაური, რომლის გმირიც ატარებს „ლელას“ სახელს და მეორე — მთიული, რომლის გმირს ჰქვია „დარეჯანი“.

ეს ლექსნი, ხელოვნებით მარტივნი და მიახიტიანი, მაგრამ სპეტაკი, მაღალის გრძობით სავსენი, საუცხოვო მაგალითის გვიჩვენებენ იმისას, თუ სადამდის აღფრთოვანებს, აგმირებს ხალხის ფანტაზია ცოლს ქმრისადმი ნამდვილი სიყვარულისთვის.

### ლელას ლექსი.

(ფშაური).

თიფაქე გამაიზანა,  
გადმაიანა მთანიო;  
როცა თუშეთში მოვიდა,  
გამოეგება რძალიო:

„მამათილ! შვილი რა უყავ,  
თინიბეკ, ჩემი ქმარიო?“  
— „თინიბეკ ფშავში გაგწიკე,  
სისხლისა ღვინით მთერძალიო.“

ქალი ციხეში შავიდა,  
წელთით დაკეტა კარიო.  
სანამ წელ შესრულდებოდა,  
სამჯერ დაიჭრნა თმანიო...

მამამთილს გამოეგზავნა  
სახეწრად ერთი ხარიო:  
— „გთხოვ გამოხვიდე, ლელაუ,  
ციხეში ნუღარ ხარიო!“

მამამთილს შემოუთქვალა:  
„წელზედ შემარტყი ხმალიო:  
იქისაკ წამაგალი ვარ,  
მასწავლე ფშავის გზანიო.“



თუ თინიბეკ ვერ ვიძიო,  
 ჯეჯამიც ნუღარ ვარდო!“

მთელის წლით ჩაიკეტა ლელამ ცინის კარი ქმრის სიკვდილის გამო და „სამჯერ დაიჭრნა თმანი“ (აღბად სამგლოვიაროდ). მამამთილი ევედრება, „სახვეწრად“ ერთ ხარს უგზავნის; „გთხოვ გამოხვიდე, ლელაო, ცინეში ნუღარ ხარო!“, პასუხად ლელა უთელის მამამთილს:

„წელზედ შემატუი ხმალი;  
 აქისაკ წამკალი ვარ,  
 მასწავლე ფშავის გზანიო:  
 თუ თინიბეკ ვერ ვიძიო,  
 ჯეჯამიც ნუღარ ვარდო!“

ცხადია, უსაზღვრო სიყვარული უნდა ჰქონოდა ლელას, რომ წელზედ ხმალი შემოერთყა და გასდგომოდა ფშავის გზას თინიბეგის სისხლის საძიებლად.

ვნახოთ ახლა, რას იტყვის მთიული დარეჯანა:

იმა მასაზედა  
 თოკლიანზედა  
 ია დაკთესე, — ვარდი მოსულა.

ია კოჭამდე,  
 ვარდი მუხლამდე.  
 ირმისა ჭოგი ძოვას წასულა.

ნეტამც ეძოვანა, —  
 არ მოეჯანა.  
 სიძე-სამამრი ტეორცნას წასულა.

სტეორცნა სიძემა, —  
 მოჭკლა ირემი,  
 სტეორცნა სამამრმა, — მოხკდა შავ სიძეს.

ადგა, წაგიდა,  
ქალს გაუძღვანა:  
„შენ, ჩემო ქალო, დარეჯანაო,

მე რა განსარო...  
ქმარი მოგიკვდა!  
თავს ნუ მოიკვდა...

— „შენ მამჩემო,  
დაწბისელო,  
მამე ცუდი წაღდი „გზა გაკაკაფო...  
მამე სანთელი, გზა ჩაკინათო.  
უნდა გაგსადო სკეპნა-გლეჯითა,  
უნდა გაკრეცხო ირმისა რძითა,  
უნდა გავფინო ლქროს ღობესა,  
უნდა გაგაშრო ნიაგ-გრელითა,  
უნდა ჩავაგრა სკეპნა-კოცნითა.

მიცვალებულის ტანისამოსის გარეცხვა, რასაკვირველია, მთიულთა ჩვეულებას მოასწავებს: მამისაგან დარეჯანას გაფთხილება — „თავს ნუ მოიკვდაო“ და „ხვეენა-გლეჯით“ გახდა და „ხვეენა-კოცნით“ ჩაცმევა გვაჩვენებს, რა ძლიერი სიყვარული ჰქონია დარეჯანას თავისის უბედურის ქმრისა.

ასე მალლა აყენებს ქართველი ხალხი ქალის კეთილ სულებრივ თვისებებს და ამ თვისებებს ცოლის არჩევაში ყოველთვის უპირატესობას აძლევს სხვა წვრილმან ანგარიშების წინაშე. სიღარიბეში გათქმული ქართველი გლეხი იმდენად აფასებს ქალის კაი თვისებებს, რომ იგი უარ ჰყოფს საცოლოს მოძრავ ქონებას, სიმდიდრეს, თუ კი ეს საცოლო სხვა ფრივ, უმაღლესთა მოთხოვნილებათა აკმაყოფილებს. ნათქვამია: „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო“, სწორედ ამ გვარი აზრით ხელმძღვანელობს ხალხი ცოლის არჩევის დროს, რაიცა ლექსებში გამოიხატება თითქმის ამ სახით: კაი ქალი იყოს, თორემ „ქრთამი“ და „მზითვეი“ თავის-თავად მოვაო.

ბერძენთა ძველ ფილოსოფოსს პლუტარხს უთქვამს: „ბ) ის ბედნიერი არ არის, ვინც ცოლად ლამაზსა და მდიდარს შეირთავს; არამედ ვისი ცოლიც მოსიყვარულე და კეთილ-ზნეობიანი არისო“; ბ) „ცოლის არჩევა გონებით უნდა და არა თვლით; უგუნურია აგრეთვე ის, ვინც ირჩევს ცოლს თითებით, ესე იგი ანგარიშობს, რამდენი მზითვევი მოჰყვებაო და იმასკი არ ეძებს, რა ღირსებები აქვს ქალს“. \*)

ასევე ფილოსოფიურად სჯის ქართველი ხალხი, როდესაც ამბობს:

წყალში თევზი მოცურავდა,  
თავს აქნეკდა, ბოლოს არა,  
ქსლენდელი ემაწვილები  
ფულს ითხოვენ და ცოლს არა.

\*

ფერად-ფერადი კაბები  
ქაღს მზითვად გაჭეკებაო,  
შავი გული, ავი ენა  
ისეკ ისე შარხებაო.

ხალხი კარგად ჰგონობს, რომ „ფული“ და „ფერად-ფერადი კაბები“, ესე იგი ის, რასაც უწოდებენ ქრთამს და მზითევს, წარმავალია, რომ ამაზედ ბედნიერების დამყარება შეუძლებელია; გაუგონია, რომ „ფანცი-ფუნცი (მზითევზედ) გაცვდებაო, შავი ეამი (ავ ცოლზედ) დარჩება“ და ამიტომ არაფერად მიაჩნია მდიდარი საცოლო, თუ იგი სხვა ღირსებებს მოკლებულია.

მდიდარს, ქრთამ-მზითევით სავსე ქალს ზოგჯერ თავი ძლიერ ამაყად უჭირავს, ქმარს ამპარტაუნულად ექცევა; ამპარტაუნულ ქცევას შედეგათ ქმრისადმი სიძულილი მოსდევს, და როცა ცოლს ქმარი სძულს, აი რა ფიქრები ებადება მას თავში:

\*) Плутархъ „правила для супруговъ“.

მადლიდგან გადმოდგარყო  
 თვალ-ყუყუნ, თეთრ ქალია,  
 ხელს მიქნევს: აქეო წამოდი,  
 შინ არა ჩემი ქმარია.  
 ცისის საშენად გავგზავნე,  
 თავს დასცემია ქვანია,  
 მახარებელი მოვიდა:  
 ქალო, მოგიგედა ქმარია,  
 სამახარებლოდ გავიღე  
 სამსაღ ღიბრა ცხვარია;  
 მაგრამ მას არ დაკავკერე, —  
 გაუგდე ნიშა ხარია,  
 იმსაღ არ დაკავკერე,  
 წელს შემოკაკარ ხმალია,  
 ბოლოს ესეც არ კავკერე, —  
 შირს ჩაუღე შაქარია

მერე რა გამოვა, რომ ცოლს ქმარი სძულდეს, თუნდა  
 მისი სიკვდილი არც ინატროს და არც გაუხარდეს?

ამის პასუხი ასეთია:

ქალი, ქმრისა მწუხებელი,  
 ბევრგან გააქანებს გულსა;  
 ბევრი ბიჭი მოატყუებს,  
 წაწმედინებენ სულსა.

რასაკვირველია, ის ცოლი, რომელიც „ბიჭებისაგან მო-  
 ტყუვდება“ და „სულს წაიწყმედავს“, ხალხისაგან სასტიკი  
 მსჯავრის დადების და წყევლო-კრულების მეტს აღარას მოე-  
 ლის:

მოვიდა გოგო ღამაში,  
 თემობა დამშვენა.  
 ქმრის მღალატე დიაცო  
 უფალმა შაჩვენა.

ცოლის „სულის წაწყმედაში“ ხშირად თვით მისი მშობლები არიან მონაწილენი, რომელნიც თავიანთ ასულს ათხოვებენ მიუხედავად უკანასკნელის სურვილისა და თანხმობისა. თანხმობა აგვირგვინებს ყოველს კეთილ საქმეს და იგივე წარმოადგენს უუპირველესს პირობას ცოლისა და ქმრის შეუღლებისას და მათი მყუდრო და სათნო ცხოვრებისას.

სურვილის წინააღმდეგ შეუღლება უფრო ხშირად ქალს ჰხვდება წილად. ხალხური სიბრძნე, რასაკვირველია, ამისთანა მოვლენას უარჰყოფს და ეწინააღმდეგება, რადგან კარგად ესმის, რომ უთანხმოებით გათხოვება ქალს უკიდურესს მდგომარეობაში აგდებს და მიჰყავს იგი სასოწარკვეთილებამდის:

დედაჲ, რად მშობე, რა მიუჯე,  
 რად გამათხოვე ძალადა?  
 გამწარდა ტკბილი სიცოცხლე  
 და აღარ მიდიხს ჩაჯადა.

ამ სიტყვებით ხალხური სიბრძნე გვიხატავს „ძალად გათხოვებულ“ ქალის მწუხარებას და ნათლად გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ეს ქალის თანხმობა არ არის დაცული, ყველაფერი ამაოა, დაკარგულია, დამარხულია. მართლაც, რად ეძებს ვაჟი თუ ქალი შეუღლების დროს მეუღლის სიმშენიერეს, სპეტაკ ზნეობას, ცოდნას, ხელოვნებას, გამრჯელობას, სიმდიდრეს და სხვ. თუ არ იმიტომ, რომ ამათის შემწეობით თავისი საკუთარი ცხოვრება აღამაღლოს იდეალამდის, ჰპოვოს „ტკბილი სიცოცხლე“. და თუ „ძალად გათხოვება“ ათქმევინებს ქალს:

«გამწარდა ტკბილი სიცოცხლე  
 და აღარ მიდიხს ჩაჯადა»-ო.

მაშასადამე, ქალვაჟის შეუღლებაში თანხმობას ხალხი აძლევს უპირველესს მნიშვნელობას და მასში ჰხედავს ძირითად პირობას შეუღლეთა შორის ბედნიერების დამყარებისათვის.



## II

რადგან დაეამთაერეთ განხილვა ვაჟის მოთხოვნილებათა; შეხედულებათა და სურვილთა საცოლოს შესახებ, ახლა საინტერესოა ვიკითხოთ, იძლევა თუ არა იგივე ხალხური პოეზია რაიმე მასალას შესახებ ქალის აზრისა: საქმროზედ და მის ღირსებებზედ.

ადვილი მისახვედრია, რომ განხილულ ლექსთა კრება, რომელშიაც გავიცანით ვაჟის აზრი. საცოლოზედ, შეიცავს აგრეთვე თვით ქალის აზრს საქმროზედ. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ რასაც ვაჟი თხოულობს საცოლოსაგან, იმასვე ქალი თხოულობს საქმროსაგან. თუ ეს ასეა, აღარც საჭიროება მოითხოვდა, რომ ხალხის შემოქმედებით ძალას შეექმნა მეორე ჯურის ლექსები, რომლებშიაც გამოთქმული უნდა ყოფილიყო ქალის აზრი თავისს საქმროზედ, ესე იგი დახატული ყოფილიყო ქმრის იდეალი.

ამით აიხსნება სიმცირე ამ მეორე ჯურის ლექსთა რიცხვისა. მაინცა-და-მაინც ამ მცირეოდენ ლექსებშიაც ისე ნათლად და სავსებით ირკვევა ქალის შეხედულებანი საქმროს შესახებ, ანუ ქმრის იდეალი, რომ დიდ ნაკლად არ უნდა ჩაითვალოს ასეთის ლექსების სიცოტავე ჩვენს ხალხურს პოეზიაში.

ამ მცირეოდენ ლექსთა განხილვაც საკმაოდ გვარწმუნებს, რომ ქალსაც ჰქონია თავისი მოთხოვნილებანი, შეხედულებანი, სურვილნი და გემოვნებანი, რომელთა მიხედვით იგი, შეძლებისა-და-გვარად, ირჩევს თავისს საქმროს.

ქალსაც ჰსურს „თავისი გუნების“ ქმარი:

(ფშაური)

ნეტაგი დამიწუნებდეს (საქმრო),

დამანებებდეს თავსაო;

კიკლდი ღაშარ-ღელესა,

ვაჟებს ვაკლებდი თვალსაო.

მაშინ ხომ შეკუეებოდი  
ჩემის გუნების ქმარსაო.

ამის „გუნება“ კიდევ თხოულობს, რომ ქმარი კობტა  
და ლამაზი იყოს:

გოგომა სთქვა: » ქმარი შინდა,  
ჭქონდეს შაკარდნისა თკალი;  
სიკოხტაკე-ბიჭობაში  
არეინ ჭქვანდეს ამას ცალი.«

\*

ლამაზი ქალი იკეესდა:  
«ჩვენში ყველიერიაო;  
ჩემი ლამაზი ქმრის შეურა  
უკელსედ გემრიელიაო».

\*

მე რომ ქმარი შამეყარა,-  
გებრალეოდეთ ყველასა:  
კისურა გასწვრილებია,  
მიუტაკს ჭიაყელასა.

მაგრამ ცხოვრების მდგარი ღოთხოვნილებანი აქაც იჩენენ თავს და ქალს იძულებულ ჰყოფენ საქმროს სიკოხტავე-სილამაზეს არჩიოს სხვა, უფრო გამოსადეგი და უსაჭიროესი ღირსებანი, როგორიც არიან, მაგალითად, მატერიალური შეძლება და შრომის-მოყვარეობა.

სიდედრო, შეგვკრემანობითკ  
არ დაიწუნო სიძეს;  
სოთველში მიდი, იკითხე,  
გძელი ვენახი ვისია.

რასაკვირველია, აქ ლექსის შემქნელი ქალის სათქმელს სიძის პირით გადმოგვცემს და ეს სათქმელი შეადგენს ხალხისავე აზრს, რომ საქმროს „შავგვრემანობა“ არათფერია, თუ იგი „გძელი ვენახის“ პატრონია, ესე იგი შეძლებული კაცია.

შედლებასთან საჭიროა შრომის მოყვარეობაც:

ქალმა თქვა გასათხოვარმა:

ანუ გამათხოვებ, დედაა;  
თუ არა, ისეთ კაცს მიმეც,  
რომ იყოს გუთნის-დედაო.

ცხადია, საბუთიც აქვს ქალს, რომ იგი რჩეობს შედლებულს და შრომის-მოყვარე საქმროს: იგი ჰგრძნობს თავის სისუსტეს, უძლურობას არსებობისთვის საბრძოლველად და რჩენა-შენახვას ნება-უნებლიედ საქმროსაგან მოელოდება:

რა ვქნა, რა ვუყუ თავსაა,  
მეჩუ ზატარა ქმარსაა...  
არ შეუძლიან შენახვა  
და არც მანებებს თავსაა.

მევენახობა და გუთნის-დედობა, რომელთაც ქალი, ლექსების აზრით, ეძებს საქმროს ღირსებათა შორის, სხვათა შორის, არიან დამახასიათებელი ნიშანი ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა. უხსოვარ დროიდან ქართველებს უცხოვრიათ ხვნათესვით და მევენახეობით და საკვირველიც არ არის, რომ ეს გარებობა აღუნიშნავს ქართველი ხალხის ზებირ-სიტყვიერებას.

მაგრამ ჩვენი ცხოვრების დასახასიათებლად არ კმარა მართო მიწად-მოქმედების დასახელება: ჩვენი ერი ყოფილა როგორც მიწად-მოქმედი, აგრეთვე მეომარიც. ამიტომ დიდ ნაკლად ჩაითვლებოდა, რომ ხალხურ პოეზიას ეს გარემოებაც არ ჰქონოდა აღნიშნული.

რაკი ქალი ჰგრძნობდა, რომ მისს ქვეყანას შუდამ უამს გარს მტერი ახვევია, ხშირად ერევა და ჰლამობს მისს აოხრება-განადგურებას, — ისიც უნდა ეგრძნო, რომ თავისი საკუთარი არსება-სიცოცხლეც ყოველთვის განსაცდელშია და, მაშასადამე, მისთვის საჭიროა პულმივი კაი მფარველი და უშიშარ მყოფე-

ლი. ვინ უნდა ყოფილიყო ქალისთვის ასეთი საიმედო პატრონი, თუ არ მამაცი ქმარი და აი ამიტომაც იგი ამბობს:

ქალი ვარ, მქვან ქალთაშუა,  
 ქალუმი ვიცი ღვინისა;  
 ვაჟკაცსა ვეძებ; რას დავდეკ,  
 პეტრე მქვან თუ ნინია.

სახელოვანი ვაჟი ის იყო, ვინც მტერს გულადად, მამაცად ჰხედებოდა. ქართველი ქალისთვისაც სწორედ იმისთანა ქმარი იყო სასურველი, სანატრელი და თავ-მოსაწონი, რომელიც ომიანობაში უშიშრობას და გულადობას იჩენდა:

ბედნიერა შენი ქმარი  
 მტერსა ხედება, როგორც თარი;  
 უბედურა ჩემი ქმარი:  
 ნაცრს მქვავს, როგორც ქარი.

მამაცი ქმრის ყოლა ისეთ ბედნიერებად მიაჩნდა ქალს, რომ, მის ვაჟკაცობით გატაცებული, ხშირად სასახელოდ სთვლიდა თვითონაც მიეღო მონაწილეობა სამშობლოს დაცვაში და მტერთან ბრძოლაში ქმრის მხარ-და-მხარ:

დედა ჩემო, გამათხოვე;  
 რას მიუწრებ, რასაო?  
 ქმარსა ლაშქარში წავყვები,  
 მოვიწონებ თავსაო.

ამგვარად ჩვენ ვნახეთ, როგორ ქმარს თხოულობდა ქართველი ქალის „გუნება“, დაეინახეთ აგრეთვე, რომ თუ „თავისი გუნების“ ქმარი შეხვდა, იგი მზად არის „ლაშქარშიაც წაჰყვებს“; მაგრამ სულ სხვაა, თუ ქალი ასცდა „თავისი გუნების“ ქმარს და, მაშასადამე, შეხვდა „ცულს“:

დედაჲ, დედაჲ, გაგიზდიჯარ,  
 ბეჭი მოგითქნიაო,

ცუდსა კაცსა რად მიმეცი,  
გვარი შეგიტყვენილო.

. . . . .

თუ, ვინცობაა, ქალმა ვერ შეირთო „თაფისი გუნების“  
ქმარი და კარგის მაგივრად მას ბედმა „გვარის შესარცხვენად“  
წილად „ცუდი კაცი“ არგუნა, მაშინ მას რაღა დარჩება იმის  
მეტი, რომ არ დაჯდეს და გულ დაწყვეტით არ მოსთვა-  
ლოს:

ბედმა მიმტყუნა, დამჩაგრა,  
გულსა მახვილი მამკერა:  
ჩემი ავი ქმრის შემეუტრემ  
კარგი ველარა ვნახე-რა.

ანუ გულ-აღსნით არ აღიაროს:

ღამაზმა თქვა:— ჩემი ქმარი  
გულთ არა მევარება,  
არც ღაშქრად წასვლა მწყენია,  
არც მოსკლა გამხარება.

ქმრისგან განაწყენებულ ქალმა რომ დაიჩიელოს: „ჩემი  
ავი ქმრის შემეუტრემ კარგი ველარა ვნახე-რა“ ანუ უკმაყოფი-  
ლებით აღიაროს: „არც ღაშქრად წასვლა მწყენია, არც მო-  
სვლა გამხარება“ ჩემი ქმრისაო, ეს ხომ არავისთვის საკვირ-  
ველი არ არის; მოთმინებიდან გამოსული და მეტის-მეტად  
აღშფოთებული ქალი უღმობელი, შეუბრალებელი ხდება და  
თამამად ამბობს:

ღაშქრიდამ კაცი მოვიდა:  
ქმარს მოგიხვდა ლევის ტყვიან.  
სამახარობლო გავიდე,  
შირს ვაყარე ვარდი, იან.



III

ჩენი ხალხური ლექსების მხრეკავი და მკვლევარი, რომელსაც საგნად ცოლ-ქმრობის ავ-კარგი ექმნება აღებული, არ შეიძლება შიგა-და-შიგ არ შეხედეს იმისთანა ლექსებსაც, რომლებიც თავისის შინაარსით და დედა-აზრით, პირველ შეხედვით, თითქო ეწინააღმდეგება საღ მსჯელობას და ზნეობრივ მოვალეობას.

ასეთია, მაგალითებრ, ლექსი:

გაჟვაცსა გული რკინისა,  
 აბჯარი უნდა ხისაჲ;  
 თვალი ქორულებ მზგერაჲ,  
 სიმარდე შაკარდნისაჲ;  
 ხარი, კამეჩი-თავისი,  
 ცოლი უყვარდეს სხვისაო.

როგორ? ჯერ, როგორც ზემოდ დავინახეთ, ხალხი ამბობს: „ქმრის მოღალატე დიაცი უფალმა შეაჩვენოსო“ და შემდეგ: „კაცს სხვის ცოლი უნდა უყვარდესო“. ადვილი მისახვედრია, რომ ამ აზრს ხალხი ზნეობრივ დოღმატად არ აღიარებს. აქ გამოიხატება მხოლოდ ხუმრობა, ოხუნჯობა—სხვა არაფერი.

ასე რომ არ იყოს, იგივე ხალხი ამას აღარ იტყვოდა:

აჲ, არ ჭშკენის მამაცსა  
 ქვეყანა მოიმდუროსა,  
 დეგნა დაიწყოს დაცის,  
 სულ იმის გზას უუროსა;  
 ეგელა პირში ჩააფურთხებს,  
 თაგ-ლაფ დასხმენ გუროსა;  
 თუ არ დაიშლის, უჩქვენის  
 ლეჩაქი დაიხუროსა.

ამას გარდა, ზოგჯერ ლექსი მხოლოდ ადამიანის სუსტ მხარეს აღნიშნავს და არა თავის რწმენას, რომელსაც მუხლ-

მოდრეკით იგი თაყვანს უნდა სცემდეს. ნათქვამია, „თურაშაულის პატრონი ტყეში დაედებს კუნელსა“.

ამავე აზრს იმეორებს ლექსი:

გაწის გუჯი ასეთია,  
ვით მოკევი შავი ზღვისა:  
რაც გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,  
მანც მოუნდება სსვისა.

ანუ ამისივე უფრო უკეთესი ფშაური ვარიანტი:

კაცსა, ღვთისა გაჩენილსა,  
თვალი უზის ეშმაკისა:  
შინ რომ ჭეკანდეს კარგი ცოლი,  
გარეთ ისრავ მოსწონს სსვისა.

ვიმეორებთ, ქართველი ხალხი ამ ლექსით აღნიშნავს მხოლოდ ადამიანის სუსტ მხარეს და არამც თუ თანაუგრძობს იმას, ვისაც „გარედ ისრავ მოსწონს სხვის ცოლი“, არამედ ნაღვლიანად და გოდებით შემოგვჩივის, რომ „ღვთის გაჩენილს კაცს“, საუბედუროდ, „ეშმაკის თვალი უზისო“.

მაშასადამე, ქართველი ხალხი დიდი პატივის მცემელი და მცველია ცოლქმრობის უმწიკვლო, უქუქყო და წმინდა კავშირისა. ეს აზრია გატარებული მთელს ჩვენს საეროენო პოეზიაში, რის კვალსაც შევხვდებით არა ერთსა და ორს ხალხურ სიტყვიერ ნაწარმოებში.

ად. მირიანაშვილი

არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი\*)

შინდაჩასა: და მთავარეულს:.

- ქ. ბეგიაშვილი ივანე:.
- ქ. წიწვიანიძე თამაზა:.
- ქ. წიწვიანიძე ბერი:.
- ქ. წიწვიანიძე დემეტრე:.
- ქ. წიწვიანიძე იორამ:.
- ქ. წიწვიანიძე პაატა:.
- ქ. წიწვიანიძე ბერი:.
- ქ. წიწვიანიძე დათუნა:.
- ქ. წიწვიანიძე თამაზა:.
- ქ. წიწვიანიძე სეხნია:.
- ქ. წიწვიანიძე მღვდელი პეტრე:.
- ქ. ლთისიაშვილი დემეტრე:.
- ქ. ლთისიაშვილი გიორგი:.
- ქ. მაკრახიძე მღვდელი ბარნაბე:.
- ქ. მღვდელი მახარობელი:.

15

ბოგანო მთელს კოდსა: და სხვა მთელს კოდს იღებენ].  
ამათი სახუცო აბაზი ხუთი აძეს:.

მეჯნას:

- ქ. ბრეგვაძე ბერი:.
- ქ. შუკავიძე მამუკა:.

\*) იხ. „მოამბე“ № 1X.

დ. შუკავიძე დემეტრე:

ქ. მამაცაშვილი ზაქარია:•

ქ. მამაცაშვილი მამაცა: 1)

5

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს იღებენ:.

### სურნასა და წარეთს:

ქ. თოთლაძე მამუკა:.

ქ. მაისურაძე პაპუნა:.

ქ. მაისურაძე გიორგი:.

ქ. მაისურაძე ხუზანა:.

ქ. იანტბელიძე გიორგი:.

ქ. მჭედელი ტეტია:.

ქ. ბეგიაშვილი გოდერძი:.

ქ. ლობიოძე ოსაყმა:.

ქ. ცაცანაშვილი დათუნა:.

ქ. იანტბელიძე რევაზა:.

ქ. ბერაშვილი თამაზა:.

ქ. ნადირაშვილი ბერი:.

ქ. მაკრახიძე თამაზა:.

ქ. ლელაშვილი სეხნია:.

ქ. ჩილუნძე დათუნა:.

ქ. ჩილუნძე შოშიტა:.

ქ. ქაბაბაძე გიორგი:.

ქ. სამხარაძე მლდელი დემეტრე:.

18

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს იღებენ:.  
ამათი სახუცო აბაზი ექვსი აძეს.

### აქონასა: და ტყესუბანს:.

ქ. გოგიბაშვილი ზურაბ: საწირავი აძეს:.

ქ. გოგიბაშვილი ხოსია: საწირავი აძეს:.

ქ. გოგიბაშვილი ჟოჟონა: საწირავი აძეს:.

1) აქ გვერდზე ტექსტის ხელით უწერია: ბოგანო ორი არ(ის).

- ქ. ნაგლადე ბეჟან: საწირავი აძეს.
- ქ. ტოლანაშვილი ბეჟუა.
- ქ. ტოლანაშვილი მამუკა.
- ქ. ხახუაშვილი ტეტია.
- ქ. ფაიქაშვილი ბეჟუა.
- ქ. შუკაკიძე შიო.
- ქ. შუკაკიძე გოჩა.
- ქ. შუკაიძე ივანე.
- ქ. ნაკაშიძე ბერუკა.
- ქ. ნაკაშიძე თანდილა.
- ქ. ნაკაშიძე ბერი.
- ქ. წელელიძე ხოსია.
- ქ. გვილიკაშვილი ივანე.
- ქ. რაჭვლიშვილი ოთია.
- ქ. შოშიაშვილი შოშიტა.
- ქ. მამუკაშვილი ბერი.
- ქ. ჯმუკაძე გიორგი.
- ქ. აღუაშვილი აღდგომელა.
- ქ. სულიაშვილი ივანე.
- ქ. მრაჭველი ნასყიდა.
- ქ. სალარიძე იესე.
- ქ. ბითაშვილი გიორგი.
- ქ. ხოსიაშვილი დათუნა.
- ქ. მემარნიშვილი მამუკა.
- ქ. მეფარიძე გიორგი.
- ქ. მეფარიძე სეხნია.
- ქ. მეფარიძე ბერი.
- ქ. დათუნაშვილი გიორგი.
- ქ. მრაჭველი პაპუნა.
- ქ. მრაჭველი გიორგი.
- ქ. ქველიაშვილი გიორგი.
- ქ. ბეთიაშვილი დათუნა.
- ქ. ოსაძე საბა.



- ქ. კაპანაძე თამაზა:.
- ქ. ქაქანაშვილი ნადირა:.
- ქ. ბუში სეხნია:.
- ქ. მიროტაძე თამაზა:.
- ქ. მიროტაძე გაბრიელა:.
- ქ. მიროტაძე სეხნია:.
- ქ. მიროტაძე დემეტრე:.
- ქ. ტიქსონაშვილი მახარა:.

44

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს დრამას იღებენ: ამათი სახეცო მარჩილი ხუთი აძესთ:.

### კნოდეს:

- ქ. ციმანკურიძე დემეტრე: საწირავი აძეს:.
- ქ. ციქუბაძე კაცია:.
- ქ. ციქუბაძე დათუნა:.
- ქ. ბლიაძე თამაზა:.
- ქ. ბლიაძე მახარა:.
- ქ. ბლიაძე პაატა:.
- ქ. ძულიაშვილი ბერუკა:.
- ქ. რიკაძე ავთანდილ:.
- ქ. რიკაძე ივანე:.
- ქ. პატუაშვილი ბერი:.
- ქ. ხაზიუერი თამაზა:.
- ქ. ახალკაცი ბერი:.
- ქ. კაპანაძე ნადირა:.
- ქ. ბერიძე ივანე:.
- ქ. ბაჭაძე თამაზა:.
- ქ. ბაჭაძე თეოდორა:.
- ქ. ბაჭაძე პაპუნა:.
- ქ. ბაჭაძე მლდელი ელიოზ:.
- ქ. მაისურაძე თურქისტან:.
- ქ. მჭედლისშვილი ბერი:.

ქ. ბულაძე პაპუნა:.

ქ. ლონლაძე გიორგი:.

22

ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელს კოდს იღებს:.  
ამათი სახუცო: ან კაი კარი: ან აბაზი ცხრამეტი.

უკმისკელს:.

ქ. ვაჭრიძისშვილი გოდერძი:.

ქ. დობარლანიძე სეხნია:.

ქ. დობარლანიძე ბერი:.

ქ. ნაკაშიძე მამისიმედი:.

ქ. კუპატაძე გიორგი:.

ქ. კუპატაძე ბადრია:.

6

კომლად მთელი კოდი დრამა პური აძესთ: ამათი სახუცო  
აბაზი სამი:

ბადთას:

ქ. ლაშხი დათუნა: მოსახსენებელი აძეს:.

ქ. ლაშხი მამუკა: მოსახსენებელი აძეს:.

ქ. ლაშხი ბეგია: მოსახსენებელი აძეს:.

ქ. ლაშხი ოთარი: მოსახსენებელი აძეს:.

ქ. ლაშხი შიო: მოსახსენებელი აძეს:.

ქ. ლაშხი ბერი: მოსახსენებელი აძეს:.

ქ. ლაშხი ოთარი: მოსახსენებელი აძეს:.

ქ. ნადირაძე ქუმსი: მოსახსენებელი აძეს:.

ქ. ჭონიშვილი მლდელი იესე: საწირავი აძეს:.

ქ. ჭონიშვილი შალვა: მოსახსენებელი აძეს:.

ქ. კვესაძე სეხნია:.

ქ. კვამლაძე ნასყიდა:.

ქ. კვამლაძე გიორგი:.

13

მოსახსენებელი ან მარჩილი: ან ერთი ლიტრა სანთელი  
აძეს: და ფისაც მოსახსენებელი არ აწერია: ის მთელს კოდს  
დრამასა: [იღებს]: ამათი სახუცო ათი შაური არის:.

## ფათქინეთს:

- ქ. ღუჩიძე იოთამ: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ღუჩიძე ზაზა: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ღუჩიძე ფარსადან: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ღუჩიძე ხოსია: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ღუჩიძე მამუკა: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. შალიბაშვილი იესე: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. შალიბაშვილი ავთანდილ: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ღუჩიძე გიორგი: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ჭილლაძე მლდელი შიო: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ჭილლაძე მლდელი გიორგი: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. იალანაშვილი ბეეუა:.
- ქ. იალანაშვილი ოთია:.
- ქ. იალანაშვილი იმედა:.
- ქ. იალანაშვილი ნასყიდა:.
- ქ. იალანაშვილი თამაზა:.
- ქ. იალანაშვილი იმედა:.
- ქ. იალანაშვილი ესტატე:.
- ქ. მიქაძე ბერი:.
- ქ. ოსაძე კაცია:.
- ქ. ოსაძე ლაზარე:.
- ქ. აბრამიშვილი დათუნა:.
- ქ. მათაძე გიორგი:.
- ქ. ცხადაშვილი ბერი:.
- ქ. გვრიტაძე თამაზა:.
- ქ. გვრიტაძე შალვა:.
- ქ. აბასაძე ნასყიდა:.
- ქ. სახუაძე ბერუკა:.
- ქ. სახუაძე ივანე:.
- ქ. მჭედელი დათუნა:.

ღრამა ნახევარ კოდა აძეს: ამათი სახუცო აბაზი ოთხი.  
 მოსახსენებელი ხომ ზემოთ დამიწერია: იმაებს ერისკაცზედ ისე

აძეს: მღღლის საწირავი თუ მეტი შეუძლია თავისი კარკაცობა არის: თორემ კაი ცხენია: თუ არც კაი ცხენი შეუძლია: ჭაკი ცხენი აძეს: ან მისი ფასი შემძლობი საწირავი და ნიშანი. გაღასახურავი.

მეტებს:

- ქ. ლაში ოთარი: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ლაში ხოსია: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ლაში ესიტა: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ლაში სენია: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ლაში ხოსია: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ლაში ალხი: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. ლაში კაცია: მოსახსენებელი აძეს:.
- ქ. იაღანაშვილი გიორგი:.
- ქ. ბოჟაძე გიორგი:.
- ქ. კახნიაშვილი ივანე:.
- ქ. ოდიკაძე მამუკა:.
- ქ. ოდიკაძე გიორგი:.
- ქ. ოდიკაძე დათუნა:.
- ქ. პაჭიძე ზაზუტა:.
- ქ. ნასყიდაშვილი ნასყიდა:.
- ქ. ხიკნაძე დათუნა:.
- ქ. კუსიანი თევდორე:.
- ქ. კაპანაძე შოშიტა:.
- ქ. ბუში ივანე:.
- ქ. კაპანაძე გიორგი:.

20

ღრამა ამათი სახუცო აბაზი სამი:.

ჭვრანას:

- ქ. ბეჟანიშვილი იესე: საწირავი აძეს:.
- ქ. ქიტეიაშვილი პაატა:.
- ქ. კოჩაძიშვილი ნასყიდა:.

- ქ. კოჩაძიშვილი მგელი:.
- ქ. იმერელი სუხა:.
- ქ. ბუშიშვილი ბერი:.
- ქ. აბრამაშვილი თამაზა:.
- ქ. აბრამაშვილი ოთია:.
- ქ. ჯერეკაშვილი გიორგი:.
- ქ. ჯერეკაშვილი ბერი:.
- ქ. ბერუაშვილი მლდელი ელიოზ:.
- ქ. ბეჟანიშვილი ფაუნელა ამოვარდნილია:.

12

ღრამა ბოგანო ნახევარ კოდს იღებს: სხვა მთელსა: ამათი სახუცო აბაზი სამი:.

## ქაღუთს:

- ქ. ნებიერიძე პაატა:.
- ქ. ნებიერიძე პაპუნა:.
- ქ. ნებიერიძე დათუნა:.
- ქ. ნებიერიძე ესტატე:.
- ქ. ქიფსუტიძე გიორგი:.
- ქ. ქიფსუტიძე ლაზარე:.
- ქ. კახათელიძე რევაზ:.
- ქ. კახათელიძე ზურაბა:.
- ქ. კახათელიძე ბააკა:.
- ქ. კახათელიძე შიო:.
- ქ. ფოფხაძე დემეტრე:.
- ქ. ბოჟაძე პაპუნა:.
- ქ. ბოჟაძე პაატა:.
- ქ. ქეჭიჭამაშვილი ბერი:.
- ქ. ნადირაძე ბეჟანა:.
- ქ. ნადირაძე ოთარა:.

16

ღრამა ყველას ნახევარ კოდი აძებს: ამათი სახუცო აბაზი სამი:.



ატონს:

- ქ. სამალანიშვილი ბეჟან: საწირავი აძეს:
- ქ. დეკანოზიშვილი დათუნა: საწირავი აძეს:
- ქ. დეკანოზიშვილი ბუჩა დათუნა: საწირავი აძეს:
- ქ. დეკანოზიშვილი გიორგი: საწირავი აძეს:
- ქ. დეკანოზიშვილი ქაიხოსრო: საწირავი აძეს:
- ქ. მენაბდიშვილი თამაზა:
- ქ. მენაბდიშვილი ივანე.
- ქ. მენაბდიშვილი კიდევ ივანა:
- ქ. მენაბდიშვილი ქავთარა:.
- ქ. გივიშვილი გიორგი:
- ქ. გულისაშვილი ბერა:
- ქ. გულისაშვილი დემეტრე:
- ქ. გულისაშვილი გულისა:.
- ქ. გოგიტაშვილი ზაქარია:
- ქ. გოგინაშვილი ბერი:.
- ქ. გოგინაშვილი პაატა:.
- ქ. გოგინაშვილი თამაზა:.
- ქ. ჩამბალილაშვილი ზაქარია:.
- ქ. ჩამბალილაშვილი ივანე:.
- ქ. ჩამბალილაშვილი ოთია:.
- ქ. ბოჟაძე პაპუნა:.
- ქ. ბოჟაძე გიორგი:.
- ქ. გულარდუხაშვილი ლეკვია:.
- ქ. გულარდუხაშვილი დემეტრე:.
- ქ. ცხრაბნევაშვილი ბერი:.
- ქ. კინკლაშვილი მამუკა:.
- ქ. მოხელი თამაზა:.
- ქ. გოგიტაშვილი სულია: მოსახსენებელი აძეს. \*)
- ქ. რევანდაშვილი დათუნა:.
- ქ. გულქანაშვილი პაპუნა:.

\*) ეს ორი სიტყვა მკრმეა სხვა ხელით მიმატებული.

- ქ. შახაშვილი შახარა:.
- ქ. მახაშვილი ივანე:.
- ქ. ქაქუნაშვილი აღდგომელი.
- ქ. ღვინიაშვილი ბერი:.
- ქ. ერქიზაშვილი აღუა:.
- ქ. ჯანგერდაშვილი ესტატე:.
- ქ. ბაბაშვილი თევდორე:.
- ქ. ნანობაშვილი თამაზა:.
- ქ. ზანაძე ივანე:.
- ქ. ბასილაშვილი გიორგი:.
- ქ. ბასილაშვილი იმარინდო:.
- ქ. ორიშვილი გიორგი:.
- ქ. ორიშვილი ზაზუტა:.
- ქ. უნანაშვილი სუხიტა:.
- ქ. ჯარიაშვილი გიორგი:.
- ქ. უქუტაშვილი ივანა:.
- ქ. დარჩაშვილი მამუკა:.
- ქ. გულიკაშვილი გიორგი:.
- ქ. გულიკაშვილი ლაზარე:.
- ქ. გულიკაშვილი პაპუნა:.
- ქ. ხეხელაშვილი ამირა:.
- ქ. ხეხელაშვილი დათუნა:.
- ქ. კინკლაშიძე ელისე:.

53

დრამა ზოგანო ნახევარ კოდს იღებს: სხვა მთელს კოდსა:  
ამათი სახუცო აბაზი ცხრა:.

### ბრემას:

- ქ. მუსხელაშვილი დათუნა: საწირავი აძეს: \*)
- ქ. მუსხელაშვილი იესე: საწირავი აძეს:.

\*) აქ გვერდზე სხვა ხელით და მეღვინით უწერია: ამ კიკლაშიძემ გიორგიმ თავისის ნებით მოსახსენებელი დაიდვა ან ერთი ოქრო ან ლიტრა სანთელი.

- ქ. მუსხელაშვილი გიორგი: საწირავი აძეს.
- ქ. მუსხელაშვილი გორჯასპი: საწირავი აძეს.
- ქ. მუსხელაშვილი დემეტრე საწირავი აძეს.
- ქ. მუსხელაშვილი ბეჟან: საწირავი აძეს.
- ქ. მუსხელაშვილი ქაიხოსრო: საწირავი აძეს.
- ქ. მონავარაშვილი იესე: საწირავი აძეს.
- ქ. მონავარაშვილი ხოსია: საწირავი აძეს.
- ქ. მონავარაშვილი ზურაბ: საწირავი აძეს.
- ქ. ბასიტაშვილი თევდორა:
- ქ. ბასიტაშვილი ბერი:
- ქ. ბასიტაშვილი გიორგი:
- ქ. მარგაწელაშვილი ბერი:
- ქ. კოზოლაშვილი გიორგი:
- ქ. კოზოლაშვილი სეხნია:
- ქ. კოზოლაშვილი თამაზა:
- ქ. მრატველი ნასყიდა:
- ქ. ბებიაშვილი ბეჟუა:
- ქ. ბებიაშვილი თამაზა:
- ქ. ვარძიელაშვილი თანდილა:
- ქ. საჯელიაშვილი გიორგი:
- ქ. მახარაშვილი ხუცია:
- ქ. მახარაშვილი პეტრე:
- ქ. სალარიძე ივანე:
- ქ. საქაშვილი ლონენა:
- ქ. ჰავლეშვილი ქრისტესია:
- ქ. დევიძე სეხნია:
- ქ. გამსახურდაშვილი დათუნა:
- ქ. სუთიაშვილი გიორგი:
- ქ. სუთიაშვილი თევდორე:
- ქ. სუთიაშვილი ნადირა:
- ქ. სუთიაშვილი ბერი:
- ქ. ჩომახაშვილი ბერი:
- ქ. ჩომახაშვილი ხოსია:

- ქ. პარკაძე მახარა:.
- ქ. პარკაძე ზაქარია:.
- ქ. ბლიაძე პაპუნა:.
- ქ. ბლიაძე ოქრუა:.
- ქ. ბლიაძე გოგია:.
- ქ. დევიძე გიორგი:.
- ქ. დევიძე თევდორე:.
- ქ. დევიძე ბერუკა:.
- ქ. დევიძე გოგიტა:.
- ქ. ვეფხაძე ლაზარე:.
- ქ. ვეფხაძე პაატა:.
- ქ. ელიკა:.
- ქ. გიორგაშვილი ზაზა:.
- ქ. გიორგაშვილი დათუნა:.
- ქ. ჯალუაშვილი ბერი:.
- ქ. ყუზანათაშვილი გიორგი:.
- ქ. მახიაშვილი ბერი:.
- ქ. შუკაკიძე ლაზარე:.
- ქ. აბდულაშვილი გიორგი:.
- ქ. წყალობა:.
- ქ. ვოჭიკუდაშვილი ბერი:.
- ქ. ხაბაზი დათუნა:.
- ქ. გოჩა:.

58

დრამა ბოგანო ნახევარ კოდს იღებს: სხვა მთელს კოდსა:.  
ამათი სახეცო ოთხი მარჩილი:.

### ცეკონის:

- ქ. გამცემელიშვილი ბეჟან: საწირავი აძეს:.
- ქ. ხუცაშვილი გიორგი: საწირავი აძეს:.
- ქ. ბოჟაძე ივანე: ა
- ქ. ლონიაშვილი ზაქარია: ა
- ქ. ამბროსაშვილი ლაშქარა: ა

- ქ. ზარასპანაშვილი დათია: . ა
- ქ. ამბროსაშვილი ბადურა: . ა
- ქ. ამბროსაშვილი დათუნა: . ა
- ქ. ამბროსაშვილი კიდევ დათუნა: . ა
- ქ. ბერძნის გერი დათუნა: . ა
- ქ. ბერძნის გერი პატა: . ა
- ქ. ხატის კაცი ბერუკა: . ა
- ქ. ხატის კაცი გელია: . ა
- ქ. სვიანაშვილი ბერი: . ა
- ქ. ფიცხელაშვილი სვიმონა: . ა
- ქ. ფიცხელაშვილი თამაზა: . ა
- ქ. ლაბაძე გიორგი: . ა
- ქ. მჭაუნაშვილი ბერი: . ა
- ქ. ფირანიშვილი გიორგი: . ა
- ქ. ღვალაძე პაპუნა: . ა
- ქ. სირინაშვილი ბიბინა: . ა
- ქ. ჭაოშვილი ბარნაბე მღვდელი: .
- ქ. ჭაოშვილი პაპუნა: .
- ქ. ქედელაშვილი ბეთლემ: .

24

ღრამა ბოგანო ნახევარ კოდს იღებს: სხვა მთელს კოდსა: .  
ამათი სახეცო აბაზი ექვსი აქვს: .

აგლეგს:

- ქ. ბაღრიაშვილი იესე: საწირავი აქვს: .
- ქ. ბაღრიაშვილი გივი: საწირავი აქვს: .
- ქ. ბაღრიაშვილი დათუნა: საწირავი აქვს: .
- ქ. ბაღრიაშვილი ოთარ: საწირავი აქვს: .
- ქ. ბაღრიაშვილი ბეჟან: საწირავი აქვს: .
- ქ. აღხაზიშვილი თამაზა: საწირავი აქვს: .
- ქ. ციმიანკურიძე ზურაბ: მოსაკსენებელი აქვს: .
- ქ. ბრაქაძე ზაალ: მოსაკსენებელი აქვს: .
- ქ. ბრაქაძე გურგენა: მოსაკსენებელი აქვს: .



- ქ. წვიმატიძე იოთამ: მოსაკსენებელი აძეს:.
- ქ. ჭაჭიაშვილი ბედან: მოსაკსენებელი აძეს:.
- ქ. ჭაჭიაშვილი მამაცა: მოსაკსენებელი აძეს:.
- ქ. ჭაჭიაშვილი ბერი: მოსაკსენებელი აძეს:.
- ქ. ჭაჭიაშვილი დემეტრე: მოსაკსენებელი აძეს:.
- ქ. სვანიძე თამაზა:.
- ქ. სვანიძე სეხნია:.
- ქ. სვანიძე ბერუკა:.
- ქ. სვანიძე პაატა:.
- ქ. სვანიძე შიო:.
- ქ. ცოცხალაშვილი შალვა:.
- ქ. ცოცხალაშვილი ბეჟუა:.
- ქ. თურმანიძე ნასყიდა:.
- ქ. თოლოძე ზაზუნა:.
- ქ. ჭიმერიძე დემეტრე:.
- ქ. კვირიკაშვილი ზაქარია:.
- ქ. თხლაშიძე ხახუტა:.
- ქ. შავი ბიჭი პაპუნა:.
- ქ. ოქროპირიშვილი მამუკა:.
- ქ. გოგნაძე გოგია:.
- ქ. ჯალაბაშვილი ბეჟან:.
- ქ. ნადირაძე ბეჟუა:.
- ქ. ნადირაძე გიორგი:.
- ქ. ნანიაშვილი თამაზა:.
- ქ. ნანიაშვილი ბერი:.
- ქ. კვირიაშვილი თამაზა:.
- ქ. კვირიაშვილი შოშიტა:.
- ქ. კვირიაშვილი ოთია:.
- ქ. თხილიაშვილი გიორგი:.
- ქ. მლდელი გიორგი:.

ღრამა ნახევარ კოდს იღებენ: ამათი სახუცო მარჩილი  
სამი:.

თამარაშენს:

- ქ. ახალკაცი მახარა:.
- ქ. კაეაძე თამაზა:.
- ქ. კავაძე ივანა:.
- ქ. სულიკაშვილი გოგია:.
- ქ. ქამპურიძე გიორგი:.
- ქ. ოქუტაშვილი დათუნა:.
- ქ. ფოფხაძე ხუბიტა:.
- ქ. სვიმონაშვილი გურგენა:.
- ქ. იალიტაშვილი ბერი:.
- ქ. კვირიაშვილი დემეტრე:.
- ქ. კვირიაშვილი ივანე:.
- ქ. კვირიაშვილი ოთია:.
- ქ. კვირიაშვილი ზაზუტა:.
- ქ. ხანდუაშვილი თამაზა:.
- ქ. კობახიძე ბერი:.
- ქ. ქველაძე დათუნა:.
- ქ. ზუბიტაშვილი ბარნაბე:.

17

დრამა ნახევარ კოდს იღებენ: :ამითი სახუცლა აბაზი სამი:

ფრცხას:

- ქ. რიკაძე იორამ: საწირავი აძეს:.
- ქ. საყვარელიძე: ბეჟან: საწირავი აძეს:.
- ქ. მაქვარიანი რევაზ: საწირავი აძეს:.
- ქ. მაქვარიანი რამაზა: საწირავი აძეს:.
- ქ. ონიაშვილი ივანე:.
- ქ. ონიაშვილი დათუნა:.
- ქ. უზნაძე დათუნა: საწირავი აძეს:.
- ქ. პაპიაშვილი გიორგი:.
- ქ. ბერუაშვილი გიორგი:.
- ქ. რამაზაშვილი ლომი:.

- ქ. რამაზაშვილი მანველი:.
- ქ. ზერეკიძე სეხნია:.
- ქ. ზერეკიძე მამუკა:.
- ქ. ქურციკაძე გივი:.
- ქ. ქვრივიშვილი ოთია:.
- ქ. ბოჭაძე შემაზა:.
- ქ. ბოჭაძე ბერი:.
- ქ. ჯულაშვილი თამაზა:.
- ქ. კოკუაშვილი ქუმსი:.
- ქ. კოკუაშვილი ბერუკა:.
- ქ. ქიმერიძე დათუნა:.
- ქ. ქიმერიძე ბერი:.
- ქ. კვინიკაძე ბერუკა:.
- ქ. მანიაშვილი გიორგი:.
- ქ. ზერეკიძე მამუკა:.
- ქ. გოგიძე ოსიყმა:.
- ქ. სვიანაშვილი ზაქარია:.
- ქ. სვიანაშვილი დათუნა:.
- ქ. პირბანაშვილი ბერი:.
- ქ. პირბანაშვილი პაპუნა:.
- ქ. დარჩიაშვილი ბერი:.
- ქ. ჩიკვაიძე ბერი:.
- ქ. ამირანაშვილი დათუნა:.
- ქ. დალაქი სეხნია:.
- ქ. კოშკაძე შალვა:.
- ქ. კოშკაძე დათუნა:.
- ქ. კოშკაძე ბიძინა:.
- ქ. კოშკაძე ბერი:.
- ქ. კოშკაძე კიდევ ბერი:.
- ქ. მელიქიშვილი გოდერძი:.
- ქ. მელიქიშვილი არდაშელი:.
- ქ. ხაბაზი გიორგი:.
- ქ. ჩადუნელი ბერი:.

- ქ. ბისტიაშვილი კაცია:.
- ქ. ბისტიაშვილი ბერი:.
- ქ. ჩაჩიაშვილი მამუკა:.
- ქ. სადგაშვილი გიორგი:.
- ქ. უწყენაშვილი მარგველა:.
- ქ. მოურავის ყმა მამუკა:.
- ქ. ბითაძე სეხნია:.
- ქ. კოკუაშვილი გიორგი:.
- ქ. კოკუაშვილი შოა:.
- ქ. ჯულაშვილი გოდერძი:.
- ქ. კოშკაძე ბერუკა:.
- ქ. ნანაშვილი ნიკოლოზ:.
- ქ. ხუცის ძმისწული გიორგი:.

56

დრამა ბოგანო ნახევარ კოდსა: სხვა მთელს კოდს იღებს:;  
ამათი სახუცო მარჩილი ხუთი აძეს:.

ახას:

- ქ. წაკვაძე იოთამ: სიწირავი აძეს:.
- ქ. წაკვაძე ნიკოლოზ: საწირავი აძეს:.
- ქ. კვამლაძე მამუკა: აყრილია:.
- ქ. ლაკლაკი დათუნა:.
- ქ. ლაკლაკი ლიპარი:.
- ქ. ლაკლაკი ედიშერ:.
- ქ. კვამლაძე ბერუკა:.
- ქ. კვამლაძე ივანე:.
- ქ. ბოქაძე ბერუა:.
- ქ. გოგილაშვილი პაატა:.
- ქ. ირემაძე გიორგი:.
- ქ. ირემაძე იორამ:.
- ქ. დათიაშვილი გიორგი:.
- ქ. იმერელი დათუნა:.
- ქ. სულაშვილი ივანე:.

- ქ. წაკვადის გიგა:.
- ქ. მლდელი იესე:.
- ქ. მლდელი ბარნაბე:.
- ქ. შუკაშვილი ბერი:.

19

ღრამა ბოგანო ნახევარ კოდს იღებს: სხვა მთელს კოდსა:  
ამათი სახუცო მარჩილი სამი აძეს:.

### საცაბუცს:

- ქ. სიამარაღიშვილი იესე: საწირავი აძეს:.
- ქ. სიამარაღიშვილი ოტია: საწირავი აძეს:.
- ქ. ტალიკაძე ბერი:.
- ქ. ტალიკაძე დათუნა:.
- ქ. ტალიკაძე სენნია:.
- ქ. ტალიკაძე თამაზა:.
- ქ. მათაშვილი დარჩია:.
- ქ. ჩხეტიძე შოშია:.
- ქ. მეგრელიშვილი გიორგი:.
- ქ. მახარაშვილი ოთია:.
- ქ. ჭანჭიკაშვილი პეტრე:.
- ქ. ხატის კაცი პაპუნა:.
- ქ. ფუტყარაძე მახარა:.
- ქ. დევაძე პაატა:.
- ქ. დევაძე შოშია:.
- ქ. სამხარაძე მამუკა:.
- ქ. სამხარაძე ბერი:.
- ქ. საბაძე ივანე:.
- ქ. გურგენაშვილი ბერი:.
- ქ. წაბაძე დათუნა:.
- ქ. მიქელაშვილი დათუნა:.
- ქ. ბიბილაშვილი ივანა:.

22

ღრამას ბოგანო ნახევარ კოდსა: სხვა მთელს კოდს იღებს:.  
ამათი სახუცო აბაზი ექვსი:.



სახელები:

- ქ. კოკოლაშვილი ბერუკა: საწირავი აძეს: და სანთელი\*)
- ქ. ბათლომაშვილი ბეგუა:
- ქ. ტაბატაძე ანდერმან:
- ქ. ტაბატაძე თამაზა:
- ქ. ტაბატაძე ნატირა:
- ქ. ტაბატაძე ივანე:
- ქ. ლიპარიტაშვილი თამაზა:
- ქ. ზუბიაშვილი თამაზა:
- ქ. ზუბიაშვილი ივანე:
- ქ. ხალაძე გიორგი:
- ქ. ხალაძე პაატა:
- ქ. ქველაძე შიო:
- ქ. ქველაძე პაატა:
- ქ. სუხიტაშვილი დათუნა:
- ქ. ბეჟიტაშვილი გიორგი:
- ქ. ბეჟიტაშვილი ივანე:
- ქ. ივანაშვილი ივანე:
- ქ. ქავთარაშვილი იესე:
- ქ. ქავთარაშვილი ოთარი:
- ქ. ქავთარაშვილი ერთგულა:
- ქ. ბასილიძე თამაზა:
- ქ. თოროსაშვილი გიორგი:
- ქ. ხოსია:
- ქ. ტოტაძე საძაგელი:
- ქ. სეფისკვერაძე სენია:
- ქ. ბეჟიტაშვილი კაცია:
- ქ. კობალაძე თამაზა:
- ქ. მოსეაშვილი ძმუკა:
- ქ. ზუბიტაშვილი ბერი:

\*) ეს ოთხი სიტყვა მერმეა სხვა ხელით მიმატებული.

ქ. ლავიადე ხოხონა: აყრილი ბევრაა:.

ქ. კვესადე მახარა:.

31

ღრამა ბოგანო ნახევარ კოდსა: სხვა მთელს კოდს იღებს:.  
ამათი სახუცო მარჩილი ხუთი აძეს:

### მწეგდეღის:

ქ. ბახსარაშვილი მოურავი: მკუდარზე მარჩილი აძეს:.

ქ. ბახსარაშვილი ბეჟან: მკუდარზე მარჩილი აძეს:.

ქ. ჭყობდე მამუკა:.

ქ. ქოჩლაძე ივანე:.

ქ. ქოჩლაძე გიორგი:.

ქ. იმერელი რამაზა:.

ქ. კოვზია:.

ქ. ხიხადე ბერი:.

ქ. აბრამაშვილი ბერუჩა:.

ქ. სალაძე მიქელა:.

ქ. კოშკაძე თამაზა:.

ძ. კოშკაძე პატატი:.

ქ. კოშკაძე სეხნია:.

ქ. ნადირაძე პატა:.

ქ. ქუცნიაშვილი ბერი:.

ქ. ქუცნიაშვილი კიდევ ბერი:.

ქ. გოგსაძე ბერი:.

ქ. ივანაშვილი დათუნა:.

ქ. ნადირაძე ლომკაცი:.

ქ. სალაძე გიორგი:.

ქ. ბატარიძე შიო:.

ქ. ბატარიძე ბერი:.

ქ. ბატარიძე გიორგი:.

ქ. მექვაბიძე ოქროპირი:.

ქ. მექვაბიძე ბერი:.

25

ღრამასა ბოგანო ნახევარ კოდს იღებს: სხვა მთელს კოდსა: ქ. ამათი სახუცო აბაზი ათი აძეს:.

ბერძენულს

- ქ. კაპანაძე ქიტია:.
- ქ. ხლუხიძე ბერი:.
- ქ. ხლუხიძე დემეტრე:.
- ქ. გუნცაძე შათირი ფოცხვერი:.
- ქ. ჯაფახი ელისა:.
- ქ. ჯაფახი ნასყიდა:.
- ქ. დაბრუნდაშვილი იესე:.
- ქ. დაბრუნდაშვილი იორამ:.
- ქ. დაბრუნდაშვილი დათუნა:.
- ქ. კოკაძე ბერი:.
- ქ. ლომსაძე პატა:.
- ქ. მეტრეველი ლთისია:.
- ქ. მარგველაშვილი თამაზა:.
- ქ. პაპიძე სეხნია:.
- ქ. ცუცქირიძე მამუკა:.
- ქ. ცუცქირიძე ბერი:.
- ქ. სამუკაშვილი დათუნა:.
- ქ. ჯაოშვილი გოგნია:.
- ქ. ჯაოშვილი ოთია:.
- ქ. ბედიაშვილი მახარა:.

20

დრამა ნახევარი კოდი აქეს კომლზე: ამათი სახეცო აბა-  
ზი ოთხი:.

ტკონას

- ქ. რიკაძე ამირან: საწირავი აქეს:.
- ქ. რიკაძე ლევან: საწირავი აქეს:.
- ქ. რიკაძე თეიმურაზ: საწირავი აქეს:.
- ქ. რიკაძე ავთანდილ: საწირავი აქეს:.
- ქ. რიკაძე სეხნია: საწირავი აქეს:.
- ქ. რიკაძე გიორგი: საწირავი აქეს:.

- ქ. ვირშელაშვილი ივანე:
- ქ. ვირშელაშვილი პაატა:
- ქ. ვირშელაშვილი ნასყიდა:
- ქ. ვირშელაშვილი ბერი:
- ქ. ნოზაძე დათუნა:
- ქ. კოკავიძე პაატა:
- ქ. კოკავიძე კაცია:
- ქ. კოკავიძე ბეჟან:
- ქ. კოკავიძე ბერი:
- ქ. თავბერიძე თამაზა:
- ქ. თავბერიძე მამაცა:
- ქ. თავბერიძე კიდევ თამაზა:
- ქ. ნიყვაძე ზუბიტა:
- ქ. ვირშელაშვილი პაპუნა:
- ქ. ვირშელაშვილი ბერი:
- ქ. ხორგოშვილი ბერი:
- ქ. ხორგოშვილი შალვა:
- ქ. პენიაშვილი მირზა:
- ქ. პენიაშვილი ფარემუზა:
- ქ. ოსაძე ბერი:
- ქ. ოსაძე პაატა:
- ქ. ლუქუნიძე მამუკა:
- ქ. ლუქუნიძე გიორგი:
- ქ. ოსაძე თამაზა:
- ქ. კოკავიძე ბერი:
- ქ. ზეინკლიშვილი ლაზარე:
- ქ. ხორგოშვილი ნიკოლოზ:

33

დრამა ამათ სძეს: ამათს ხუცეს მარჩილი სამი: აყრილი  
 ზევრია: თუ მოვიდნენ ოთხი მარჩილი უნდა მოგვცენ:

ქ. თავბაშვილი

(შემდეგი იქნება)

# კველი თაოზა

ილია ჭავჭავაძე, როგორც ზუბოციცისტა

(წერილი მესუთე \*)

ჩვენ გადავავლეთ თვალი ილია ჭავჭავაძის იმ ნაწერებს, რომელნიც ავტორის დამახასიათებელ ნაწერებად მიგვაჩნდა. რასაკვირველია, ავტორის დამახასიათებელი სრული ვერ გამოგვივიდა—ვგონებთ, უდროვოც იქნებოდა ამგვარი დამახასიათებელი, რადგან, იმედი გვაქვს, ჩვენს მწერალს არ დაუმთავრებია ჯერ-ჯერობით თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა. ჩვენ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება იმ მწვავე და გამოურკვეველ კითხვებზე, რომელნიც დღესაც, — როგორც გუშინ, როგორც იმ დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძემ პირველად წერა დაიწყო, — გვალღვებენ, გვაწუხებენ და უთანხმოების მიზეზად ხდებიან ჩვენს საზოგადოების სხვა-და-სხვა დასთა შორის. ჩვენ ხაზი წავუსვით ავტორის იმ აზრებს, რომელთაც თანაფუგრძნობთ დღეს, და რომელზედაც უნდა აშენდეს შეუწყვეტელი და შეთანხმებული მოღვაწეობა ძველის და ახლის თაობისა. ხოლო სიმართლე ითხოვდა, აღგვენიშნა, რომ ჩვენი თანხმობა სრული არ არის და ამიტომ იქ, საცა სწყდება ჩვენ შორის თანხმობის ძაფი, უნდა გამოირკვეს და გამტკიცდეს „რალაც“ ახალი, სწორედ ის, რაც ახალ თაობას საზრუნველ საგნად გა-

\*) იხ. „მომამბე“ № № VI, VII, VIII და IX.



დაიქცევა. ეს ასე უნდა იყოს. ცხოვრება განუწყვეტელი მოძრაობაა. ძველი თაობის გონიერების დამამტკიცებელი საბუთი, სხვათა შორის, იმაშიაც იმალება, რომ მომავალ თაობას წინსვლის სურვილს უბადავს, უბადავს აგრეთვე ახალ აზრებს, ახალ მისწრაფებას. ყოელად შეუძლებელია, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაერთი აზრის ცვლილება არ მომხდარიყო, ახალი კითხვები არ დაბადებულიყო, ახალი საქმე არ დაწყებულიყო. ასე რომ არ იყოს ჩვენში, ეს იმისი მომასწავებელი იქნებოდა, რომ ძველი თაობა უნაყოფოა და უძრავი, რომ მასში არ არის სიცოცხლე და ცხოველ-მყოფლობა. ხოლო ჩვენში მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. ძველი თაობის უკეთესი წარმომადგენელი, ილია ჭავჭავაძე, მესამოცე წლებიდან მოყოლებული მოღვაწეობს სალიტერატურო ასპარეზზე. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ის მმობრავი ძალა, რომელიც ამოქმედებდა ჩვენს მწერალს, ქართულ ეროვნების დაცვის, გამოფხიზლების და სხვა ერთა შორის გათანასწოების აზრი იყო. ეროვნება აღფრთოვანებდა ავტორს, ეროვნება სამართლიანობის კითხვით მიაჩნდა. და ამ კითხვის ზნეობრივ მხარეში ჰპოულობდა ჩვენი მწერალი მოქმედების და წერის საფუძველს. სანამ ავტორი ადგია თავის დამოუკიდებელ ეროვნულ პროგრამას, ჩვენი მისდამი თანაგრძნობა სრული და შეურყეველი არის და იქნება. ხოლო იქ, საცა ავტორს თითქოს რაღაცა ყოყმანი და გაუბედაეობა დაეტყო, იქ სწყდება ჩვენშორის შემაერთებელი მავთული. ჩვენ ხაზს უსვამთ იმ გარემოებას, რომ ძველ და ახალ თაობას, ილია ჭავჭავაძის მეოხებით, გამორკვეული დარჩა საერთო მოქმედების ასპარეზი და ეს სწორედ ის ასპარეზია, — ნაყოფი პოლიტიკურ ცხოვრებისა, — რომელზედაც თავისუფლად მოთავსდებიან ძველის, ახლის და მომავალ თაობის წარმომადგენელი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საერთო შრომის საჭიროებას ილია ჭავჭავაძემ ჩაუგდო საძირკველი და თუ ამ ბოლო ხანებში ჩვენმა მწერალმა თითქოს აუხვია თავისივე ფეხით გათელილ ბილიკს, ეს ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს.

ვიქონიოთ სრული პატივი იმისი, რაც პატივ. სადებია, ხოლო ნუ შეედრკებით და თამამათ გამოვეცალოთ ჩვენს მწერალს იქ, საცა ჩვენი გზები ერთმანეთს შორდებიან. ამას გვავალბებს ცხოვრება, ძველი თაობის ანდერძი, ილია ჭავჭავაძის მიერ გამოკვეთილი ეროვნული იდეალი. ახალი თაობა თავის დანიშნულებას მხოლოდ მაშინ ასრულებს, როდესაც სამართლიანად დააფასებს და განმარტავს ძველ თაობის ნაადერძებს, ქართულ ვინაობას აღადგენს და ეროვნებას წარმატებისთვის გამოსადგე იარაღად გადააქცევს. ხოლო ყველა ამისათვის, ცოდნის და ცხოვრების ერთგვარ განმარტების გარდა, საჭიროა მხნეობა და გაბედულება, რასაც იჩენდა ჩვენი ავტორი პირველ ხანაში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ დაწვრილებით, რაში ვეთანხმებით ილია ჭავჭავაძეს და რაში არა. აღვნიშნეთ ჩვენი ავტორის ძალა და შეურყვეველი ღირსება, ხოლო ისიც, რაც, ჩვენი მოსაზრებით, მის სისუსტეს და ნაკლულეფანებას შეადგენს. გამოაშკარავდა, რომ უმთავრესი საგანი ჩვენი უთანხმოებებსა ეკონომიური ნიადაგია. ჩვენი ავტორი წოდებათა წყობილების გაღონიერების ზრუნვაშია, რადგან ჰგონია, რომ ამ წყობილების დაურღვევლად შესაძლებელია საერთო ეკონომიური კეთილდღეობა. ჩვენ კი გვგონია, რომ საერთო კეთილდღეობა მოითხოვს ახალ საზოგადოების დაფუძნებას, იმგვარ საზოგადოებისა, რომლის არსებობა შესაძლებელი იქნება დამყარებული და ამისათვის, რაც უფრო მალე დაირღვევა ჩვენებური წოდებრივ ურთიერთობაზედ აშენებული საზოგადოებრივი აგებულება, იმდენად მეტს მოიგებს ჩვენი ხალხი და ჩვენს ეროვნებასაც უფრო მკვიდრი შეურყვეველი ნიადაგი ექმნება საფუძვლად. ილია ჭავჭავაძეს არა აქვს მკაფიოდ დაყენებული დემოკრატიული პრინციპი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის შეურიკებელი მტერია დემოკრატიზმისა, არც იმას ვამბობთ, რომ ხალხის მტერია ჩვენი ავტორი—ჩვენ ვნახეთ, რომ ჭავჭავაძე მუდამ ხალხის კეთილდღეობის ზრუნვასა და ფიქრშია. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ის თარ-ხმალი, რომლითაც ესა-

რჩლება ავტორი ხალხს, ომში გამოუსადეგარია, რადგან არა ჰკლავს ნამდვილ მიზეზს ხალხის დაქვეითებისას და ძირიან-ფესვიანად არ არღვევს წოდებათა შორის ქონებრივ უთანასწორობას. ახალმა თაობამ, თუ რაიმე მომავალის იმედი აცოცხლებს, უნდა აიცილოს ეს შეცდომა და თუ, ხალხთან ერთად ჰსურს მოქმედება, უნდა დემოკრატიულ ნიადაგზედ ააშენოს ეროვნული კეთილდღეობა.

ხოლო ამ აზრის განსახორციელებლად ახალი თაობა არ უნდა უარ-ჰყოფდეს საერთო შეთანხმებულ მოქმედებას იქ, საცა კი შესაძლებელია ამგვარი სხვა-და-სხვა წოდებათა შორის შეთანხმებული მოქმედება. ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის ნაწერები დიდ დახმარებას აღმოუჩინენ ყველი იმას, ვინც კი მოისურვებს, თანახმად საქართველოს პოლიტიკურ პირობებისა, ქართველ ხალხს რაიმე სარგებლობა მოუტანოს.

ჩვენ ვათავებთ ამ წერილს. ილია ჭავჭავაძის კვლავაც დაუებრუნდებით, როდესაც შევეხებით ნ. ნიკოლაძის ნაწერების დაფასებას. ჩვენ გესურს, შეძლების დაგვარად, გადავაფლოთ თვალი ძველი თაობის უმთავრესს წარმომადგენელთ. თვითვეულ წარმომადგენელის პიროვნება და ხასიათი უფრო ნათლად გამოჩნდება საერთო ჯგუფში.

ანჩილ ჯორჯაძე

# უცხოეთის მიმოხილვა

ინგლისა და რუსეთი შუა აზიაში. — ავღანისტანი

## I

ამ მოკლე ხანში გარდაიცვალა ავღანისტანის ემირი აბდურ-რაჰმან ხანი და მამის ტახტზე ავიდა ჰაბი-ბულა, აბდურ-რაჰმანის უფროსი და საყვარელი შვილი. მოვლენა ჩვეულებრივად ყველა მონარქიულ ქვეყნებში და ამიტომ არც განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი, რომ ეს ამბავი სხვაგან მომხდარიყო; მაგალითად, გარდაიცვალა ინგლისის დედოფალი ვიქტორია და დიდი ბრიტანიის ტახტზე ავიდა ედუარდ VII-ე. მაგრამ ინგლისი ისევე ინგლისი დარჩა და მეფის გამოცვლას არავითარი შესამჩნევი ცვლილება არ გამოუწვევია ამ ქვეყნის პოლიტიკაში. სულ სხვაა ავღანისტანი. როგორც შინაგან წყობილებით, ისე თავის საერთა-შორისო მდგომარეობით ეს ქვეყანა ისეთია, რომ ემირის გამოცვლას შეუძლია დიდი ცვლილება გამოიწვიოს თვით ქვეყნის ბედის მიმართულებაში. ამიტომაც არის, რომ აბდურ-რაჰმანის გარდაცვალებამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის, განსაკუთრებით, ინგლისისა და რუსეთის პრესაში.

ავღანისტანი ჯერ მოუწყობელი ქვეყანაა; მისი შემადგენელი ნაწილები ჯერ ისე არ შედუღებულან, რომ შესაძლებელი არ იყოს არეულობის მოხდენა ახალ ხელმწიფის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ბევრია ავღანისტანში ისეთი თემები, რომელნიც ვერ შეჩვევიან მშვიდობიან ცხოვრებას და კანონების მორჩილებას: ამათთვის აჯანყება, ომი, სისხლის ღვრა სასურველი და საყვარელი სტიქიონია.



სახელმწიფოს ან ერის ცხოვრება რომ მარტო მის შინაგან ძალთა და მოვლენათა შეტაკებისა და განვითარებისაგან იყოს დამოკიდებული, ზემოთ ნახსენები არეულობა და აჯანყება მარტო ავღანისტანს შეეხებოდა და თვით ეს ქვეყანა მოუღლებდა მას ბოლოს მის არსებით ინტერესების მიხედვით. მაგრამ საქმეც ის არის, რომ არც ერთი სახელმწიფო და ერი ასე განკერძოებით არ სცხოვრობს და ვერც იცხოვრებს. მას, გარდა შინაგან ცხოვრებისა, აქვს კიდევ საერთაშორისო ცხოვრებაც, თუ შეიძლება ვერც ითქვას; მის ყოფა-ცხოვრების ეს თუ ის მიმართულება განისაზღვრება როგორც შინაგან ძალთა განვითარებით, ისე საერთაშორისო დამოკიდებულებითაც და ეს დამოკიდებულება იმდენათ უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანია ერის ცხოვრებაში, რამდენათ ერი პატარაა და მისი მეზობლები დიდები და ძლიერები. ჩვენმა ქვეყანამ სავსებით იგემა ამ დამოკიდებულების მწარე ფილა....

შედარებით პატარა ავღანისტანი დიდის რუსეთისა და დიდის ბრიტანიის სამფლობელოთა შუა მდებარეობს და ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი, რომლითაც უცქეროდნენ ჰაბი-ბულას ავღანისტანის ტახტზე ასვლას. მოსალოდნელი იყო არეულობა და ზოგიერთ თემების აჯანყება; ამისთანა მოვლენები კი ისეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში, როგორიც ავღანისტანია, ნიშნავს ძლიერ მეზობლების მხრივ „მზრუნველობის“ გაწევას, ქვეყნის საქმეებში ჩარევას და ეს „მზრუნველობა“ და საქმეში ჩარევა თუ რას მოასწავებს, ამის არც პირველი და არც უკანასკნელი მაგალითი ჩინეთი და მანჩჯურია არის....

აბდურ-რაჰმანის სიკვდილის ამბავის ევროპაში მოსვლისათანავე ყველა იმაზედ ჭეიქრობდა, თუ როგორ მოიქცევა რუსეთი, როგორ შეხედავს ახალ ემირის ტახტზე ასვლას და მოინდომებს თუ არა ისარგებლოს ამ ცვლილებით ავღანისტანის საქმეებში ჩასარევად ზოგიერთ თავის მიზნების მისაღწევად და თუ რუსეთი მოინდომებს ამ მიზნების მიღწევას, რა საშუალებას მიჰმართავს ინგლისი რუსეთის ხელის შესაშლელად?



ინგლისისა და რუსეთისა ინტერესების წინააღმდეგობაზედ მკირე-აზიაში ჩვენ წინა მიმოხილვაში გვქონდა ლაპარაკი; ეხლა გამოვარკვიოთ, თუ რათ ვერ ეტევა ეს ორი სახელმწიფო ამ თვალ-უწვდენელ აზიაში.

აღმოსავლეთს ძველიდგანვე დიდი მიმზიდველი ძალა ჰქონდა ევროპიელებისათვის. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ევროპას თავი არ მოჰქონდა თავის კულტურითა და პროგრესით, აღმოსავლეთი და განსაკუთრებით ინდოეთი თავის ზღაპრულის სიმდიდრითა და ხელოვნურ ნაწარმოებებით მოსვენებას არ აძლევდა ევროპიელებს, მუდამ თვალწინ ედგა მათ და თავისა-კენ იზიდავდა. ევროპაში ზღვაოსნობის საქმის დაწყებისათანავე უმთავრესი მიზანი გაბედულ ზღვაოსნებისა და მათ დამხმარე მთაწრობებისა ინდოეთისაკენ უმოკლეს გზის გამონახვა იყო. როცა ვასკო დეგამამ ეს გზა გამონახა, იგი შეიქნა ასპარეზი ევროპელების ერთმანერთ შორის მოცილეობისა. ყველა სცდილობდა ამ გზისა და ინდოეთის ხელში ჩაგდებას, მისით მარტო სარგებლობას. პორტუგალია, ესპანია, ჰოლანდია, საფრანგეთი და ინგლისი არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდნენ ინდოეთის ვაჭრობის საკუთრივ ხელში ჩაგდებისათვის. ხანგრძლივისა და სასტიკის ბრძოლის შემდეგ ომის ველი ინგლისსა და მის ფლოტს დარჩა: ბრიტანიამ მაგრად ფეხი მოიკიდა ინდოეთში და ინდოეთის ოკეანეში, საიდგანაც მან განდევნა ყველა თავის მოცილეები. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მეთვრამეტე საუკუნის დამლევს და მეცხრამეტეს დასაწყისში აღმოსავლეთმა თავის პირვანდელ მიმზიდველობის ხასიათი დაჰკარგა და ახალი შეიძინა. ევროპამ და განსაკუთრებით ინგლისმა ამდროისათვის საკვირველად განავითარა თავის წარმოება და აღმოსავლეთის ნაწარმოები, რომელიც ერთ დროს ასე სახარბიელო და ძვირფასი იყო ყველასათვის, ეხლა საჭირო აღარ შეიქნა მისთვის. აღმოსავლეთი შეიქნა საინტერესო და დასაფასებელი არა როგორც კარგის საქონლის მწარმოებელი (ამ მხრივ მას ევროპამ გაასწრო), არამედ როგორც მყიდველი და მომხმარებელი ევროპიელების მიერ ნაწარმოებ საქონელისა, რაც უფრო ვითარდებოდა ეს წარმოება, მით

უფრო მოემატა ფასი აღმოსავლეთს, რომელიც ვერ ახერხებდა საკუთარ წარმოების მოწყობასა და განვითარებას. რადგანაც მრეწველობის განვითარებით ინგლისი ევროპის სხვა სახელმწიფოებზე წინ იყო, ამიტომ იგი სხვაზე უფრო საჭიროებდა მყიდველ ბაზარს, ამიტომ იგი მეტ ენერჯის და ძალას ხარჯავდა ამისთანა ბაზრის შექმნისათვის. ინდოეთი თავის აუარებელ მცხოვრებლებით დაუფასებელი განძი შეიქნა ინგლისის მრეწველობისათვის. თუ რა გახდა ინგლისისათვის ინდოეთი, ეს იქედგან სჩანს, რომ ინგლისის ექსპორტის მეექვსედი ნაწილი 1885-ში მარტო ინდოეთზე მოდიოდა (სამწუხაროდ, უფრო ახლო დროის ცნობები ჩვენ ხელთ არ გვაქვს). ინდოეთი, ყიდულობდა ინგლისისაგან ამ დროს თითქმის 400 მილიონის საქონელს. მიუმატეთ ამას ინგლისის ის კაპიტალებიც, რომელიც ინდოეთში სხვა და სხვა საქმეებშია დაბანდულო, სქონლას გადამზიდავი გემები, გემებზე მოსამსახურენი, რკინის გზები და სხვა, და ადვილად წარმოიდგენთ ინდოეთის მნიშვნელობას ინგლისისათვის.

ინგლისი თავის ახალშენების ტყვე არის, იგი თავის ქვეშევრდომის ქვეშევრდომი არისო, ამბობს ერთი პოლიტიკოსი. და ეს მართალიც არის: სანამ ინგლისი თანამედროვე კაპიტალისტურ მრეწველობის კლასიკური ქვეყანა იქნება, ინდოეთისათვის იგი არავითარ მსხვერპლს არ დაშურავს, სანამ ინდოეთი ინგლისის ხელთ იქნება, უმთავრესი საზრუნავი საგანი ამ სახელმწიფოს პოლიტიკისა ინდოეთის შენახვა იქნება, ინდოეთი ინგლისის პოლიტიკის ბატონი იქნება.

გასულ საუკუნის ოთხმოციან წლებამდე, დიდი ბრიტანიის კუნძულების არ იყო, ინდოეთიც მიუვალი იყო გარეშე მტრებისათვის, ინდოეთიც კუნძული იყო: ხმელეთით მისი მეზობლები (სპარსეთი, ავღანისტანი და თურქთა პატარ-პატარა თემები) ისე სუსტები იყვნენ, რომ მათი ანგარიშში მიღებაც არ ღირდა და ზღვაზე კი ინგლისი სრული ბატონი იყო და დღემდეც არის. ამიტომ ზემოთ დასახელებულ დრომდე ინგლისს ამ მხრივ არავისი შიში ჰქონდა. ოთხმოციან წლებიდან კი გარემოება შეიცვალა: რუსეთის იმპერიის საზღვრები ერთობ დაუანლოვდა ავღანისტანსა და ინდოეთს, ინდოეთი „კუნძული“ აღარ არის და დიდი ბრიტანიაც უფრო მეტ ზრუნვას მიეცა, ვიდრე აქამდე.

II

თუ ევროპა ძველი დროიდანვე ეძებდა გზას ზღაპრულ ინდოეთისაკენ, რუსეთსაც დიდი ხანია იზიდავდა ეს ქვეყანა. თუ ევროპა ზღვით მიისწრაფოდა იქეთკენ, თავისუფალ ზღვას მოკლებული რუსეთი ხმელეთის გზას ეძებდა და სცდილობდა მის ხელში ჩაგდებას. ჯერ კიდევ მეთუთხმეტე საუკუნის ნახევარში გაგზავნა ერთმა რუსის მთავარმა თავისი ელჩი ინდოეთში. იოანე მრისხანე, ალექსი მიხეილისძე, პეტრე დიდი, ეკატერინე II-ე და პავლე I-ლი დიდი მოსურნენი იყვნენ ინდოეთის გზა გამოენახათ და ამ ქვეყანასთან საქმე დაეჭირათ. მიზანი რუსეთის მთავრობისა, ისე, როგორც ევროპიელებისა, იყო ამ ქვეყნის განთქმული სიმდიდრე, რომელზედაც ნამდვილი წარმოდგენა ამ დროებში არავის ჰქონია.

რუსეთმა ვერ მიაღწია თავის მიზანს: ხმელეთის გზის გამონახვა მეტად ძნელი შეიქნა და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იგი არც სცდილობს ამ გზის გამონახვას. გარდა სიძნელისა ამ საქმის მიტოვებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ინდოეთმა ამ დროისთვის დაჰკარგა თავისი ზღაპრული ხასიათი და ეკონომიურად განუვითარებელ რუსეთისათვის იგი იმდენად საინტერესო აღარ იყო.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის პოლიტიკა ამ მხრივ ძირითადად იცვლება. თუ წინეთ საშუალო აზიასა და ინდოეთის გზას თითქმის არავითარ ყურადღებას აქცევდა, სამოციან წლებიდან ყოველ ღონეს ღონობს, არავითარ მსხვერპლს არ უფროთხის იქეთკენ საზღვრების გაწვევისათვის. მიზეზი რუსეთის პოლიტიკის ასეთის ცვლილებისა ინგლისი და ინგლისის პოლიტიკაა. 1883-ში Journal de S.-Peterbourg'-ში გორჩაკოვის ბიოგრაფია იყო დაბეჭდილი. ეს ბიოგრაფია გარეშე საქმეთა სამინისტროში იყო შედგენილი და იი რას ვკითხულობთ აქ სხვათა შორის: „ყირიმის ომმა სამწუხაროდ ორი რამ დაამტკიცა: ერთი ის, რომ რუსეთს იმედი არ უნდა ჰქონდეს იმ კარგის განწყობილებისა, რომელიც მას ჰქონდა ინგლისთან მთელის საუკუნის განმავლობაში და მეორე ის, რომ რუსეთი სრულებით უიარაღო იყო ამ სახელმწიფოს

წინაშე, რადგან მას თავის ძლიერის ფლოტით ყოველთვის შეეძლო რუსეთის ვნება და კონტინენტზედაც ყოველთვის მომხრე ჰყავდა. დიდებულ ერს (რუსეთს) არ შეეძლო დიდხანს ამ გვარ მდგომარეობაში ყოფნა. საჭირო იყო მატერიალურად ინგლისის დაინტერესება, რომ მას დაეფასებინა რუსეთის მეგობრობა და ანგარიში გაეწია მისთვის. რომელიმე ძლიერ პოზიციის შეძენას საშუალო აზიაში ადვილად შეეძლო რუსეთისათვის ამ სამსახურის გაწევა<sup>4</sup>.

ინგლისი და რუსეთი შეუროგებელი მეტოქეები იყვნენ და არიან. საიტკენაც კი რუსეთს ფეხი გადუდგამს, ინგლისი გადალობებია და თუ სულ არა, ნახევრად ხელი შეუშლია. ინგლისის მოქმედებას კი რუსეთი ეერსად შეაფერხებდა. საჭირო იყო ისეთის პოზიციის შეძენა, საიდანაც შეიძლებოდა ინგლისისათვის მაგიერის გადახდა. აი პირვანდელი მიზენი რუსეთის საშუალო აზიისკენ მოძრაობისა. მაგრამ რადგანაც ამ მოძრაობას კარგა ბევრი დრო და დიდი ხარჯი და მსხვერპლი დასჭირდა, მან თან-და-თან, ეგრე ვთქვათ, დამოუკიდებელი ხასიათი მიიღო, საკუთარი ფასი შეიძინა: ე. ი. მას მიზნად მართა ის კი არა აქვს—ინგლისის პოლიტიკაზე სასურველი გავლენა იქონიოს, არამედ ისიც—რამე შეიძინოს, და რადგან უკვე შეძენილ ტერიტორიებს არაფერი დიდი ფასი აქვთ, რუსეთი უკეთეს ადგილებსაკენ (ინდოეთისაკენ) იცქირება, მათკენ მიისწრაფის.

მეტი არ იქნება მოგვყვანათ უმთავრესი ფაქტები რუსეთის ამ მოძრაობის ისტორიიდან. 1864-ში გენ. ჩერნიაევმა ტაშკენტი დაიპყრო, 1868-ში კაუფმანმა ხელში იგდო მდ. სირდარიის (იაქსარტი) ქალა და სამარკანდი, თემურლენგის ძველი სატახტო ქალაქი; 1876-ში შემოიერთეს კოკანი; 1868-ში ბუხარა და 73-ში ხივა იძულებული შეიქნენ მიეღოთ რუსეთის პროტექტორატი. ამ გვარად რუსები თან-და-თან მივიდნენ მდ. ამუ-დარიამდე (ოქსუსი) და აქედგან შეუდგნენ კასპის იქეთა მხრის თურქების დაპყრობას, რომელიც თითქმის დაასრულა ქ. მერვის აღებით 1884-ში. მერვის აღებაო, სწერდა იმ დროს ერთი პოლიტიკოსი, უდაბნოს ოაზისის უბრალო შემოერთება როდი არისო, იგი არის 1) კავკასიის და თურქესტანის სამხედრო



ძალების გაერთიანება, 2) ხივისა და ბუხარის საბოლოო შემოერთება, 3), ცენტრალურ აზიის უდაბნოების შემოერთების გათავება და სპარსეთისა და ავღანისტანის ვრცელ და მდიდარ მიწების დაპყრობის სათავე და 4) წინაღ განზრახული დაპყრობა დიდ-მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტისა უფრო დიდ მნიშვნელოვან მიზნის მისაღწევად.

მართლაც, რუსეთმა მერვის დაპყრობით და კასპიის იქეთა მხრის რკინის გზის გაყვანით შეაერთა თურქესტანი და ამიერკავკასია, რასაც მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს; ჩრდილოეთით, ორენბურგიდან, თურქესტანში მისვლა თუ შეუძლებელი არა, მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ამიტომ ამ გზით ჯარების მოძრაობა მეტად საზარალოა; კავკასიით, კასპიის ზღვით და კასპიის იქეთა მხრის რკინის გზით კი ჯარის გადაყვანა არაერთარ სიძნელეს არ წარმოადგენს. შარშან საცდელად დიდ-ძალი ჯარი გაგზავნეს ჩვენის კუთხიდან კუშკამდე და ჯარების ეს მოძრაობა საუცხოვოდ დამთავრდა. უკავკასიოდ კი თურქესტანი რუსეთზე მოწყვეტილი იქნებოდა და, მაშასადამე, არც მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთის პოლიტიკისათვის.

რუსეთის მთავრობა მოწადინებულია კავკასიისა და თურქესტანის ასეთი მჭიდრო დამოკიდებულება მოსპოს, რადგან მარტო ერთის გზის ქონება ყოველთვის სახიფათოა სხვადასხვა მოაულოდნელ ან მოსალოდნელ შემთხვევების გამო. ამიტომაც არის, რომ გადასწყვიტეს ორენბურგისა და ტაშკენტის რკინის გზით დაკავშირება. ამ დღეებში დეპეშამ შეგვატყობინა ტაშკენტიდან, რომ სამხედრო მინისტრის თან დასწრებით შეუდგნენ ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის კეთებასო. ეს გზა უმეტეს ნაწილად უნაყოფო და უდაბურ ადგილებზე გაივლის, ამიტომ მას თითქმის მარტო სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება, და თუ ღარიბი რუსეთი ასეთ გზას აკეთებს, ეს იმიტომ, რომ მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება მას ზემოხსენებულ შემთხვევების დროს.

III

ორის კოლონისის, რუსეთისა და ინგლისის, საზღვრების დაახლოება ყველას დიდ საშიშარ და სახიფათო საქმედ მია-



ჩნია, რადგან, როგორც წინედაც დავინახეთ, მათი ინტერესები ერთმანერთს ეწინააღმდეგება და მათი შერიგება შეუძლებელია. უსისხლოდ საქმე არ გათავდებოა, ამტკიცებენ პოლიტიკოსები, და თუ მართლა სისხლზე მივიდა საქმე, ძნელად წარმოსადგენია, თუ რამდენი სისხლი უნდა დაიღვაროს ამ ორის გიგანტის დატაკების დროს.

ვისაც კი ამ საგანზე ჰქონია მსჯელობა, სახეში ჰყავთ მხოლოდ ინგლისი და რუსეთი და არაფრად აგდებენ იმ ხალხებს, რომელნიც ამ ორ უზარმაზარ სახელმწიფოებში იქცევიან. აღმოსავლეთის ხალხების იმედები აღარავის აქვს, ჩვენ, ევროპიელები, მათ გადავთვლავთო, გაიძახიან და ის კი ავიწყლებათ, რომ ამ ბოლოს დროს აღმოსავლეთი იღვიძებს და აღმოსავლეთის მძიმე საქმის გადაწყვეტა უმისოდ მალე შეუძლებელი იქნება. ამ გაღვიძების ხანაშია ავღანისტანიც. მართალია, აქ ბევრი კიდევ ერთაბ მარტივად უყურებს ცხოვრებას: ძარბაღი, ვაჟაკობა, ცარცვა-რბევა ნორმალურ, ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია და უმაღლეს პოლიტიკას არას დაგიდევს, მაგრამ ავღანისტანის მმართველები და მათ მიერ გაწვრთნილი მოღვაწეები კარგად არაან ჩახედულნი საქმის მდგომარეობაში და ესმისთ თავიანთ ქვეყნის საერთა-შორისო მდებარეობაც.

ამ მხრივ დაუფასებელი დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე განსვენებულ ემირს აბდურრაჰმანს. 1879 წლამდე სამშობლოდან განდევნილი აბდურრაჰმანი სამარყანდში ცხოვრობდა და იღებდა რუსებისაგან პენსიას. ამ წელში ავღანისტანში ჩვეულებრივი არეულობა მოხდა, არეულობის დროს მოჰკლეს ინგლისის წარმომადგენელი და ამის გამო ინგლისის ჯარი შევიდა ამ ქვეყანაში და ქაბული აიღო. ინგლისელების დახმარებით აბდურრაჰმანი გახდა ემირი და შეუდგა ქვეყნის მართვას. ახალი ემირი მეტად თავისებური და ენერგიული კაცი გამოდგა. ოცის წლის განმავლობაში იგი ძალასა და ღონეს არ ზოგავდა ქვეყანა დაეწყნარებინა და წესრიგი ჩამოედგა და მიაღწია კიდევ მიზანს. მართალია, ემირი ნამდვილი და გულწრფელი მაჰმადიანი იყო, მაგრამ ევროპიელები არ სძულდა; იგი პატივს სცემდა ევროპას კულტურისა და განსაკუთრე-

ბით ტენნიკისათვის და სცდილობდა, რამდენად შესაძლებელი იყო, გადმოენერვა ავღანისტანის ნიადაგზე ეს კულტურა და ტენიკა. განსაკუთრებული ყურადღება პირველად ყოვლისა ჯარსა და მის გაწრთენას მიაქცია და ავღანელთა ჯარი, რომელიც წინედ თავზე ხელ-აღებულ მამაცთა გაუწვრთნელ ბრბოს წარმოადგენდა, ეხლა გაწრთენილი ნამდვილ რეგულიარული ჯარია, რომელსაც საუკეთესო სისტემის იარაღი უჭირავს ხელში.

აბდურაჰმანი სცდილობდა, რომ თვით ავღანისტანში გაჩენილიყო იმ ნიეთების წარმოება, რომელსაც ევროპიდან იწერდნენ. სხვათა-შორის, მისის თხოვნით ერამა ავღანელმა შეისწავლა ხარაზობა და ეს ხელობა მეტად გავრცელდა ქაბულში. „ფული, რომელიც ევროპელებს მიჰქონდათ, ეხლა ჩვენსავე ქვეყანაში რჩებაო“, ამბობდა ამ მოვლენის გამო განსვენებული აბდურაჰმანი. წვრილმანი ფაქტია, მაგრამ მეტად კარგი დამხასიათებელი აბდურაჰმანის ნამდვილ ავღანურ ეროვნულ პოლიტიკისა.

ასეთივე ეროვნული იყო განსვენებულ ემირის გარეშე პოლიტიკაც. აბდურაჰმანი დავალებული იყო რუსეთის მთავრობისაგან, რომელმაც თავშესაფარი მისცა დევნილ ავღანელ პრინცს და დიდის ხნის განმავლობაში შეინახა იგი, როგორც მის ჩამომავლობას ეკადრებოდა: აბდურაჰმანი იღებდა წლიურად რუსეთის მთავრობისაგან 25000 მანეთს. ინგლისის მთავრობამაც მეტად დიდი სამსახური გაუწია აბდურაჰმანს, რადგან, თუ არ ინგლისის ჯარების, დახმარება იგი ადვილად ვერ იშოვიდა ავღანისტანის ემირობას. გაემიროებისთანავე აბდურაჰმანმა დაივიწყა ორთავე მეზობლების დავალება და სახეში ჰქონდა მხოლოდ თავის ქვეყნის ინტერესები-მართალია, აბდურაჰმანი ინგლისის მფარველობას არჩევდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამას ინგლისის ან მისი საკუთარი ინტერესები თხოულობდა, არამედ იმიტომ, რომ ავღანისტანის დამოუკიდებულობა და თავისუფალი განვითარება ამ მხრივ უფრო უზრუნველ-ყოფილი იყო. გონიერი მმართველი კარგად ხედავდა, რომ ინგლისის არსებითი ინტერესი იყო თავისუფალი ავღანისტანი, როგორც კედელი რუსების მოძრაობის წინააღმდეგ. და რა საკვირველია, რომ ავღანისტანის კეთილის მოსურნეს თვალი ჰქონოდა ინგლისისაკენ, რომელიც არა თუ არ ემუქრება მის დამოუკიდებლობას, პირიქით, დახმარებასაც

აღმოუჩინეს, თუ ვინმე ამ დამოუკიდებლობის მოსპობას მოინდო-  
მებს.

მოკვდა აბდურრაჰმანი და ავღანისტანის ტახტზედ ავიდა მისი შვილი ჰაბიბულა; ახალი ემირი მამის ხელმძღვანელობით იწვრთნებოდა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში და ამიტომ მოსალოდნელი არ არის ავღანისტანის პოლიტიკის გამოცვლა. თუ ახალი ემირი მამის კვალს არ უღალატებს და მამისებუ-  
რის ენერგიით მოჰკიდებს ხელს თავის ქვეყნის განვითარების და გაძლიერების საქმეს, „აღმოსავლეთის საქმე“-ში ავღანის-  
ტანი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს და „საქმეც“ ამ ქვეყნის საკეთილდღეოდ გათავდება.

მაჰმადიანების სოლიდარობისა და მათ ევროპიელებთან დამოკიდებულების დასახასიათებლად მოგვეყავს ოსმალურ გაზეთ „ფერადის“ წერილი ავღანისტანზე. ამ გაზეთში შოთხრო-  
ბილია, ვითომც აბდურ-რაჰმანს, რომელიც გრძნობდა სიკვდი-  
ლის მოახლოებას, ეთხოვოს სულთანისათვის „მოწყალების მოღება“ ავღანელებზე და შემწეობის აღმოჩენა ჰაბიბულასა-  
თვის. როგორც კი ილდიზ-კიოსკში მოსულა აბდურ-რაჰმანის გარდაცვალების ამბავი, ყველა მართლ-მორწმუნეთა ხალიფამ დეპეშა გაუგზავნა მაზარ-ი-შერიფის იმამს, ავღანელების სა-  
სულიერო მთავარს, და სთხოვა წესიერება დაეცვა ქაბულში და დახმარებოდა ჰაბიბულას, „რომლის აზრები და განწყო-  
ბილება ხალიფამ კარგად იცის“. ახალგაზდა ემირის ძმებმა იცნეს ჰაბიბულას ხელმწიფობა, რადგან ხედავენ ავღანისტანის მუგომარეობის საშიშროებას და გრძნობენ მძიმე პასუხის გებას სარწმუნოებისა და ხალხის წინაშე სამშობლოს დაცვის საქმე-  
ში. „ინგლიზი“ ისეთივე მტერია ავღანისტანის, როგორც მოს-  
კოვი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთი მოშორე-  
ბულია ავღანისტანს მთებითა და ნახევრად დამოუკიდებელ ავღანელ თემებით, მეორე კი თითქმის ქაბულის კარებთან არის და შემოსვლას ჰლოამობს.

აღმოსავლეთი იღვიძებს და ახლოვდება ის დრო, როცა იგი ანგარიშს მოსთხოვს ეხლანდელ თავის ბატონს—ევროპას.

რედაქტორი:  
აღ. ჭყონია

გამომცემელი  
აღ. ჯაბაძარი